

ათონის მწიგნიობრულ-ლიტერატურული
სეკლის ნათარგმნი

პავიონგრაფული მექუდრეობა

ნაწილი I

შეთიძე ათონელი
(მთაწმიდელი)

ტომი II

ათონის მწიგნითობრულ-ლიტერატურული
სკოლის ნათარჯები

პაგინგრაფული ქედურიდობებია

ნაწილი I

შეთიძე ათონელი
(ძთაწმიდელი)

ჭობი II



გამოცემლობა „უნივერსალი“
თავისუფალი 2022

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6
ე-726



ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
Teaching-Research Institute for Interdisciplinary Humanities



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

სამეცნიერო პროექტი „ათონის მწიგნობრულ-ლიტერატურული სკოლის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მემკიდრეობის ელექტრონული აკადემიური გამოცემა (ნაწილი I)“ (გრანტი №FR-19-4294) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project ‘Electronic Scholarly Edition of the Translated Hagiographic Heritage of the Athos Scribal-Literary School (Part I)’ (Grant №FR-19-4294) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

ტომის რედაქტორები:
ქეთევან გიგაშვილი
მზია გიგაშვილი


© ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკას №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-33-101-5 (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-33-433-7 (II ტომი)



წმიდა ექვთიმე ათონელი (ძირი შიდელი)
(X-XI ს.)

პროექტის სამეცნიერო კონსულტანტები:

დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ციფრული ფილოლოგის პროფესორი, ბირმინგემის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი **დევიდ ჩარლზ პარკერი**

ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი **ქეთევან გიგაშვილი**

კრებული იბეჭდება ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.



წინაძებარე ჭომი ეძღვნება
აძაგდარი ქუნიერის,
კორნელი კლელის სახლობის ხლნაწერთა ეროვნული
ცენტრის ბირველთაობელი ქველევრის, ფილოლოგის დოქტორ
ლალი (კიალა) ჯლ აძაის
ნათელ ხსოვნას.

შესავალი

წინამდებარე || ტომით ვაგრძელებთ ათონის მწივნობრულ-ლიტერატურულ სკოლაში შექმნილი ქართული წერილობითი კულტურის საგანძუროს, ექვთიმე ათონელის (მთანმიდელის) მიერ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის, აკადემიურ გამოცემას. მასში ამჯერად წარმოვადგენთ ოთხ თხზულებას. ესენია: [„წამებად წმიდისა ფებრონიადსი“], „ცხორებად წმიდისა ბასილი კესარიელისად“, „წამებად წმიდისა თეოდორე სტრატილატისად“ და „ცხორებად წმიდისა ათანასე ალექსანდრიელისად.“

მკითხველს შევახსენებთ, რომ I ტომში გამოვაქვეყნეთ სამი ძეგლი: „ცხორებად და წამებად წმიდათა მოწამეთა – ევსტათისი და მეულლისა მისისა თეოპისტისი და შვილთა მათთა – აღაპისი და თეოპისტესი“, „წამებად წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი და მის თანა წამებულთა მოწამეთა, რომელი იწამნეს პერგე ქალაქსა, ქუეყანასა პანფოლისასა“, „წამებად წმიდისა და ნეტარისა ანთიმოს ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისად.“

ოთანე და გიორგი ათონელების მიერ მოწვდილ ინფორმაციაზე დაყრდნობით (ოქროპირი, 1996; მთანმიდელი, 1967), რომელიც ექვთიმე ათონელის მთარგმნელობით მოღვაწეობას შეეხება, 10 ჰაგიოგრაფიული შრომა მას მამის სიცოცხლეში, ხოლო 9 მისი გარდაცვალების შემდეგ უნდა ეთარგმნა. წინამდებარე ტომში დაბეჭდილი ორი ძეგლი – „ცხორებად წმიდისა ბასილი კესარიელისა“ და „ცხორებად წმიდისა ათანასე ალექსანდრიელისად“ – მამის სიცოცხლეში თარგმნილ შრომათა შორისაა დასახელებული, ხოლო ორი – „წამება წმიდისა ფებრონიადსი“ და „წამება წმიდისა თეოდორე სტრატილატისად“ – მამის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში შექმნილ შრომათა შორის.

როგორც I ტომის შესავალში ვწერთ (გიგაშვილი, 2021: 16), კორნელი კეკელიძის აზრით, „ექვთიმეს მიერ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათაგან ხელნაწერებში ჯერჯერობით არ ჩანს ექვთიმეს მიერ ნათარგმნი „ცხოვრება და წამება

ფებრონიასი და ათანასე ათონელისა“ (კეკელიძე, 1957: 118; 1980: 208), თუმცა ფებრონიას წამების შემცველი ნაშრომის ქართული თარგმანის არსებობას მეცნიერი არ უარყოფს. ძეგლის დასაწყისს („იყო დღეთა დეოკლიტიანე მეფისათა ან-თიმოს მთავარი და იყო იგი უძლური წორცითა“) იმოწმებს სხვა კიმენური რედაქციიდან, რომლის ავტორია თომაიდა და შესულია არაერთ ხელნაწერ კრებულში.¹

წნრიკო გაბიძაშვილს „ფებრონიას წამების“ 4 რედაქცია აქვს დასახელებული: ერთ-ერთი ზემოთ ნახსენები კიმენური ტექსტია, თუმცა იგი გაცილებით მეტ ნუსხას ჩამოთვლის და კორნელი კეკელიძის მიერ ჩამოთვლილი ხელნაწერი კრებულებიდან ასახელებს A-382-ს, S-134-ს, ბოდლე-1-სა და A-95-ს (ამ უკანასკნელის შემთხვევაში სხვა გვერდებს უთითებს); განსხვავებულ რედაქციას ქმნის მეტაფრასული ვერსია, რომელიც შემონახულია S-417 (XII ს., 177v-200v) და ქუთაისი-3 (K-3) (XVI ს., 256v-282v) ხელნაწერ კრებულებში; სხვა ტექსტზე, რომლის დასაწყისი განსხვავებულია კიმენური და მეტაფრასული რედაქციებისგან და დაცულია Jer-152 (XI-XII სს., 86v-130v) ნუსხაში, ვარაუდს გამოთქვამს, რომ შეიძლება საგალობელი იყოს; მეოთხეა 990 წლით დათარიღებულ Ath-79 ხელნაწერ კრებულში შემავალი კიმენური რედაქცია, რომელიც თავბოლონაკლულია, სხვაობს კიმენური და მეტაფრასული რედაქციებისგან და თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (გაბიძაშვილი, 2004: 348-349). სხვაგან მკვლევარი წერს, რომ ფებრონია მონაზონის² „წამება“, რომლის ავტორიც არის

¹ A-95, 640-668; A-382, 15-22; A-243, 269-284; S-134, 165-200; ბოდლე-1, 381-393; Sin-71, 184-200, Sin-62, ფ. 49 (კეკელიძე, 1957: 138). თხზულების ერთ-ერთი ნუსხა ინახება ცენტრალურ არქივშიც (ფონდი №1446, ხელნაწერი №87/1: 2r-12r).

² მისი გარდაცვალების თარიღად უწერია 304 წლის 25 ივნისი.

თომაიდა, ქართულად ძალიან ადრე უნდა ეთარგმნათ (გაბი-
ძაშვილი, 2010: 177).¹

Ath-79 ხელნაწერ კრებულში შემონახული „ფებრონიას
წამების“ ტექსტი არ ემთხვევა Sin.-6 და ქუთაისი-3 (K-3)
ხელნაწერ კრებულებში შემონახული კომენური რედაქციის
ტექსტს, რაც მანანა დოლაქიძის მიერაცაა გამოკვლეული და
გამოტანილია დასკვნა, რომ „ექვთიმე ათონელს ეკუთვნის
არა კიმენური რედაქციის თარგმნა, როგორც იყო მიჩნეული
სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ ამ ხელნაწერში შემონა-
ხული მესამე, უცნობი რედაქცია თხზულებისა“ (დოლაქიძე,
1986: 8).

ნიგნში – „რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავ-
ლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის სასულიერო შინაარსის ქარ-
თულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (2016) – M-49 (M-33) ხელ-
ნაწერის (რომელიც წარმოადგენს 1840 წელს გადაწერილ
ჰაგიოგრაფიულ კრებულს) აღწერილობიდან ვიგებთ, რომ მე-
20 შრომად მასში შედის ანდერძ-მინაწერები, გადმოწერილი
პლატონ იოსელიანის გამოგზავნილი ხელნაწერიდან, თავად
პლატონ იოსელიანისა და თეიმურაზ ბატონიშვილის შენიშ-
ვნებით. ერთ-ერთი შენიშვნიდან ირკვევა, რომ M-49 ხელნა-
წერი გადაწერილი ყოფილა S-3637-დან.² ცხადია, ეს უკანას-
კნელიც წარმოადგენს ჰაგიოგრაფიულ კრებულს, გადაწე-
რილს 1838 წელს (გადამწერი თეიმურაზ ბატონიშვილი).³

ამდენად, მინაწერები, რომლებიც პლატონ იოსელიანს
გადმოუწერია წმინდანთა ცხოვრების შემცველი ნიგნიდან, S-
3637 ხელნაწერ კრებულშიც ასევე მინაწერების სახით არის
შეტანილი. ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „დასასრულსა

¹ იქვე აღნიშნავს, რომ ტექსტი გამოუცემელია, ხოლო ბერძნული
დედანია A.SS, lun. V (1709), 1735.

² ცაგარლის კატალოგით, S-14-დან.

³ პლატონ იოსელიანის დამოწმებული მინაწერი აქ განთავსებულია
156v-ზე.

წმიდისა ფებრონიასსა ცხოვრებისასა ესე ეწერა: „წმიდაო ფებრონიავ, მეოს მეყავ წინაშე ღმრთისა; რომელნიცა იკით-ხვიდეთ, ლოცვასა მომიხსენეთ გლახაკი ეფთვმი და წმიდა მა-მა ჩემი იოანე. ესე ანდერძი წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვმისი არს, რომელი წმიდითა წელითა მისითა ნუსხისაგან დაიწერა.

ლოცვა ჰყავთ გლახაკისა მწერელთათვეცა“ (M-49: გვ. 378; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის... 83; S-3637: 157r). ერთ-ერთი მინაწერი კი გვამცნობს: „ბროსეტს რომ აქვს იოსელიანი (!), წმიდის პეტრეს ცხოვრების ბოლოს ეწერა: 1838, ივნის 29, ქალაქსა ტფილისს წიგნი ესე გარდამოვაწერინეო მონაფესა ჩემსაო ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებელმან პლატონ ეგნატესძემან იოსელიანმან“ (S-3637: 157r).

ამრიგად, ირკვევა, რომ ფებრონიას წამების შემცველი ტექსტი ინახება სხვა ხელნაწერ კრებულშიც, თუმცა რომელში, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

უცნაურად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ იოანე მთაწმიდელი საანალიზო თხზულებას არ ასახელებს თავის ცნობილ ანდერძში ექვთიმეს მიერ თარგმნილ შრომათა შორის, არადა, ეს შრომა შესულია 990 წელს გადაწერილ ათონური წარმომობის Ath-79 კრებულში. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ იოანე 1005 წელს გარდაიცვალა, ისლა დაგვრჩენია, დავუშვათ, რომ მას უბრალოდ გამორჩა მისი დასახელება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტექსტის დასაწყისი ნაწილი განთავსებულია A-1769 ხელნაწერის 2r-v გვერდებზე, რომელიც წარმოადგენს Ath-79 კრებულის ნაწილს, თუმცა ეს ტექსტიც თავნაკლულია.

როგორც ირკვევა, „ფებრონიას წამების“ პირველწყარო – ბერძნული ტექსტი დაკარგულია.

წინამდებარე ტომში დაბეჭდილი მეორე შრომაა „ბასილი კესარიელის ცხოვრება.“ „ეტიუდების“ V ტომში კორნელი კე-კელიძე კიმენური რედაქციისადმი მიძღვნილ თავში სამ პუნქტად ჩამოთვლის ბასილი დიდი კესარიელის ცხოვრება-მოღვაწეობისა თუ სასწაულების შემცველ ქართულ თარგმანებს:

1. თავდაპირველად ასახელებს ამფილოქე იკონიელ-

- ის¹ ავტორობით შექმნილი შრომების ქართულ თარ-გმანებს, რომლებიც რამდენიმე ნუსხაშია შემონახული. ესენია: A-19, A-95, A-1103, Sin-83;
2. შემდეგ – გრიგოლ ნაზიანზელის ხელიდან გამოსული ცხოვრების შემცველ ტექსტს („ფრიად მაიძულებდა მე“), თუმცა ნუსხებს არ უთითებს;
 3. და, ბოლოს, ერენუმოს ხუცის შრომას: „განახლება ბა-სილის მიერ ლუდის ეკლესიისა“ („შვილო, საყუარე-ლო სატრონიე“), რომელიც შემონახულია ნუსხებში: A-249, S-535 (კეკელიძე, 1957: 121-122).
- თავის მხრივ, ამფილოქე იკონიელის მიერ აღწერილი ბასილი კესარიელის ცხოვრებისა თუ სასწაულების შემცველი ტექსტების ქართულ თარგმანებს მეცნიერი სამ რედაქციად ყოფს:
1. პირველი რედაქცია, მისი აზრით, დაცულია ნუსხებში: A-19: 266-306 (შეიცავს 7 სასწაულს; ტექსტის დასაწყისი ფრაზაა: „საყუარელნო, არა უცხო არს ერთგულ-თა შვლთად მამისათვს წუხილი ცხორებისაგან გან-სლვასა“); სინ-83: 67-70 (შეიცავს პირველ ორ სასწა-ულს (BHG: 247-259); A-90 (პირველი ოთხი სასწაული განთავსებულია გვერდებზე: 369-378, მე-5 და მე-7 სასწაულები – გვერდებზე: 603-612;
 2. მეორე რედაქცია შემონახულია A-95 ნუსხაში (185-212), რომელიც შეიცავს პირველ 6 სასწაულს და იწყე-ბა | რედაქციის 1-ლი და მე-2 სასწაულებით;
 3. ხოლო მესამე რედაქციას წარმოადგენს A-1103 ნუსხა, რომელიც, მკვლევარის აზრით, ექვთიმე ათონელს უთარგმნია, შეიცავს მხოლოდ | რედაქციის დასაწყისს, საკუთრივ ბიოგრაფიას (№19, 266-290), თუმცა მასთან

¹ IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, ბასილი დიდის მეგობარი. 372 წელს გახდა იკონის ეპისკოპოსი. გარდაიცვალა 394 წელს. მისი ხსენების დღეა 23 ნოემბერი (6 დეკემბერი).

შედარებით შეცვლილია: ზოგან სიტყვა თუ ფრაზაა გამოტოვებული, ზოგან – ჩამატებულია, ზოგან – გადასმული და ა. შ. (კეკელიძე, 1957: 11).

ამ სამი რედაქციიდან ექვთიმე ათონელის სახელი ავტორს მოხსენიებული აქვს მხოლოდ A-1103-სთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ ის ექვთიმეს მიერ „ოდნავ შეკეთებულია.“ თბზულების დასაწყისი („საყუარელნო, არა უცხო არს...“) მოტანილი აქვს A-19 ნუსხიდან. „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომში“ ამ თბზულებაზე საუბრისას შენიშვნებში უთითებს A-1103 ხელნაწერს და აღნიშნავს, რომ „ეს ცხოვრება განმეორებაა იმისა, რაც ჩვენ გვაქვს A-19 ნუსხის 266-306-ე ფურცლებზე, არ არის მხოლოდ ბასილის სასწაულები, დანარჩენში შეცვლილია, გადასმული ან გამოტოვებულია ზოგიერთი სიტყვა. „ასე რომ, ეს ცხოვრება ან არ უნდა ეკუთვნოდეს ექვთიმეს, გიორგის ის მხოლოდ შეცდომით მიუკუთვნებია მისთვის, ანდა ექვთიმეს უმნიშვნელო ცვლილებით გადმოუკეთებია უკვე არსებული თარგმანი“, – ასკვნის მკვლევარი (კეკელიძე, 1980: 207).

ასევე A-19 ნუსხიდან არის დამოწმებული სათაური და ნაწარმოების დასაწყისი ნაწილი ენრიკო გაბიძაშვილთან (2004: 154), რომელსაც ექვთიმესეული რედაქციის ნუსხებად ჩამოთვლილი აქვს: A-19, A-95, A-1103, ქუთაისი-16 (K-16), Sin-32-57-33 (864 წ.). A-95 ნუსხასთან მითითებული აქვს გვერდები: 94r-98r და ფრჩხილებში უწერია: „მხოლოდ სასწაულები“ (2004: 155). ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ შრომათა სიაში „ბასილი დიდის ცხოვრება“ 186-ე ნომრად აქვს ნარმოდგენილი. 189-201-ე ნომრებად მოცემული აქვს შრომა „ბასილი დიდის სასწაულთა-გან“, სადაც გვერდები მითითებული აქვს იმავე A-19 და A-95 ნუსხებიდან. 190-ე და 195-ე ნომრებით ნარმოდგენილ სასწაულებში A-95 ნუსხას გვერდების ნომრებად უწერია, შესაბამისად, 97v-99r და 96r-97v (აქედან 97v-98r და 96r-97v გვერდები, როგორც ვხედავთ, მითითებული აქვს ასევე „ბასილი დიდის ცხოვრების“ A-95 ნუსხასთან (186 ნომრით)). შენიშვნაში აღ-

ნიშნულია, რომ ავტორი არის ელადიოს კესარია-კაბადუკიელი, ბასილი დიდის მემკვიდრე ამ კათედრაზე. იგივე ავტორია მითითებული 192-ე, 196-ე, 197-ე და 198-ე ნომრებით წარმოდგენილ სასწაულებთანაც (გაბიძაშვილი, 2004: 155). შრომების II ტომში მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ბასილი დიდის ცხოვრებისა“ და „სასწაულების“ ქართული თარგმანი ვარიანტული სხვაობით (უფრო შედგენილობით) დაცულია რამდენიმე ხელნაწერში: I. A-19, 266-306. II. A-95, 185-212. III. A-1103, 117-130.

ბერძნული ტექსტი კი დაბეჭდილია შემდეგ გამოცემაში: *Combebis, Amphilochii opera*, 155-225 (გაბიძაშვილი, 2010: 200).

ამდენად, როგორც ვხედავთ, კორნელი კეკელიძე ექვთიმეს სახელს უკავშირებს მხოლოდ ერთ – A-1103 ნუსხას, ხოლო ენრიკო გაბიძაშვილი – 5 ნუსხას.

რეალური სურათი ასეთია: A-19 ნუსხა შეიცავს ცხოვრებას, რომელსაც მოჰყვება სასწაულები, A-1103 ნუსხა – მხოლოდ ცხოვრებას, რომელსაც ბოლოში ახლავს სასწაულების ჩამონათვალი, ქუთაისი-16-ც (K-16) – მხოლოდ ცხოვრებას, ხოლო A-95 და Sin-83 – მხოლოდ სასწაულებს, ოლონდ განსხვავებული შედგენილობით.

თუ არ ჩავთვლით სასწაულების ნაწილს, რომელთა სათაურებშიც ან „სიტყუა“ ჩანს, ან „საკითხავი“, A-19 და A-1103 ნუსხებს შორის სხვაობა ვარიანტულია და არა რედაქციული. დაუშვებელია მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს გიორგი მთაწმიდელს შეეძალა და „ბასილი დიდის ცხოვრების“ თარგმანი შეცდომით მიაკუთვნა ექვთიმეს, როგორც ამას კ. კეკელიძე ვარაუდობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნული თხზულება დასახელებულია იოანე მთაწმიდელის ანდერძშიც და, რაც მთავარია, A-1103 ნუსხას ახლავს გადამწერის ანდერძი, საიდანაც ცხადად ირკვევა ექვთიმეს მთარგმნელობა: „...უფროს ხოლო ნმიდისა მამისა ეფთვმეს [თარგმანებულთათვს] უფალმან ლმერთმან ამათ ყოველთა წმიდათა თანა ზიარყვნიან“ (131v).

აღნიშნული ანდერძი გამორიცხავს იმ მოსაზრებასაც, თითქოს ექვთიმემ უკვე არსებული თარგმანი A-19-ის სახით

ოდნავ გადააკეთა. ეს ანდერძიც რომ არ არსებობდეს, გადა-
კეთებული ვერსია უნდა გასცდენოდა ნუსხებს შორის დასაშ-
ვები ვარიანტული სხვაობების ზღვარს, რაც A-19 და A-1103
ხელნაწერების შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშ-
ნეთ, არ დასტურდება, და, მეორეც, როგორი გასამიჯნია, A-
1103 ნუსხაში შენიშნული სხვაობებიდან რომელი ეკუთვნის
ექვთიმეს და რომელი – გადამჩერს.

ის ფაქტი, რომ ნაშრომი ითანეს მიერაა დასახელებული,
ცალსახად ამტკიცებს, რომ ექვთიმეს ის 1005 წლამდე აქვს ნა-
თარგმნი, ანუ მანამდე, ვიდრე A-1103 ხელნაწერი კრებული შე-
იქმნებოდა. რადგანაც A-1103 ნუსხის საყრდენი A-19 ნუსხაა,
ლოგიკურად ამ ხელნაწერამდე მივდივართ, როგორც ექვთიმეს
ნათარგმნამდე. „საყრდენში“ ვგულისხმობთ არა მხოლოდ ცხოვ-
რების შემცველ ტექსტს, არამედ სასწაულების ნაწილსაც, რო-
მელიც, მართალია, A-1103 ნუსხას არ ახლავს, მაგრამ გვაქვს
მათი ჩამონათვალი, რომელიც ქრონოლოგიურად ემთხვევა A-
19-ში მოცემულ 7-ვე სასწაულს:

- „ბ სხუად სასწაული მწვალებელთა აღძრვისთვეს.
- გ სხუად ჰურიასათვეს.
- დ სხუად ჰურიასა მკურნალისათვეს.
- ე სხუად დედაკაცისათვეს, რომელ ცოდვანი აუქოცნა.
- ვ სხუად წმიდისა მამისა ეფრემის მოსლვისა და ხილ-
ვისათვეს.
- ზ სხუად პეტრესთვეს, ძმისა თვესისა.
- ც სხუად ხუცისა და გონჯისათვეს.“

ამ ჩამონათვალს A-1103 ხელნაწერ კრებულში მოჰყვება
შემაჯამებელი ფრაზა: „ესენი ყოვლგნით სწერიან სასწაულ-
ნი.“ ცხადია, იგულისხმება A-1103-ის წინარე ნუსხა, ჩვენი
აზრით, A-19, სადაც ეს სასწაულებია აღნერილი.

A-19 ხელნაწერი კრებულის აღნერილობაში „ბასილი
კესარიელის ცხოვრება“ ცალკე (38-ე) შრომად არის მითითებუ-
ლი, ხოლო სასწაულები – ყველა ცალ-ცალკე შრომად. გამონაკ-
ლისს წარმოადგენს პირველი სასწაული – „სიტყუად ბასი-

ლისთვებები საკურველთმოქმედისა“ („და იყო მათ დღეთა შინა ალ-ძრვად მწვალებელთა მართლმორწმუნეთა ზედა“), რომელიც ხელნაწერის აღმნერელს უნებლიერ ცხოვრების ტექსტისთვის მიუთვლია. ცალ-ცალკეა გამოყოფილი სასწაულები თედო უორ-დანისა აღწერილობაშიც (Описаниe рукописей: 1903: 15).

როგორც უკვე აღინიშნა, A-19 კრებულის გარდა, სასწაულებს შეიცავს A-95 და Sin-83 ხელნაწერი კრებულებიც, ოღონდ სხვადასხვა რაოდენობით: პირველი – პირველ ექვსს, მეორე – პირველ ორს. შედგენილობის გარდა, მათ შორის ტექსტობრივი სხვაობა არ შეინიშნება: ორივე კრებულში შესული სასწაულები მხოლოდ ვარიანტულად განსხვავდება A-19-ში აღწერილი სასწაულებისგან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ A-19, A-95 და Sin-83 ნუსხები საერთო სასწაულების ნაწილში ერთ რედაქციის მიეკუთვნებიან. მათ შორის ყველაზე ადრინდელია Sin-83, რომელიც IX საუკუნეშია შექმნილი. A-95 ხელნაწერი კრებული კი XI საუკუნით თარიღდება. ქრონოლოგიურად მათ შორის თავსდება X საუკუნეში გადაწერილი A-19 კრებული.

იმის გამო, რომ ექვთიმე ათონელი ვერანაირად ვერ იქნება დაკავშირებული Sin-83 ხელნაწერ კრებულთან, რომელიც მის დაბადებამდე გაცილებით ადრე შეიქმნა, ბუნებრივად გამოირიცხება მისი კავშირი A-19 კრებულში (და ცხადია, A-95-შიც) შემავალ სასწაულებთან. ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მას უთარგმნია მხოლოდ ცხოვრების შემცველი ტექსტი, ხოლო სასწაულები უთარგმნია სხვას. არგუმენტად გამოგვადგება ის ფაქტიც, რომ ითანეს ანდერძში საანალიზო თხზულება დასახელებულია სასწაულების გარეშე: „ცხორებად წმიდისა ბასილი კესარიელისაა“ (ოქროპირი, 1996: 14). მას რომ სასწაულებიც ეთარგმნა, ითანე მას აუცილებლად აღნიშნავდა ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში: „წამებად და სასწაულნი წმიდისა მონამისა დიმიტრისი“ (იქვე). ვფიქრობთ, უკვე მარტივი გასაგებია, რატომ არ შეიტანა სასწაულები ათონური წარმომავლობის A-1103 კრებულში მისმა გადამწერმა.

ამრიგად, „ბასილი კესარიელის ცხოვრების“ ექვთიმე

ათონელისეული თარგმანი, ჩვენი აზრით, დაცულია სამ ხელ-ნაწერ კრებულში: A-19-ში, A-1103-სა და ქუთაისი-16-ში (K-16).

საანალიზო ძეგლი გამოაქვეყნა ა. კამლაძემ 1992 წელს მხოლოდ ერთი (A-1103) ხელნაწერის მიხედვით¹. გამოცემა, ცხადია, არ არის აკადემიური.

II ტომში შემავალი მესამე ძეგლია „თეოდორე სტრატი-ლატიის წამება.“ ჰაგიოგრაფიული უანრი რამდენიმე თეოდო-რეს იცნობს. ჩვენი თხზულების გმირი ერთ-ერთი მათგანია. ქრისტოფერ ვალტერის კვლევის მიხედვით, თეოდორე სტრა-ტილატი არის „ასლი“ იმ წმინდა თეოდორესი, რომელიც თა-ვისი მოღვაწეობითა და ქრისტესადმი ერთგულებით გამოირ-ჩეოდა და ქრისტიანულ სამყაროში პოპულარობით სარგებ-ლობდა ჰირველ საუკუნეებში და რომლის ჰაგიოგრაფიული ტრადიციაც იწყება ტაძარში წარმოთქმული ‘Encomium’-ის (ნიშნავს შექებას, ხოტბას) ტექსტით. აღნიშნული ხოტბითი ტექსტი მიეწერება გრიგოლ ნოსელის (Gregory Nyssa). ამავე თეოდორეს „ტყუპისცალად“ კი ავტორი მოიხსენიებს თეოდო-რე ტირონს (Walter, 1999: 163).²

„თეოდორე სტრატილატის წამების“ შემცველ ნუსხებად კორნელი კეკელიძეს დასახელებული აქვს: A-1103 (242-254), ბოდლე (169-179), A-382, A-388³ (კეკელიძე: 1957: 126-127).

ენრიკო გაბიძაშვილი თხზულების ორ რედაქციას ასახე-ლებს – კიმენურსა და მეტაფრასულს. კიმენური რედაქცია და-ცულია ნუსხებში: A-199, A-382, A-388, A-1103, A-1076, ბოდ-ლე-1 (გაბიძაშვილი, 2004: 214), მთარგმნელი არ არის მითითე-

¹ კამლაძე, ა. (1992). სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბილისი, „ხელოვნება“, გვ.: 82-112.

² თეოდორე სტრატილატისა და თეოდორე ტირონის ურთიერთმი-მართების შესახებ იხ. ქავთარია, 1966: გვ.: 193-195; გაბიძაშვილი, 2010: 160.

³ აქ ფურცლები აღარ აქვს მითითებული.

ბული, თუმცა თავისი შრომების || ტომში აღნიშნავს, რომ „თეოდორე სტრატილატის წამება“ ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია და ნუსხებად უთითებს ბოდლე-1-სა და A-1103-ს (გაბიძაშვილი, 2010: 160). იმავე შრომების || ტომში შემავალ სტატიაში („უცნობი ბიზანტიური ჰაგიოგრაფი ძველ ქართულ ნათარგმნ მწერლობაში / ნიკიფორე ურანოსის „თეოდორე ტირონის მეტაფრასული წამება“) თეოდორეს წამების მეტაფრასული თხზულების შესახებ მსჯელობისას მკვლევარი სრულიად მოულოდნელად წერს: „უნდა გამოვრიცხოთ ის მეტაფრასული თხზულებები, რომლებიც თარგმნილი არის გიორგიზე ადრე (მაგ., ექვთიმეს მიერ თარგმნილი „თეოდორე სტრატილატის წამება“ (გაბიძაშვილი, 2010: 438). ანუ, ამ შემთხვევაში ავტორი ექვთიმეს მიერ თარგმნილად მეტაფრასულ რედაქციას ასახელებს. ვთიქრობთ, აქ უნებლიერ ცდომილებასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან „ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში“ მის მიერ დასახელებული კიმენური რედაქციის შემცველი ნუსხები და შრომების || ტომში მითითებული ექვთიმეს მიერ ნათარგმნი შრომის შემცველი ნუსხები (ბოდლე-1 და A-1103) ერთმანეთს ემთხვევა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბიზანტიური მწერლობა თეოდორე სტრატილატის წამების შემცველ წიგნთა არაერთ რედაქციას იცნობს. ჰალკინი (Fr. Halkini) გამოყოფს 8 ძირითად რედაქციას, რომელთა შიგნით კიდევ შეიძლება ქვერედაქციების გამოყოფა.¹

ექვთიმესეული თარგმანის ბერძნული დედნის გამოცემად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია: *Analecta Bollandiana, tomus II. Ediderunt: Carolus De Smedt, Gulielmus Van Hooff et Josephus De Backer, Paris, 1883, p. 359-367*, ხოლო ავტორად დასახელებულია აბგარ უარი (კეკელიძე: 1957: 126-127; გაბიძაშვილი, 2010: 160).²

¹ *Bibliotheca Hagiographica Graeca, t. II, Bruxelles, 1957, გვ. 277-279.*

² განსხვავებულ ბერძნულ რედაქციად მიჩნეულია: H. Delehaya, *Les Legends...* გვ. 151-167; 168-182.

მიხეილ ქავთარიას აზრით, ექვთიმე ათონელის თარგმანი უშეალოდ არ მომდინაროებს ამ ბერძნული ტექსტიდან. „ექვთიმეს ხელთ პქონია ზემოთ ნახსენები ბერძნული ტექსტის ახლოს მდგომი, მაგრამ განსხვავებული რედაქციის ნუსხა და სწორედ ის გადმოულია ქართულად“, – წერს იგი (ქავთარია, 1966: 196).

ექვთიმეს მიერ შესრულებული თარგმანის ბერძნულ გამოცემაში დაბეჭდილ ტექსტთან შედარების საფუძველზე დარწმუნებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ნამდვილად არ არის ჩვენი თხზულების პირველწყარო და მიხეილ ქავთარიას მოსაზრება აპსოლუტურად სწორია. მართალია, ორივე მათგანი (ბერძნული ტექსტი¹ და ქართული თარგმანი) დიდმონამე თეოდორეს ღვანლისა და მონამეობრივი აღსასრულის შესახებ მოგვითხრობს, ცალკეული ადგილებიც ერთმანეთს თანხვდება და იდენტური მოვლენების შესახებ გვამცნობენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. აღნიშნულის დასტურად რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ:

1. ერთგან ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: „მაშინ, როგორც ადამიანს, დაელაპარა თავის ცხენს და უთხრა: „ვიცი, რომ სათნოუჩანს ღმერთს ყოველი [ქმნილება], ადამიანები თუ პირუტყვი. ამიტომაც ჩემთან ერთად იბრძოლე და ქრისტე განგაძლიერებს შენ, რათა გავიმარჯვო მონინააღმდეგე მტერზე.“²

აღნიშნული ადგილი არ გვხვდება ძველ ქართულ თარგმანში. ის მხოლოდ ‘Analecta’-ს ბერძნულ ტექსტშია დაცული. შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი მონაკვეთი არც რთული დოგმატური ხასიათის მოძღვრებას გადმოგვცემს და არც რაიმე სავარაუდო სარწმუნოებრივი ცდომილების შემცველი შინაარსის ტექსტია. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ექვთიმეს მიერ გამოყენებული პირველწყარო აღნიშნულ ციტატას არ შეიცავ-

¹ იხ. Iconiensis, 1837: 359-367.

² იქვე: 361.

და, რადგან, სხვა მხრივ, გაუგებარია, რატომ უნდა გამოეტოვებინა მთარგმნელს თეოდორეს მარტვილური აღსასრულის წარმომჩენი ჩვენ მიერ დამოწმებული მონაკვეთი (მსგავსი შემთხვევები არაერთია).

2. წარმოვადგენთ საპირისპირო შინაარსის მაგალითს: ექვთიმე ათონელის თარგმანში ერთგან ვკითხულობთ: „ხოლო იგინი რაა ამას იტყოდეს, აჲა ესერა, იხილეს წმიდაზ თეოდორე მდგომარე ლოცვასა შინა. და მოიქცა მათდა პირითა მხიარულითა და ჰრქუა მათ: „შვილნო ჩემნო, მე ვარ თეოდორე, რომელი მკუდრად გეგონა. ღმერთი შურისმეძიებელი, უფალი ღმერთი შურისმეძიებელი განცხადნა და უაღრეს ბუნებისა აღმადგინა მე ბჭეთაგან სიკუდილისათა და მკუდართა თანა შერაცხილი განმაცხოველა ცხორქებისათვს თქუენისა. ან უკუე გრნმენეს თუ იგი, უმეტესი ამისა იხილოთ.“ ამას იტყოდა რაა ნეტარი თეოდორე, იგინი განცეპრებულ იყვნეს და იჭუეულ, უკუეთუ ნანდყლვე თეოდორე არს იგი, სტრატილატი. ხოლო წმიდამან მონამემან დასწერა მათ სასწაული ჯუარისაა და აღივსნეს მადლითა და განეხუნეს თუაღნი გულთა მათთანი და ღაღატყვეს წმითა მაღლითა.“

დამოწმებული ფრაგმენტი მხოლოდ ქართულ თარგმანშია დაცული და არ შედის ‘*Analecta*’-ს ბერძნულ ტექსტში (იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 366). მიგვაჩინა, რომ თეოდორეს მონამეობრივი ლგანლის ალწერისას პირველწყაროსაგან დამოუკიდებლად ამგვარი სახის განვრცობა და დაკონკრეტებული შინაარსის ცნობების წარმოჩენით თვითშემოქმედება შეუძლებელი მოვლენა იქნებოდა (მსგავსი შემთხვევებიც არაერთია).

3. ექვთიმე ათონელის თარგმანში ერთგან ვკითხულობთ: „ლოდნი მის ადგილისანი შეიმუსრვოდეს და ხენი ირყეოდეს.“ ‘*Analecta*’-ს ბერძნული ტექსტი კი შემდეგს გვამცნობს: „იმ ადგილის ლოდები იმუსრებოდნენ და მინა იძვროდა“ (იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 361). როგორც დამოწმებული წყაროები ცხადყოფენ, ექვთიმესეულ თარგმანში ხეთა ძვრაზეა საუბარი, ხოლო ბერძნულ ტექსტში – მინის რყევაზე. ვფიქრობთ, წარმოდგენი-

ლი მონაცემი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ექვთიმე ათონელი განსხვავებული ბერძნული რედაქციით ხელმძღვანელობდა, რომელშიც გამოყენებული იყო სიტყვა „ხე“ („ხენი ირყეოდეს“). წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ უნდა შეცვლილყო ქართულ თარგმანში სრულიად უწყინარი და ყოფითი მონაცემი განსხვავებული ცნობით: „მინა იძვროდა.“

ამდენად, რადგანაც ‘Analecta Bollandiana’-ში გამოქვეყნებული ტექსტის ავტორი აბგარ უარია, გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ ექვთიმესეული თარგმანის ბერძნული ვერსიის ავტორიც ის არის.

თავად ექვთიმე ათონელი ანდერძში აღნიშნავს, რომ მან საანალიზო თხზულება ახლად თარგმნა: „სახელითა ქრისტესითა აღესრულა [ლა] წამება წმიდისა და დიდებულისა მონამისა თეოდორესი, გამოთარგმნილი ახლად ბერძულთა წიგნთაგან წელითა გლახისა და ცოდვილისა ეფთვმესითა.“ ეს მეტყველებს იმაზე, რომ მანამდე არსებობდა თეოდორე სტრატილატის წამების შემცველი ტექსტის სხვა თარგმანი. მიხეილ ქავთარიას აზრით, ეს სწორედ ის რედაქცია უნდა იყოს, რომელიც გამოაქვეყნა ალექსანდრე ხახანაშვილმა.¹

A-199 ნუსხის შესახებ აღვნიშნავთ, რომ ეს სრულიად განსხვავებული რედაქციაა, რომელსაც მცირეოდენი დამთხვევების გარდა, ისიც მხოლოდ ტექსტის დასაწყის ნაწილში, საერთო არაფერი აქვს დანარჩენ ნუსხებთან. სათაურიც სხვაგვარად არის მოცემული: „თუესა ივლისსა² ც წამება ყოვლადქებულისა მთავარმოწამისა თეოდორესი.“ იგი განთავსებულია 70v-72v გვერდებზე და მოცულობითაც საკმაოდ ჩამორჩება სხვა ხელნაწერებს. შესაბამისად, ამ ნუსხის მონაცემები ჩვენს გამოცემაში არ გვაქვს გათვალისწინებული.

¹ Материалы по грузинской агиологии / По рукописям 10 века с предисл. издал А. Хаханов. 1910, Москва: Труды по востоковедению, издаваемые Лазаревским институтом восточных языков; Вып. 31.

² თვეც შეცვლილია. სხვა რედაქციებში ყველგან ივნისია.

მიხეილ ქავთარია A-199 და აგრეთვე H-1336 კრებულში შემავალ ნუსხებს „თეოდორე სტრატილატის წამების“ ახლად გამოვლენილ თარგმანად ასახელებს, ამასთან, ორივეს ნაკლულ ხელნაწერად მოიხსენიებს. შესაძლოა, იმიტომ, რომ ტექსტი მცირე მოცულობისაა, თუმცა ხელნაწერი ნაკლული არ არის. იგი სამართლიანად უთითებს, რომ ეს არ არის ექვთიმესეული თარგმანის უბრალო შემოკლება, არამედ დამოუკიდებელი თარგმანია (ქავთარია, 1966: 198).

მკვლევარმა 1966 წელს გამოსცა „თეოდორე სტრატილატის წამების“ ორივე რედაქცია: ექვთიმე ათონელის თარგმანი სამი ძირითადი ხელნაწერის მიხედვით: A-1103, A-382 და A-388, ხოლო მეორე თარგმანი – ზემოთ მითითებული ორივე (A-199 და H-1336) ხელნაწერის მიხედვით.¹

რაც შეეხება ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრების შემცველ ტექსტს, იოანე და გიორგი მთაწმიდელები ამ თხზულებას მოიხსენიებენ, როგორც „ცხოვრებად დიდისა ათანასესი“, ხოლო კორნელი კეკელიძე ახსენებს „ათანასე ათონელის ცხოვრებას“ და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მის შესახებ წერს, რომ არ შემონახულა. თუმცა ეხება სწორედ იმ შრომას, რომელიც ექვთიმეს მიერ არის ნათარგმნი და სახელწოდებასაც ისე გვთავაზობს, როგორც ეს იოანე და გიორგი მთაწმიდელებთან არის მოცემული. ეტიუდების V ტომში მას მითითებული აქვს ტექსტის ბერძნული ვერსია: BHG, 187 (*Bibliotheca hagiographica graeca* (Delehaye). ამის შემდეგ დასახელებული ჰყავს ათანასი მთავარეპისკოპოსი, ალექსანდრიელი, და ტექსტის დასაწყისი: „მრავალნი წმიდანი შეინუნეს და განიგუმირინეს სურვილითა მით ზეცისათავთ“, რომელიც დაცულია იერუსალიმურ ნუსხაში (Jer.-2: 115-129).²

¹ ქავთარია, მ. (1966). თეოდორე სტრატილატის მარტვილობის რედაქციები: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძებანი, ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 191-217.

² კეკელიძე, 1957: 118; 1980: 207-208.

ეს ადასტურებს, რომ მკვლევარი ათანასე ათონელსა და ათანასე ალექსანდრიელს სხვადასხვა პიროვნებად თვლიდა. სხვაგან იგი წერს: „ცნობა იმის შესახებ, რომ ეფთვიმებ თარ-გმნა, სხვათა შორის, „ცხორებად დიდისა ათანასესი“, გულის-ხმობს არა ათანასე ალექსანდრიელის „ცხორებას“, როგორც ა. შანიძე ფიქრობს, არამედ ათანასე ათონელისას, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შემონახულა“ (კეკელიძე, 1955: შნშ. 1). „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ | წიგ-ნშიც ექვთიმეს მიერ თარგმნილ ჰაგიოგრაფიულ შრომებში დასახელებული აქვს „ცხორებად ათანასე ათონელისად“ (კეკე-ლიძე, 1980: 207).

ენრიკო გაბიძაშვილმა სპეციალურად შეისწავლა საკითხი და დაასკვნა, რომ ეს ათანასე უნდა იყოს არა ათონელი, არა-მედ ალექსანდრიელი,¹ რომლის ცხოვრების კიმენური რედაქ-ციაც შემონახულია ხელნაწერში – Jer.-2. მისი დაკვირვებით: „იოანე ათონელის სიის მიხედვით, ეფთვიმეს უკვე თარგმნი-ლი ჰქონდა თერთმეტი თხზულება, რომელთაგან ყველაზე ადრინდელია „ცხორებად დიდისა ათანასესი.“ აქედან გამომ-დინარე, შეიძლება მიახლოებით ითქვას, რომ ეფთვიმებ დასა-ხელებული „ცხორება“ თარგმნა ყველაზე გვიან, 985-992 წლებში. ცხადია, ამ დროს ათანასე ათონელი ცოცხალი და ჯანმრთელია. აქედან ნათელია, რომ ათანასე ათონელის „ცხორება“ ეფთვიმეს არ შეეძლო ეთარგმნა დასახელებულ წლებში და რომ მან თარგმნა ათანასე ალექსანდრიელის „ცხორება“ (გაბიძაშვილი, 2007: 95). ამიტომაც თავის გამო-ცემაში „ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია“ ე. გაბიძაშვილი თხზულების სათაურს ასახელებს, როგორც „ათანასე ალექ-სანდრიელის ცხოვრება“, თუმცა მთარგმნელს არ უთითებს. დასახელებული აქვს აგრეთვე იმავე თხზულების მეტაფრასუ-ლი რედაქცია იმავე სათაურით (გაბიძაშვილი, 2004: 121). სხვაგან იგი წერს, რომ ათანასე ალექსანდრიელის „ცხოვრე-

¹ გაბიძაშვილი, 2007: 93-96.

ბის“ ქართული თარგმანი (Jer-2. 115-129)¹ გამოცემული არ არის, ბერძნული დედანი კი გამოცემულია: P.G.25, CCXXIII-CCXLVI (გაბიძაშვილი, 2010: 199).

აკაკი შანიძეც თვლიდა, რომ ექვთიმეტ ათანასე ალექსან-დირიელის (ცხოვრება თარგმნა და არა ათანასე ათონელისა (შანიძე, 1946).

ათანასე I დიდი (დაახლოებით 297-373) ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი იყო, რომლის ხე-ნების დღეც ორჯერ აღესრულება: ახალი სტილით 15 მაისს (ძველი სტილით 2 მაისს) და 31 იანვარს (ძველი სტილით 18 იანვარს). განსაკუთრებული დამსახურებების გამო მას ამავ-დროულად ეპითეტი „დიდი“ განეკუთვნა. ასე რომ, ათანასე დიდი და ათანასე ალექსანდრიელი ერთი და იგივე პიროვნებაა. შესაბამისად, იოანე და გიორგი მთაწმიდელების მიერ დასახე-ლებული ნაშრომის – „ცხორებად დიდისა ათანასესი“ – მთა-ვარ გმირად სწორედ ათანასე ალექსანდრიელი უნდა იგულის-ხმებოდეს. იერუსალიმურ წუსხაში დაცული ნათარგმნი ძეგ-ლის სათაურში, მართალია, „დიდი ათანასე“ არ ჩანს და ის იყითხება, როგორც „ცხორებად და ღუაწლნი წმიდისა და ნე-ტარისა მამისა ჩუენისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექ-სანდრიელისად“, მაგრამ ტექსტში ათანასე ალექსანდრიელი „დიდ ათანასედ“ მოიხსენიება ავტორისა და, შესაბამისად, მთარგმნელის მიერ: „უმეტესად აღივსო მადლითა მით სამო-ციქულოთა დიდი ათანასე, რომელი-იგი ეპისკოპოსთა შორის დიდისა მის და სახელოვნისა ქალაქისა ალექსანდრიისა მთიე-ბი გამობრწყინდა.“ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ იოანე და გიორგი მთაწმიდელებმა ექვთიმეტ ათონელის მიერ ნათარგმნი ძეგლის სათაურში „დიდი ათანასე“ გაიტანეს.

¹ „ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში“ 115v-120v გვერდებს უთი-თებს (გაბიძაშვილი, 2004: 121). რეალურად იგი განთავსებულია 115v-126v გვერდებზე.

ათანასე ალექსანდრიელის სულიერი ახოვანება იმდენად ფასობდა და სამაგალითო იყო ეკლესიის წევრებისათვის, რომ მისი ცხოვრების სამი რედაქცია შეიქმნა, რომელიც „ბერძნული პატროლოგის“ 25-ე ტომშია გამოქვეყნებული. პირველი ანონიმ ავტორს ეკუთვნის (იხ. PG. 25. col. CLXXXV-CCXI); მეორე ფოტი პატრიარქის სახელს უკავშირდება (იხ. PG. 25. col. CCXI-CCXXII); მესამე რედაქცია კი ათანასე დიდის ცხოვრების მეტაფრასული ვერსიაა (იხ. PG. 25. col. CCXXII-CCXLVII).

ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი ათანასე დიდის ცხოვრების შედარებაში თითოეულ დასახელებულ რედაქციას-თან იმდენად დიდი სხვობა გამოავლინა მათ შორის, რომ ქართული თარგმანის პირველწყაროდ „ბერძნულ პატროლოგიაში“ გამოქვეყნებულ ვერც ერთ ბერძნულ ტექსტს ვერ მივიჩნევთ. ჩვენი აზრით, პირველწყარო სხვა, ხსენებული ტექსტებისაგან განსხვავებული, ბერძნული ტექსტი უნდა ყოფილიყო.

ცნობილი ფაქტია, რომ ექვთიმეს მთარგმნელობით საქმიანობას, არსენ იყალთოელის შეფასებიდან გამომდინარე¹, სამეცნიერო ლიტერატურაში „კლება-მატება“ ეწოდა, რაც სათარგმნი წყაროების შემოკლებასა თუ განვრცობას გულისხმობდა, მაგრამ ყველა მსგავსი შემთხვევა ობიექტური მიზეზით იყო განპირობებული. კერძოდ, როდესაც ექვთიმე ხედავდა, რომ სათარგმნი წყაროში გადმოცემული ზოგიერთი ღრმა საღვთისმეტყველო მოძღვრება ჯერ კიდევ მოუმზადებელი მკითხველისათვის არასწორი აღქმისა და სარწმუნოებრივი ცდომილების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო, ის კლებას მიმართავდა; იმ შემთხვევაში, თუკი ბერძნულ ტექსტში მოკლედ გამოთქმული თეოლოგიური

¹შდრ. „მას მადლითა სულისა წმიდისათა ჭელეწიფებოდა შემატებაცა და დაკლებაცა“ (იოანე დამასკელი, დიალექტიკა. (1976). ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბილისი, გვ. 67.

დებულება ასევე გაურკვევლობას გამოიწვევდა სათანადო საკითხებში ნაკლებად განსწავლულ ქართველ მყითხველში, ის მას შეგნებულად განავრცობდა, რომ თარგმანში გადმოცემული საკითხები დოგმატური აკრიბით გაეცნობიერებინათ.

ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი სტილის შესწავლა თვალნათლივ წარმოაჩენს, რომ ზემოხსენებული საღვთისმეტყველო მეთოდი ჰაგიოგრაფიული უანრის მწერლობაში ნაკლებად ვლინდება და თუკი არაარსებით განსხვავებას არ გავითვალისწინებთ, როგორც წესი, ექვთიმე ბერძნულ დედანს ზედმიწევნითი თანმიმდევრობით თარგმნიდა. ჰაგიოგრაფიულ უანრში „კლება-მატების“ მეთოდის მინიმალური გამოყენება სათარგმნი წყაროების შინაარსით არის განპირობებული. საქმე ისაა, რომ წმინდანთა ცხოვრების შემცველი ტექსტები უმეტეს შემთხვევაში არაა დატვირთული ღრმა დოგმატური სწავლებებით. ისინი, არსებითად, კონკრეტული მოღვაწის ცხოვრებაში მომხდარ განსაკუთრებულ მოვლენებს გადმოვცემენ და უდიდესი ნაწილი ისტორიული შინაარსის ცნობებს ეთმობა. ამდენად, ასეთი ტექსტების თარგმნისას ექვთიმე ათონელისათვის „კლება-მატების“ აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან ბერძნულის შესაბამისი ქართული ტექსტი მყითხველს არც გაურკვევლობას უქადდა და არც სარწმუნოებრივი ცდომილების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩინია, რომ ექვთიმე ათონელს ათანასე ალექსანდრიიელის ცხოვრების შემთხვევაშიც განსხვავებული ტექსტი ჰქონდა ხელთ, რომელიც არ თანხვდება ‘Analecta’-სა თუ „პერძნულ პატროლოგიაში“ გამოქვეყნებულ ტექსტს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, „ფებრონიას წამება“ და „ათანასე ალექსანდრიიელის ცხოვრება“ წინამდებარე გამოცემაში დაპეჭდილია თითო-თითო ნუსხის მიხედვით, „ბასილი კესარიელის ცხოვრების“ ძირითად ნუსხად შერჩეულია A-19 (X. ს.), სქოლიოში ჩატანილია A-1103 (X / XI ს.) და ქუთაისი-16 (K-16) (XVII ს.) ნუსხათა მონაცემები, რომელიც, შესაბამისად, B და C ლიტერებითაა აღნიშნული, „თეოდორე

სტრატილატის „ნამების“ ძირითადი ნუსხაა A-1103, ხოლო სქოლიოში ასახულია ბოდლე-1 (XI ს.), A-388 (XII-XIII სს.) და A-382 (XV ს.) ნუსხების იკითხვისები, რომლებიც, შესაბამისად, B, C და D ლიტერებითაა წარმოდგენილი.

როგორც გამოცემის I ტომის შესავალში ვუთითებთ, ჩვენი პროექტის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს ქართულ თარგმანებთან ერთად ბერძნული ტექსტების გამოქვეყნებაც (არსებობის შემთხვევაში). წინამდებარე II ტომში შესულ თხზულებათაგან მხოლოდ ერთს მოეპოვება ბერძნული ვერსია. ესაა „ცხონრება წმიდისა ბასილი კესარიელისაა.“ ამიტომ, გამოცემაში მხოლოდ მას ახლავს პარალელური ბერძნული ტექსტი.

ქართული ხელნაწერი ტრადიციისადმი უცხოელთა განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, ტომში შეტანილია ტექსტების ინგლისური თარგმანებიც.

პროექტი ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის ბაზაზე ხორციელდება. ძირითად პერსონალს შეადგენენ წამყვანი დაწესებულების – ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის – წევრები, რომლებიც, ამავე დროს, წარმოადგენენ სხვადასხვა ორგანიზაციას (ვასახელებთ ცოტა ქვემოთ).

პროექტი პროდუქტია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბირმინგემის უნივერსიტეტის ტექსტოლოგიისა და ელექტრონული აკადემიური გამოცემის ინსტიტუტს შორის არსებული საერთაშორისო პარტნიორობისა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სტრუქტურირებული საღოქტორო პროგრამების განვითარების პროექტის¹ – „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“ – ფარგლებში. ამ ინსტიტუტის დირექტორი 2005-2017 წლებში, ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი დევიდ ჩარლზ

¹ განხორციელდა 2016-2019 წლებში (სამეცნიერო ხელმძღვანელები: ქეთევან გიგაშვილი და მაია ნინიძე).

პარკერი, დასახელებული და აგრეთვე წინამდებარე პროექტის უცხოელი კონსულტანტია.

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და კრიტიკული აპარატი დაურთეს ლია კიკნაძემ (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგის დოქტორი), ქეთევან გიგაშვილმა (ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი), ირაკლი ორშონიამ (თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის ხელმძღვანელი, გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი, თეოლოგიის დოქტორი), გრიგოლ ბენდელიანმა (თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კურსდამთავრებული, თეოლოგიის მაგისტრი) და მაია ჯანგიძემ (ფილოლოგიის დოქტორი). ბერძნულ მასალაზე იმუშავა ირაკლი ორშონიამ. ტექსტები ინგლისურად თარგმნა ეკატერინე ჯინორიძემ.

ტომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ ათონის ივირონის მონასტრის ბერს, ბიბლიოთეკის მესვეურს – თეოლოგოსს, რომელმაც ათონური ხელნაწერების ციფრული ვერსიები მოგვაწოდა და მათი ელექტრონული გამოცემის უფლება მოგვცა; ასევე – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის უფროსს, მთავარ მეცნიერთანამშრომელ თამარ აბულაძეს, საფინანსო ადმინისტრაციული განყოფილების საქმისწარმოების სამსახურის მთავარ სპეციალისტ ნათია ვეკუას, გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკის გამგეს, ისტორიის დოქტორს, პროფესორ ირაკლი ლორთქიფანიძეს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ ნანა ყარაულაშვილს.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე ბეჭდური გამოცემის პარალელურად მომზადდა ელექტრონული აკადემი-

ური გამოცემაც, რომელიც განთავსებულია პროექტის ბაზაზე შექმნილ სერვერზე (იხ. www.athosschool.ge).

სამეცნიერო კვლევით მივიღებთ თითოეულ საქმიან შენიშვნას და გავითვალისწინებთ შემდგომი მუშაობისას.

ଶ୍ରୀମତୀ



მეცნიერება
საქართველო
სამხრეთი – 8 ივლისი (25 ივნისი)

[A-1769]
[cod. Ivir. georg-79]

[წამებად წმიდისა ფეხრონიახსი]

[A-1769: 2r] ...ტანჯვად ქრისტეანეთა, რომელნიმე ცეც-
ხლად მისცნის, რომელნიმე მახვლითა მოსრნის და წორცნი
მათნი მწეცთა საჭმლად მიუყარნის. და დაეცა დიდი შიში და
ძრწოლად აღმოსავალისა კერძოთა უკეთურებისაგან უწყა-
ლოხსა მის სელინოსისა, რამეთუ იყო იგი მწეცებრ მძვნვარე
და მტერ ქრისტეანეთა.

ხოლო ლჲიძიმახოს ქრისტეანისა დედისა შვილი იყო და
სწყალობდა ქრისტეანეთა. ამისთვისცა ლამესა ერთსა მოუწო-
და პრიმოს კომსისა და პრექუ მას: „შენ უწყი, უფალო ჩემი
პრიმოს, რამეთუ, დალაცათუ მამად ჩემი წარმართობასა შინა
და მონებასა კერპთასა მოკუდა, არამედ დედად ჩემი ქრისტე-
ანე იყო და დიდი მოსწრაფებად აქუნდა, რათამცა მეცა ქრისტე-
ანე მყო, არამედ შიშისაგან მეფისა და რიდობისაგან მამისა
ჩემისა ვერ აღასრულა ნებად მისი. ხოლო მრავალგზის მეტყვე-
ქრისტესთვს და მცნებასა მომცემნ, რათა არაოდეს ვტანჯო
ქრისტეანე, არამედ, რათა მეცა ვისწრაფო ქრისტეანეყოფად.
და ან ვხედავ, ვითარ უწყალოდ მოსწყუედს ქრისტეანეთა
უღმრთოე ესე და უწყალოდ მამის ძმად ჩემი და ელმის ფრიად
სულსა ჩემსა. ან უკუე მნებავს, რათა, რავდენცა ძალგიც,
ფარულად განუტეობდე ქრისტეანეთა და არა მოსწყდენ ყო-
ველნი წელითა ამის ურჩულოდესათა.“

ესე რად ესმა პრიმოსს, არღარა მოსწრაფე იყო პყრობად
ქრისტეანეთა, არამედ უფროდესად მიუმცნებდა [2v] მონას-
ტერთა და ეკლესიათა, რათა ივლტოდინ პირისაგან სელინო-
სისა. წარემართნეს უკუე მესოპოტამი(ი)თ, რომელ არს შუამ-
დინარე, და მიჰმართეს ნისიბი ქალაქსა, რომელი-იგი არს
საზღვართა ასურასტანელთასა და საბრძანებელსა ბერძენთა-
სა.

ხოლო იყო მას ქალაქება შინა მონასტერი დედათავ, რომელსა შინა იყვნეს ენკრატისნი მოწესენი, ერგასისნი, რომელთა უძლოდა დედად, ბრენი სახელით, რომელი-იგი მოწაფე ყოფილიყო პლატონია დედადიაკონისად, რომელი იყო პირველ მისა და ყოველივე წესი და კანონი მისი ვიდრე აღსასრულად-მდე კეთილად დაიმარხა, რამეთუ ესე იყო კანონი პლატონიადსი.

დღესა პარასკევსა არარას საქმესა შურებოდეს დანი იგი, არამედ შეკრბიან ეკლესიად და ოდესმე გალობდეს და ოდესმე წიგნი წელად მიიღის დედადიაკონმან და საღმრთოთა წერილთა უკითხავნ სახლთა მათ და ვიდრე მესამედ ჟამად-მდე იგი თავადი იკითხავნ წიგნსა და მერმე მისცის წელთა ბრენისათა და უბრძანის კითხვად ვიდრე მიმწუხრამდის. ეგ-რეთვე შემდგომად მისა ბრენი აღსასრულებდა ამას წესსა.

ხოლო ბრენსა აღეზარდნეს ორნი ქალწულნი კეთილად, რომელნი-იგი წურ[od. Ivir. georg-79: 7]თილ იყვნეს ყოველსა წესსა მოღუანებისასა. სახელი ერთისაა მის – პროკლა და მეორისაა მის – ფებრონია. იყო პროკლა ოცდახუთის წლის და ფებრონია – ოცის წლის. და იყო ფებრონია დისწული ბრენისაა და შუენიერ ხილვითა, ვთარლამცა არასადა იპოებოდა დედათა შორის ეგვეითარი სახე, ჰასაკითა გუამისათა გრძელ და პირითა შუენიერ, რომელ არა შესაძლებელ იყო უმეტესობად კაცთა შორის. ხოლო ბრენსა დიდი მოღუანებად აქუნდა, რათამცა დაიცვა სიწმიდით და უბინოდ ფებრონია, ხედვიდა რად ფრიადსა მას ქმნულკეთილობასა პირისა მისისასა.

და ყოველნი იგი დანი მწუხრითი მწუხრად მიიღებდეს საზრდელსა, ხოლო ფებრონიას უბრძანა ბრენმან, რათა ორორით მიიღებდეს ჭამადსა. ეგრეთვე უკუე ფებრონიაცა იღუნიდა და არცა პურითა, არცა წყლითა განაძლებდა სადა თავსა თვესა. ხოლო აქმნია სკამიცა მცირესა მისა წყრთისაა, სიგრძე და სივრცე მტკაველი და ნახევარი და მას ზედა მიწვებოდა განსუენებად. ხოლო ოდესმე წმელსაცა ქუეყანასა ზე-და დაწვის ჟამსა ძილისასა უმეტესისა წორცთა ტანჯვისათვს.

[7v] ხოლო მო-რაპ-ინის მის ზედა განსაცდელი საეშმაკო უცნებითა ღამისახთა, მეყსეულად ალდების და ევედრებინ ღმერთსა ცრემლით ოტებად მისგან განსაცდელსა მას ეშმაკისასა და აღალის წიგნი და ინურთინ საღმრთოთა წერილთა, რამეთუ იყო იგი სწავლის მოყუარე. და აღივსო ყოვლითავე სწავლულებითა, ვიდრედა განკურვებულ იყო ბრენიცა სწავლულებასა მისას.

და დღესა პარასკევსა შემოკრბიან რად ყოველნი ეკლესიად, მისციან წიგნი ფებრონიას და დღე ყოველ უკითხავნ წმიდათა მათ მოწესეთა. ხოლო შემოკრბებოდეს ქალაქისაგან-ცა დედანი სეფექალნი სმენად სიტყუათა სარგებლისათა და ამისთვის ბრძანა ბრენმან შინაგან კრეტსაბმელისა დაჯდომად ფებრონიახსი და ეგრეთ კითხვად წიგნისა, რათა არცა სადა მამაკაცისა ხატი იხილოს, არცა დედაკაცისა სოფლიოხსა. და განისმა მოღუანებისა და სიკეთისა მისისა სახელი ყოველსა მას ქალაქსა. ხოლო იყო იგი მშკდ ფრიად და მდაბალ უფროს ყოველთა მათ დათა.

ესმა მისთვის სეფექალსა ვისმე, სახელით იერია, და სწადოდა ფრიად ხილვად ფებრონიახსი და სმენად სიტყუათა მისთავ. და იყო იგი წარმართ, რომელსა დაყყო ქმრისა თანა მისისა ექუს თუე და დაქურივებულიყო და ამისთვის მოქცეულიყო თვალდვე [II] ქალაქად.

და ჯდა მყუდროებით სახლსა შინა თვალსა მშობელთა თვალთა თანა, რომელნი-იგი წარმართვე იყვნეს. ესე მოვიდა მონასტრად და მიუმცნო პირითა მეკარისახთა ბრენსა, ხოლო განვიდა რად ბრენი ხილვად მისა, შეუვრდა იგი ფერწა ბრენისათა და ჰრეპუა: „გაფუცებ ღმერთსა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანად. ნუ მომიძაგებ მე წარმართსა ამას და არაწმიდა(სა), რომელი აქამომდე საკიცხელ კერპთა ქმნილ ვარ და ნუ დამაწუებ ხილვისა და სიტყუსაგან დისა ჩემისა ფებრონიახსა, რათა ვიცნა თქუენ მიერ გზად იგი ცხორებისა, რათა ვიდოდი მას შინა და ვცნა, რაც-იგი განმზადებულ არს ქრისტეანეთადა და მივემთხვო კეთილთა მათ, რომელთა ჰქა-დაგებთ. მიწსენით მე ამაოებისაგან ამის სოფლისა და არაწ-

მიდებისაგან კერპთავსა, რამეთუ მაიძულებენ მშობელნი ჩემნი მეორედ ქორწინებად, არამედ იყავნ ჩემდა ცხორებაა სწავლად ფებრონიავსი.“

ამას რაა იტყოდა იერია და ცრემლითა დაალტობდა ფერწთა ბრენისათა, ალიძრა გული მისი ლმობიერებად და წყალობად მისა და ჰრეზა მას: „უწყის უფალმან, დედუფალო იერია, რამეთუ ორისა წელინდისაა მოცემულ არს ჭელთა ჩემთა ფებრონია და, აპა ესერა, ათურამეტი წელი აქუს მონასტერსა შინა, რომელ არცა მამაკაცისა ხატი უხილავს, არცა [iv] დედათა ერისკაცთა სახე და არცათუ დედასა მისსა უხილავს აქამომდე პირი მისი, დაღაცათუ მრავალგზის ცრემლითა მევედრა ხილვად მისა და არა შეუნდევ ყოვლადვე ერისკაცთა აღრევად. ხოლო ან სურვილისა მაგისტკს, რომელ გაქუს ღმრთისა მიმართ, შეგიყვანო ხილვად მისა, გარნა სახე მოწესეთაა შეიმოსე ესრეთ უკუე სახითა მოწესეთათა.

შეიყვანა ბრენმან იერია სწავად ფებრონიავსა, ხოლო ფებრონია იხილა რაა იგი შემოსილი სახითა მოწესეთათა, შეუვრდა ფერწთა მისთა, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ უცხოა ვინმე ენკრატისი არს და ამბორსუყვეს ურთიერთას. და უბრძანა ბრენმან ორთავე დაჯდომად. და იწყო ბრძანებითა მისითა ფებრონია კითხვად საღმრთოთა წიგნთა.

ხოლო იერია ესოდენ ლმობიერ იქმნა სწავლისაგან ფებრონიასა, ვიდრელა ლამე ყოველ ორთავე უძილად გარდავლეს, რამეთუ არცა ფებრონია მოწყინე იქმნა სიტყუად, არცა იერია განძლებოდა სმენითა. და ესოდენი ცრემლი დასთხია მან, ვიდრელა ქუეყანად იგი დაალტო ცრემლითა თქსითა. და ვითარცა განთენა, ძლით არწმუნა ბრენმან იერიას წარსლვად სახედ თქსად.

[v] მუნ მოიკითხნა იგინი ცრემლით და წარვიდა სახედ თქსად. და მექსეულად შეწევნითა ღმრთისათა დაარწმუნა მშობელთა თქსთა და მიიღეს წმიდად ნათლისლებად და განთავისუფლდეს საცთურისაგან კერპთავსა და იცნეს მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი. ხოლო ფებრონია ჰკითხვიდა თომაიდას, შემდგო(მ)სა მას ბრენისასა, და ეტყოდა: „გევედრები, დედაო,

ვინ იყო უცხოო იგი და, რომელ ესრეთ აღივსო ცრემლითა, ვითარმცა არაოდეს ასმიოდა სიტყუად ღმრთისა?“ მიუგო თომაიდა და პრქუა ფებრონიას: „ესე იყო იერია, სეფექალი.“ პრქუა მას ფებრონია: „და რად არა მაუწყეთ ჭეშმარიტი, არა-მედ მაცოუნეთ და, ვითარცა დასა, ვეუბნებოდე მას.“ პრქუა მას თომაიდა: „დედოფალმან ჩუენმან და დედამან სულიერმან ეგრეთ ბრძანა.“ და დასცხრა იგი სიტყუად.

ხოლო მათ დღეთა შინა დასწეულდა ფებრონია ვიდრე სიკუდილადმდე. ესმა რაა ესე იერიას, მოვიდა მუნ და არა გა-ნეშორა მას ყოველთა მათ დღეთა უძლურებისა მისისათა, ვიდრე მოვიდა სიმრთელედ. დაწვა ფებრონია სკ(ა)მსა ზედა, ხოლო იგი ჯდა მის ნინაშე განუშორებელად და ჰმსახურებდა ესრეთ – აღსავსე იყო სიყუარულითა მისითა და სურვილითა.

და მათ დღეთა შინა ისმა ქალაქსა მას, ვითარმედ სელი-ნოს და ლუსიმახოს შევლენ ტანჯვად ქრისტეანეთა. მუნ ყო-ველნი [III] ქრისტეანენი, რომელნი იყვნეს ქალაქსა მას – მღდელნი და მოწესენი და ერისკაცნი – დაუტეობდეს საყო-ფელთა თვესთა და ივლტოდეს, ვიდრელა ებ(ი)სკოპოსიცა დაი-მალა შიში(სა) მისგან მძლავრთავსა. ცნეს ესე დათა მათ, რო-მელნი იყვნეს მას მონასტერსა შინა და მოუწდეს დედადია-კონსა ბრენსა და ეტყოდეს: „რაა-მე ვყოთ, დედაო, რამეთუ მწეცნი ესე მოინინეს აქა და ყოველნი ივლტიან შიშისაგან მა-თისა?“ პრქუა მათ ბრენმან: „და რაა გნებავს, რათა გიყო თქუენ?“ პრქუეს მათ: „რათა გუბრძანო ჩუენცა სილტოლად და მცირედ დღე დამალვად, რათა განვარინნეთ სულნი ჩუ-ენნი.“

მიუგო ბრენმან და პრქუა მათ: „არღა გიხილავს ბრძო-ლად და სილტოლად გ(ა)ნემზადებითა? არღა შესრულხართ წყობასა და ანვე მეოტ ხართ. ნუ, შვილნო, გევედრები, ნუ ეს-რეთ, არამედ დავდგეთ და ვილუანოთ, მოვსწყდეთ ქრის-ტესთვს, რომელმან ჩუენთვს გემოდ სიკუდილისად იხილა, რათა ვცხონდეთ მის თანა.“

ესე რაა ესმა დათა მათ, დადუმნეს და ხვალისა დღე ერთმან მათგანმან, სახელით ეთერია, პრქუა სხუათა მათ და-

თა: „უწყი მე, რამეთუ ფებრონიადსთვეს არა შემინდობს დედად ჩუენი წარსლვად ამიერ, არამედ ჰენებავს მისთვეს ჩუენ ყოველთა წარწყმედად. ამისთვეს, აპა ესერა, გეტყვ თქუენ...“¹

[1r]...ლოთა მათ მწედართაგანი მივიდა, ჰრეუა სელინოსს: „ვიზილეთ მონასტერსა მას ქალი, დიდად შუენიერი, და მისთვეს იტყვს პრიმოს კომისი უფლისა ჩემისა ლუსიმახოს ქორწინებისათვეს.“ ესე რად ესმა სელინოსს, აღივსო გულისწყრომითა და მეყსეულად წარავლინნა მწედარნი მცველად, რათა ვერ განერნენ იგინი და განავლინა ქადაგი წმობად, ვითარმედ ხვალე ყოვლისა ერისა წინაშე განკითხვად იქმნების ფებრონიადის. ესმა ესე არათუ ოდენ მკუდრთა ქალაქისათა, არამედ გარეშეთაცა და შემოკრბა სიმრავლე მამათა და დედათად ურიცხვ ხილვად ღუანლსა მას ფებრონიადსა.

ხოლო განთიად მივიდეს მწედარნი მონასტრად და დაკუეთეს ფებრონია სკამისა მისგან, რომელსა ზედა წვა ქუეყანად და დასდვეს ჯაჭვ ქედსა მისსა და ზიდვიდეს განყვანებად მონასტრისაგან. ხოლო ბრენი და თომაიდა მოეხვენეს ფებრონიას და მწარედ ვაებდეს და ევედრებოდეს მწედართა მათ, რათა დრო სცენ სიტყუად ფებრონიადსა.

შეეწყალა მწედართა მათ ფებრონია და ულხინეს მას. და ევედრებოდეს ბრენი და თომაიდა, რათა წარჟყვენ იგინიცა ღუანლსა მას, ნუუკუე მხოლოდ მივიდეს ფებრონია და შეშინდეს, ხოლო მწედართა მათ თქუეს: „არა გუაქუს ბრძანებად წარყვანებად [1v] თქუენდა, არამედ ფებრონიადსა.“

ხოლო მაშინ იწყო ბრენმან სიტყუად ფებრონიადსა: „აპა ესერა, შვილო ჩემო, მიხუალ წამებად. ეკრძალე, რამეთუ სიძე იგი ზეცისაა ხედავს ღუანლსა შენსა და ანგელოზთა უპყრიეს გვრგვი ძლევისაა. ან იხილე, ნუ შეუშინდები სატანჯველთა, რათა არა ექმნე საკიცხელ ეშმაკთა. ნუ გშურან წორცნი შენი სატანჯველთათვეს, რამეთუ ესე წორცნი, გვნდეს თუ არა, საფლავად მიეცემიან და მიწად გარდაიქცევიან. აპა ესერა, მე ვზი და ვგოდებ მონასტერსა შინა და მოველი ჰანბავსა

¹ ამის შემდეგ 1 ფურცელი დაკარგულია.

შენთვის, გინათუ კეთილსა, გინათუ ბოროტსა. გევედრები, შვილო, სმენაშმცა კეთილი მასმია შენთვის, ვინმე მითხრას, თუ ფებრონია მისცა თავი თვისი ქრისტესთვის სატანჯველთა, ვინმე მახაროს, თუ ფებრონია აღესრულა და მოწამეთა შეერთო.“

მიუგო ფებრონია და ჰრქიუა მას: „მრწამს ღმრთისაა, დედაო ჩემო, ვითარცა არასადა გარდავჭიედ მცნებასა შენსა, არცა ან გარდავჭიედე ბრძანებასა შენსა. არამედ იხილონ ერთა და განკურდენ და ჰნატრიდენ სიბერესა ბრენისასა და თქუან ჭეშმარიტად: „ნერგი ესე დიდისა ბრენისად არს.“ და ვაჩუენონ ბუნებითა დედა[2r]თავთა გონებად მწენე და ახოანი შეწევნითა ქრისტესითა. ლოცვა ყავთ უკუე და კურთხევით წარმგზავნეთ.“ ჰრქიუა მას თომაიდა: „ცხოველ არს უფალი, შვილო ფებრონია, საერისკაცოდ სამოსელი შევიმოსო და მოვიდე ხილვად ღუანლისა შენისა.“

ხოლო მწედარი ასწრაფობდეს მას. ჰრქიუა კუალადცა ფებრონია: „გევედრები, დედანო კურთხეულნო, მომეცით საგზლად ლოცვად თქუენი და წარვიდე.“ მაშინ განიპყრნა ბრენმან წელნი ზეცას და თქუა წმითა მაღლითა: „უფალო იესუ ქრისტე, რომელი გამოუჩნდი თეკლას ღუანლსა შინა სახითა პავლესითა, მოედ ანცა შეწევნად მდაბლისა ამის მწევლისა შენისა.“

ესე თქუა და შეიტყბო ფებრონია და ამბორსუყო ცრემლით და წარგზავნა და თვთ მოიქცა მონასტრად. გოდებით შევიდა ეკლესიად, დავარდა პირსა ზედა და ევედრებოდა ლმერთსა ფებრონიასთვის. ხოლო მწედართა წარიყვანეს იგი მძლავრისა. მაშინ თომაიდა შევიმოსა სამოსელი საერისკაცოდ, დაუტევა ბრენი ეკლესიასა შინა და წარვიდა ხილვად ღუანლსა მას.

ესმა ესე ყოველთა მათ დედათა, რომელნი შეკრბიან დღესა პარასკევსა მონასტრად და ისმენდიან სწავლასა ფებრონიასსა. [2v] იცემდეს მკერდთა მათთა და ცრემლით მირბიოდეს ხილვასა მას.

One day he saw a waterless cave and spent six days in it. Then he had a dream that they would find this cave too. That is why he came out of the cave and hid in some other place, but fearing that the people who had helped him would be in danger because of him, he left the eastern region and went to the west. The King of this region, Costas, Constantine's brother, had just received the Kingship, because King Constantine had been killed in a battle in the region of Aquileia, near the river Alysia.

Athanasius came to Rome and there he saw Paul, the bishop of Constantinople, who had been expelled from his residence.

They told each other what had happened to them. Then they came to Julius, the archbishop of Rome, and reported everything. They also told everything about their ordeals to King Costas.

Having returned to Rome, Athanasius learned that, according to the council convened in Antioch, the righteous faith should be changed and George should take Athanasius's position, which would be a great disaster for the nation. Athanasius received his letter of appointment as archbishop from the King and the bishop of Julius and returned to Alexandria. When they heard this, supporters of Arius gathered to kill Athanasius. Athanasius was forced to flee. When he saw that the opponents were catching up with him, he took off his priestly clothes and, by the grace of God, he saw a young woman with a pitcher full of water on her shoulder, and he said to her: "Give me that pitcher and go ahead of me to your house." The woman was worried because she recognized Bishop Athanasius. Athanasius reassured her and told her that the supporters of Arius were following him and he will be able to hide and save himself with this appearance.

His pursuers caught up with him and went past him, unable to recognize him because of the change in his appearance: who would have thought that Athanasius was carrying a pitcher of water on his shoulder and following a young woman. When they got home, Athanasius told everything to the woman and asked her not to tell anyone what she had found out. A truly faithful woman kept his instruction as a commandment of God. She wove baskets, took them to the city, sold them, and with the earned money she fed Athanasius, and every evening she washed his feet. Saint Athanasius prayed day and night, trained the woman,

strengthened her fear of God, and made her so holy that she even performed miracles.

He spent eight years this way and thus escaped from the supporters of Arius. No one knew whom he was with. Who would have thought that Athanasius the Great found shelter at such a young woman's house? When Constantine the King died, and Athanasius the Great heard of it, he came to Alexandria at night and entered the church; He entered the sanctuary every night and prayed there. One day, when the priests and people entered the church for the dawn prayer and saw Athanasius, they were greatly surprised that he had not died from the persecution of the followers of Arius. They saw him and thanked the Lord. There was great joy in the city because of his return – everyone ran to see the man of God. There is no need for eloquence here – neither the tongue nor the mind can adequately praise his patience!

After the death of the King, Ivlian took the reign. During his time, they persecuted not only Orthodox Christians but also all Christians. After some time, they had to fight with the Persians. King Ivlian came to the city of Antioch and massacred many Christians there. From there he set off to Persia. When taking part in the battle, he was shot with an arrow, and his wicked life ended. The Church of God gained peace after the persecution of the pagans was eradicated.

Soon Wallis regained the reign and inflicted a cruel winter on the Orthodox. Worse than the first time. He caused anxiety in the Churches of God, and the followers of Arius used the time to kill Athanasius. First, they taught the King the evil teachings of Arius, then they demanded from him the order to kill Athanasius. They said to him: "Do know this, as long as Athanasius lives, the

faith of Arius will not be adopted.” Then the King wrote to the governor of Alexandria to adopt the faith of Arius everywhere. Those who did not accept must have been tortured and driven out of the country, also Athanasius should have been captured and sent out to him, and if he did not obey, he would be killed and his severed head would be sent to him.

Those sent by the King to Alexandria gave the chief this letter, and immediately, like wild beasts, they attacked the flock of Christ, scattered Christians, and began to search for Athanasius. A great tumult arose in the city, because the people opposed them, and made a great sacrifices for Athanasius.

When Athanasius heard this, he put on his work clothes, put on his hat, and thus passed through the city gate and went to the desert on the side of the Upper Thebaid, where five monks lived. Those monks were in great poverty and ate grass because of a strict fast, and had not seen a man for a long time. When they saw Athanasius, they considered him a ghost and did not open the door. Athanasius begged them to let him in and finally, he was forced to confess that he was Athanasius, whom the supporters of Arius were pursuing to kill.

Hearing this, the fire of love flared up in the hearts of the monks. They went outside and saw that it was really Athanasius the Great and they immediately fell at his feet. He made them stand up, blessed them, and told the story of the followers of Arius. He stayed with the monks for some time and strengthened their faith in Christ every day. The monks saw his various activities and said in amazement: “Is this Athanasius, or someone without flesh?” Because the activities fulfilled by Athanasius were

beyond the nature of a carnal man. This is how Athanasius lived and worked in the cruel desert with the Thebaid men.

After a while, King Wallis met an end to his evil faith: defeated in battle, he hid in a castle, where his opponents set fire. That is how he was burnt and the persecution of unjust Arians in the churches of God ended.

Athanasius the Great learned of the end of Wallis by a divine dream. He told the monks and congratulated them on the establishment of peace in the churches. Then he begged them to send him to his church. The monks said goodbye to him and blessed him on his way to Alexandria. When the Alexandrians heard that Athanasius the Great was alive and was coming, met him with candles and palm branches at a distance of six million (9 km) from Alexandria. Athanasius the Great, who returned with glory to Alexandria, was brought into the church, the temple of God: there was great joy and gaiety of the Orthodox and eternal darkness among the followers of Arius. Holy and Godly Athanasius thus spent eight years in the temple, gathered the sheep scattered by the wild heretics (the beast Arians), and revived the flock of Christ.

And so, Athanasius the Great slept with the sleep of the righteous by Christ and obtained the Kingdom of Heaven for countless merits. We have to intercede with his flock to obtain the mercy of Christ, our Lord, on the terrible Day of Judgment, to whom be glory, strength, and power through the Father and the Holy Spirit forever and ever, Amen!

ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში შემავალ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს, | ტომის მსგავსად, ახლავს ინგლისური თარგმანები და „ბასილი კესარიელის ცხოვრების“ შემთხვევაში – ბერძნული ვერსიაც. გამოცემაში ისინი შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: ქართული ტექსტები, ბერძნული ვერსია და ბოლოს – ინგლისური თარგმანები.

კრიტიკული ტექსტის პუნქტუაციური, ორთოგრაფიული და ენობრივი კუთხით მოწესრიგებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ შემდეგს:

სახელმძღვანელოდ აღებული გვაქვს თანამედროვე პუნქტუაციის წესები, როგორც ეს ძველი ტექსტების აკადემიური გამოცემის პრაქტიკაშია მიღებული.

იმავე პრინციპს ვატარებთ ორთოგრაფიის სფეროშიც, კერძოდ: სიტყვებს, რომლებიც დღეს იწერება ერთად, ვწერთ ერთად, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე, ვწერთ ცალ-ცალკე.

მაგ., კომპოზიტებს ვწერთ ერთად: **ნათლისლება** და **არა ნათლის ლება** ან **ნათლის-ლება**, **ნათლისმცემელი** და **არა ნათლის მცემელი** ან **ნათლის-მცემელი**, წინამდებარე და **არა წინა მდებარე ან წინა-მდებარე**, ასევე **თაყუანისცემა**, **თაყუანისმცემელი**, **პატივისცემა**, **პატივისმცემელი**, **ნუგეშინისცემა**, **ნუგეშინისმცემელი**, **ქველისმოქმედი**, და **ა. შ.**.

ნათქვამი ეხება რთული აგებულების ზმნებსაც. ძველი ტექსტების აკადემიურ გამოცემებში დანერგილი პრაქტიკა ერთი და იმავე ენობრივი მონაცემისადმი სხვადასხვაგვარ (არაერთგვაროვან) მიდგომას გვთავაზობს. კერძოდ, კომპოზიტური აგებულების სახელები თუ იწერება ერთად (იგივე ნათლისმცემელი, ან ნათლისმდებელი), ასეთივე შედგენილობის საწყისური ფორმები და ზმნები იწერება დეფისით (მაგ., ნათლის-ცემა, ნათლის-ლება, ნათელ-ილ, სრულ-ყო, ცხადყოფს, წელ-ეწიფების, ძალ-უძს და **ა. შ.**).

ჩვენ ვეცადეთ აღნიშნული ენობრივი მოვლენის მიმართ ერთი საერთო პრინციპი გაგვეტარებინა და ანალოგიური აგებულების სიტყვები დაგვეწერა ერთად, განურჩევლად იმისა, რომელ მორფოლოგიურ ოდენობასთან გვქონდა საქმე – სახელებთან თუ ზმნებთან. ასე რომ, რთულ ზმნებს ვწერთ ასე: ნათელილო, ცხადყოფს, წელენიფების, ძალუძს, გულისჯმავყავ, ამბორსუყოფდა და სხვ. ეს ის შემთხვევებია, როდესაც წარმოშობით პირდაპირი ობიექტი თუ სუბიექტი ზმნასთან არის შერწყმული და ის ცალკე პირად აღარ გაიგება, მაგრამ ისეთ ფორმებს, სადაც პირდაპირი ობიექტი შენარჩუნებულია, ვწერთ ცალ-ცალკე: მაგალითად, პატივს სცემს / პატივი სცა, თაყუანს სცემს / თაყუანი სცა, ნუგეშს სცემს / ნუგეში (ნუგეში-ნი) სცა და ა. შ.

აღნერითი (პერიფრასტული) წარმოების ზმნებს, რომლებიც მარტივ შემასმენლად მიიჩნევა, ვწერთ ერთად: მოქცეულხართ, შენყნარებულხართ, დაჯდომილიყო და არა მოქცეულ ხართ, მოქცეულ-ხართ, შენყნარებულ ხართ, შენყნარებულ-ხართ, დაჯდომილ იყო ან დაჯდომილ-იყო. ნიმუშები: „რომელნიცა... მოქცეულხართ საცთურისაგან... და შენყნარებულხართ უფლისა“; „რომელსა დაეყო ქმრისა თანა მისისა ექუს თუე და დაქურივებულიყო და ამისთვის მოქცეულიყო თვისადვე ქალაქად.“ მონიშნული ზმნები ამ მაგალითებში დინამიკური ვწებითი გვარის | და || თურმეობითის ფორმებია (აღნერითად ნაწარმოები), ამიტომ მათ ვწერთ ერთად.

შედგენილი შემასმენლის ნაწილებს ვწერთ ცალ-ცალკე, როგორც ამას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები გვავალდებულებს. მაგ., „არღარა მოსწრაფე იყო პყრობად ქრისტეანეთა“, „არა შესაძლებელ იყო უმეტესობად კაცთა შორის“, „აღიგსო ყოვლითავე სწავლულებითა, ვიდრე-ღა განკვრვებულ იყო ბრენიცა სწავლულებასა მისისა“, ასევე – უდებ იქმნა, უჩინო იქმნა, სრულ იქმნა (მაგრამ უდებყო, სრულყო, რადგან ესენი რთული ზმნებია და არა შედგენილი შემასმენლები).

ზოგჯერ შედგენილი შემასმენლისა და დინამიკური ვნებითი გვარის აღწერითი ფორმები გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა. ორთოგრაფიის საკითხი ასეთ შემთხვევაში წყდება მათი ფუნქციის გათვალისწინებით: თუ შედგენილ შემასმენელთან გვაქვს საქმე, მის ნაწილებს ვწერთ ცალ-ცალკე, ხოლო, თუ დინამიკური ვწებითი გვარის აღწერითი ფორმა გვაქვს, ვწერთ ერთად, მაგ., „ამას რა ხედვიდეს ერნი იგი, განცვპრებულ იყვნეს, ვიდრელა მრავალთა ვერ თავსიდვეს“; ამ შემთხვევაში მონიშნული ფორმა შედგენილი შემასმენელია (= განცვიფრებულები იყვნენ) და ამიტომ ვწერთ ცალ-ცალკე.

ეს, ეგე, იგი ნაცვალსახელები, სადაც ისინი **ც** ნაწილაკის როლს ასრულებენ და კითხვით ნაცვალსახელებსა თუ ზმნიზედებს მიმართებითობის ფუნქციას ანიჭებენ, დეფისით გამოეყოფიან იმ სიტყვას, რომელსაც დაერთვიან, მაგ.: **რომელსა-ესე, რომელი-ეგე, ვითარ-იგი, სადა-იგი** და ა. შ.

ნინამდებარე გამოცემას ტექსტების შემდეგ მოსდევს სამეცნიერო პარატი, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე ნაწილს აერთიანებს. სანამ მათ შევეხებით, მანამდე აღვნიშნავთ, რომ ჰაგიოგრაფიას, როგორც ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ ჟანრს, გარდამავალი საფეხური უკავია მხატვრულ მწერლობასა და დოკუმენტურ ჟანრს შორის. საგამომცემლო კონცეფციაც სწორედ მისი სპეციფიკის გათვალისწინებით შევიმუშავეთ და ტომს დავურთეთ შესაბამისი, ჟანრის მახასიათებლებს მორგებული კრიტიკული აპარატი. იგი მოიცავს ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ გამოკვლევას, სადაც გაანალიზებული გვაქვს ნუსხათა ურთიერთმიმართებისა და „ბასილი კესარიელის ცხოვრების“ შემთხვევაში – ბერძნულ ტექსტთან დამოკიდებულების საკითხი. ცალკე სტატიაში განვიხილავთ თითოეული თხზულების კრიტიკული ტექსტის დადგენის საკითხებს. „ფებრონიას წამებისა“ და „ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრების“ შემთხვევაში მხოლოდ ტექსტის დადგენის თემაზე ვმსჯელობთ, რადგან ისინი ერთა-დერთ ნუსხაშია შემორჩენილი და, მაშასადამე, აქ არ დგას ნუსხათა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის საკითხი.

სამეცნიერო აპარატის ნაწილს შეადგენს ხელნაწერთა აღწერილობები, რომელიც რუბრიკების სახით გვაქვს წარმოდგენილი. აღწერილობის ჩვენეული სქემა იმ მოდელს ეყრდნობა, რომელიც მოცემულია 2018 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში – „უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში.“¹ აღნიშნული მოდელი ნიმუშად ავიღეთ იმის გამო, რომ ის საუკეთესოდ გვაწვდის ამა თუ იმ ხელნაწერის ირგვლივ არსებულ ინფორმაციას სეგმენტირებული და მოქნილი სახით.

ჩვენ მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები შევიტანეთ მასში, კერძოდ, რუბრიკა „რაობის“ ნაცვლად ვარჩიეთ „უანრი“, ცალკე რუბრიკებად გამოვყავით: „პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა“, „ტექსტის ადგილი კრებულში“, „წინა აღწერილობები“. წინამდებარე ტომში დავამატეთ ასევე რუბრიკები: „მხატვრული გაფორმება“, „მომგებელი (დამკევითი)“ და „ზოგადი შენიშვნები“. სპეციფიკის გათვალისწინებით, ცხადია, ისინი ყველა ხელნაწერთან ვერ იქნება წარმოდგენილი.

შედეგად, მივიღეთ ის სქემა, რომელშიც მოქცეულია ჩვენი ხელნაწერების აღწერილობები. იგი შემდეგი რუბრიკებისგან შედგება:

გადაწერის ადგილი
ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა
უანრი
თარიღი
თანამედროვე ადგილმდებარეობა
ფურცელთა რაოდენობა
პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა
ტექსტის ადგილი კრებულში
საწერი მასალა
მხატვრული გაფორმება
ფურცლის ზომა

¹ „უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები... 2018: 16-18.

სტრიქონთა რაოდენობა
ნაწერის ზომა
სვეტების რაოდენობა
თითოეული სვეტის ზომა
სვეტებს შორის მანძილი
დამწერლობის ტიპი
მომგებელი (დამკვეთი):
გადამწერი
ზოგადი შენიშვნები
ანდერძ(ებ)ი
მინანერ(ებ)ი
წინა აღწერილობები
ბიბლიოგრაფია.

შენიშვნის სახით დავამატებთ, რომ ზოგიერთი რუბრიკა შეიძლება არ ახლდეს რომელიმე ხელნაწერს (სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო). ამასთან, იმის გამო, რომ ათონური და იერუსალიმური ნუსხები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკროფირების სახით გვაქვს და არა ორიგინალების, ის რუბრიკები, რომლებიც ორიგინალთან დაკავშირებულ კოდიკოლოგიურ ინფორმაციას შეიცავს, ვერ იქნება შევსებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭირო ცნობები წინა აღწერილობებშია მოცემული.

სამეცნიერო აპარატის მომდევნო ნაწილია კომენტარები, სადაც თხზულებათა საყურადღებო ადგილები და ფრაზებია განმარტებული. თუ ტექსტში ჩანართებია რომელიმე ბიბლიური წიგნიდან, კომენტარში მითითებულია შესაბამისი წიგნი, თავი თუ მუხლი. საჭიროების შემთხვევაში ახსნილია მისი დამოწების კონტექსტი.

გამოცემას ერთვის შენიშვნები, სადაც კალმისმიერი ლაფსუსებია აღნუსხული გვერდისა და სტრიქონის მითითებით. ენობრივი ცდომილებები აქ არ შემოდის, რადგან მათზე სპეციალურადაა საუპარი სტატიაში – „თხზულებათა კრიტიკული ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები.“ გარდა ამისა, ენობრივად არასწორი ფორმები ჩატანილია

სქოლიოშიც, კრიტიკულ ტექსტში კი ისინი ჩანაცვლებულია რომელიმე სხვა ნუსხის მონაცემით. შენიშვნების ცალკე სა-მეცნიერო რუბრიკის სახით დართვა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ, ჯერ ერთი, სქოლიობი ზედმეტად არ გადაგვეტვირთა და, მეორეც, მისი ნომრები ვარიანტული იკითხვისის ნომრებ-ში არ აგვერია. ამდენად, ტექსტებში ამა თუ იმ სიტყვის ზე-მოთ მიწერილი ნომერი მხოლოდ ამა თუ იმ ნუსხის მონაცემ-ზე მიგვითითებს.

ჰაგიოგრაფიული თხზულებების გმირები რეალური, ის-ტორიული პიროვნებები არიან, რომლებიც რეალურ დროში ცხოვრობდნენ და ღვთის სათნო მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ. უმეტესი ნაწილი მონამებრივად აღსრულა და ქრისტია-ნული ეკლესიის მიერ წმინდანად შეირაცხა. მათ აქვთ თავი-ანთი ხსენების სადღესასწაულო დღეები, არსებობს მათი ხა-ტები და ა. შ. ანუ, მათი სახელები ეკლესიის ისტორიის ნაწი-ლია.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, წმინდანების გვერდით, სხვა ისტორიული პიროვნებებიც გვხვდებიან, იქნებიან ესენი მთავრები, მეფეები, იმპერატორები, მხედართმთავრები თუ სხვ. გარდა ამისა, ამ უანრის ნაწარმოებებში ხშირად იხსენიე-ბიან მითოლოგიური პერსონაჟებიც. აღნიშნულის გათვალის-წინებით, გამოცემას დავურთეთ პირთა და მითოლოგიურ პერსონაჟთა ანოტირებული და არა ანბანური საძიებელი. აქ-ვე აღვნიშნავთ, რომ გვერდები მითითებული არა გვაქვს მხო-ლოდ ფეხრონიასთვის, ბასილი კესარიელისთვის, თეოდორე სტრატილატისთვის და ათანასე ალექსანდრიელისთვის, რად-გან ისინი თხზულებებში თითქმის ყველა გვერდზე მოიხსენი-ებიან. დანარჩენ მოქმედ პერსონაჟებს გვერდები აღნიშნე-ბათ.

მოქმედებები ამა თუ იმ ნაწარმოებში კონკრეტულ გეოგ-რაფიულ არეალში ხდება და, ბუნებრივია, ავტორის მიერ სა-ხელდება ქვეყანა, ქალაქი, დაბა, მდინარე თუ სხვა რომელიმე გეოგრაფიული ადგილი. რამდენადაც თხზულებაში აღწერილი ამბები ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ საუკუნეებში

ხდებოდა, ტოპონიმთა სახელები შეიძლება სხვაობდეს მათი თანამედროვე სახელწოდებებისაგან და საჭიროებდეს ახსნა-განმარტებას. ამიტომ, პირთა და მითოლოგიურ პერსონაჟთა ანოტირებული საძიებლის შემდეგ ტომს ერთვის გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელიც.

სამეცნიერო აპარატის დამამთავრებელი ნაწილია ლექსიკონი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძველი ქართული ენის ლექსიკონები, მის დართვას წინამდებარე ტომისთვის თავისი კონკრეტული მიზანი აქვს: დააფიქსიროს სალექსიკონო ერთეულების მხოლოდ ის მნიშვნელობები, რომლებიც მათ მოცემულ გამოცემაში შესულ თხზულებებში აქვთ. გარდა ამისა, ზოგჯერ ესა თუ ის სიტყვა რომელიმე კონტექსტში განსხვავებული სემანტიკური ელფერით არის ნახმარი, რაც აფართოებს მისი გამოყენების სარეალიზაციო სფეროს. ეს კი ბუნებრივად წარმოშობს ძველი ტექსტებისთვის განმარტებითი ლექსიკონის დართვის აუცილებლობას.

ცხადია, ასეთი ლექსიკური ერთეულების გვერდით ლექსიკონში შეტანილია ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ცნობილი მნიშვნელობით არის გამოყენებული. ლექსიკონის მომზადებისას ვისარგებლეთ შემდეგი ლექსიკონებით: აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001; სინური ოთხთავი, 2010.

**„ბასილი კესარიელის ცხოვრების“ ნუსხათა
ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ ტექსტთან მათი
დამოკიდებულების საკითხისათვის**

„ბასილი კესარიელის ცხოვრების“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, როგორც შესავალ წერილში ვუთითებთ, სამ ნუსხაშია დაცული. ესენია: A-19 (X ს.), A-1103 (X / XI ს.) და ქუთაისი-16 (K-16) (XVII ს.). მათ შესაბამისად A, B და C ლიტერებით აღვნიშნავთ.

ძირითადი ტექსტის შემცველი A ნუსხა X საუკუნეშია გადაწერილი, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, რაც თხზულებას ეტყობა კიდეც: მომდევნო პერიოდის შრომებთან შედარებით იგი ენობრივად დაუხვეწავია, შინაარსი გარკვეულ შემთხვევებში ბუნდოვანია, სინტაქსურ წყვილთა მართვა-შეთანხმების წესები კი – დარღვეული. სათქმელი ხშირად რთული სინტაქსური კონსტრუქციებით არის გადმოცემული, სადაც აზრთა თანმიმდევრობა არ არის დაცული. არის ისეთი შემთხვევებიც, სადაც ერთი წინადადება მთელ აბზაცს მოიცავს. ჩანს, რომ მთარგმნელი ჯერჯერობით კარგად არ არის გარკვეული ძველი ქართული ენის რთულ ენობრივ სისტემაში და უჭირს ქართული სინტაქსური მოდელების აგება. თუმცა, ამის პარალელურად, გვაქვს ენობრივად გამართული ფრაზებიც როგორც მარტივ, ისე რთულ წინადადებებში. დავიმოწმებთ რთული წინადადების მაგალითს:

„იგი თავადი სიბრძნეზ ჭეშმარიტი მიგვძლუეს ცხორებად, რამეთუ აღვდგეთ ესე ყოველნი ცხორებად საუკუნოდ და წარვდგეთ დალიჭა ქრისტესსა, ვითარცა-იგი მასწავებენ ჩუენ წმამალალნი წინაწარმეტყუელნი: ესაია, იერემია, ეზეკიელ, დანიელ, დავით მეფეც და ღმრთისა მონაა პავლე და ამათ თანა თავადი იგი, რომელ ნათლისა მომცემელი არს – რომელმან ცხოვარი იგი მოიძია წარწყმედული, რომელმან განდგომილი იგი ყრმაა წიაღთაგან მამისათა სიმდიდრესა თანა მრა-

ვალსა და ესე უძღებებით წარაგო და მერმე უკუმოიქცა სიმშილითა დამყმარი და სიყუარულით მოიკითხა, სამოსლითა ბრნყინვალითა შეამკო და ბეჭედი მისცა და პური დიდი ყო.“

სინტაქსურად გაუმართავი წინადადებების ნიმუშები: „და მუნჯუესვე შეკრიბნა ყრმანი და მოიყვანნა და იწყო სწავლად მათა ჩუენისა სიმიდესა და უვნებელებასა წორცთასა, სლვასა სიმშვდით, წმასა ზომით, სიტყუასა ჯეროვან, საზრდელსა და სასუმელსა უშფოთველსა, მოხუცებულთა თანა დუმილი, უბრძნესთა თანა სმენა, დიდთა მორჩილება, სწორთა თანა და უმწამტს, სიყუარული შეუორგულებელი, მცირედ სიტყუად და უფროს ცნობად, ნუ სიფიცხლით სიტყუად, ნუ მოცინარ, დედათა თანა უჯეროთა არაზრახვად, თუალნი ქუედათხევად, ზესული სივლტოლად ცილობისაგან, ნუ მოძღურებისასა მიდევნებად პატივსა, ნუცა ძიებად ყოველთაგან პატივსა.“

ორთოგრაფიისა და ფონეტიკის საკითხებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ა ნუსხაში დასტურდება ე-სა და ც-ს ერთმანეთში აღრევის არაერთი მაგალითი. მაგ., მიცემით ბრუნვაში გვაქვს: „მაქსიმიანცს“, „ივლიანცს“, „მეფეცსა“, „სიმრავლცსა“, „მჯდომარცსა“, „სამარტვლცსა“, „წინამდებარცსა“ და სხვ.

С ნუსხისთვის დამახასიათებელია უც დაწერილობა და იოტამეტობა.

უც დაწერილობის მაგალითები: ღმრთისმეტყუცლებასა, განშუცნდა, დარლუცვად, აჩუცნა, იშუცბდა.

იოტამეტობის ნიმუშები: მამაცვაცი, სიტყუახთასა, განაცხადა, დაამწუა, დაემონაფა, მისცა, დაისწავლა, ზოგჯერ ეს მოვლენა A ხელნაწერშიც დასტურდება: დაუტევა.

ხარი და ხანი მონაცვლეობენ ნუსხების მიხედვით, თუმცა სამივე ხელნაწერში გვხვდება ისინი: „ქსენებულისა მამისა“ (AC) // „ხსენებულისა მამისა“ (B); „უხრწნელი სადუმლო“ (AC) // „უქრწნელი სადუმლო“ (B).

B ნუსხა ზოგჯერ ო ხმოვნის უ-თი შეცვლის ფაქტებს გვიჩვენებს: ულუცა, ენუვნებად, განვყიდუთ, ძრნულით, უქ-როდესასა, წარმართუბისასა. ერთ შემთხვევაში იმავე ნუსხაში საპირისპირო მოვლენაც შეინიშნება: უ ჩანაცვლებულია ო-თი: ურნმონოებასა.

მუნქუესვე ზმნიზედაში B ნუსხა (ზოგჯერ C-ც) ო თან-ხმოვანს უმატებს, როგორც ეს დამახასიათებელია ძველი ტექსტებისთვის: „მუნქუესვე დაუტევა“ (AC) // „მუნთქუესვე დაუტევა“ (B); „მუნქუესვე უბრძანა“ (A) // „მუნთქუესვე უბ-რძანა“ (BC); „მუნქუესვე... წარავლინნა“ (A) // „მუნთქუესვე... წარავლინნა“ (BC).

არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ტოპონიმს ნუსხები სხვადასხვაგვარი დაწერილობით იყენებენ. მაგალი-თად: „ანზიანზორს იქმნა ეპისკოპოს“ (A); შდრ.: „ანძიან-ძორს...“ (BC).

BC ნუსხებში არსებითი სახელი „ეპისკოპოსი“ დისიმი-ლირებულია: „იქმნა ეპისკოპოს“ (A) // „იქმნა ებისკოპოს/ზ“ (BC).

BC ნუსხებში უფრო მეტად შეინიშნება უ ხმოვნის რე-დუქციის შემთხვევები: **თქუმულთა** (A) // **თქმულთა** (BC); **გან-თქუმული** (AC) // **განთქმული** (B); „რათა **სასუმელითა** მიიღონ“ (A) // რათა **სასუმლითა** მიიღონ“ (BC).

ასევე იმავე ნუსხებში იკუმშება არსებითი სახელი **წელი-წადი**: „**წელიწადისა** უამნი“ (A) // „**წელიწდისა** უამნი“ (BC).

მონაფე კი რედუცირებულია AB ნუსხებში: „**მონფისა** უფლისა“ (AB) // „**მონაფისა** უფლისა“ (C).

A ნუსხა გაურკვეველი შინაარსის რიცხვით სახელ „რა-ოდენიმეს“ რედუცირებული **რავდენიმე** ვარიანტით იყენებს: „შემდგომად **რავდენისამე** უამისა ითხოვა“ (A) // „შემდგომად **რაოდენისამე** უამისა...“ (BC); „შემდგომად **რავდენისამე** უამი-სა იწყო“ (A) / „შემდგომად **რაოდენისამე** უამისა...“ (BC).

AC ნუსხები თხოვნა ზმნაში ოა ხმოვნებს შორის პოზი-
ციაში კ თანხმოვანს ინარჩუნებენ, განსხვავებით B ნუსხისგან:
„ითხოვა (ითხოვა) ღმრთისაგან“ (AC) // „ითხოა...“ (B); „ვი-
თარცა-იგი სთხოვა მას“ (AC) // „ვითარცა სთხოა მას“ (B);

ამის პარალელურად, იქტნება ისეთი მაგალითიც, სა-
დაც იმავე AC ნუსხებში უ ხმოვანსა და თანხმოვანს შორის
პოზიციაში კ თანხმოვანი დაკარგულია და B-ში შენარჩუნებუ-
ლი: „შეურდა ფერწთა (AC) // „შეუვრდა...“ (B).

ბერძნული სუფიქსი -ოს BC ნუსხებში გამჟღერებული
ვარიანტით არის მოცემული: არიანოსთავ (A) // არიანოზთა
(BC); ეპ(ბ)ისკოპოს“ (AB) // „იქმნა ებისკოპოზ“ (C).

ვითარების ზმნიზედაში „მეყსეულად“ C ნუსხაში ყს
თანხმოვნებს შორის უ ხმოვანია განვითარებული: „მეყსეუ-
ლად ყრმა იგი... მოკუდა“ (AB) // „მეყსეულად...“ (C); „მეყ-
სეულად გულისთქუმა შენი აღვასრულო“ (AB) // „მეყსეუ-
ლად...“ (C); „მეყსეულად უპყრა მას ჭელი“ (AB) // „მეყსეუ-
ლად...“ (C).

სიტყვა შიმშილი AB ნუსხებში პირვანდელი სიმშილის
სახითაა მოცემული: „სიმშილითა“ (AB) // „შიმშილითა“ (C).

A ნუსხაში მიმართულებითის ფუნქციით გამოყენებული
-ეთ მანარმოებლიანი ადგილის სახელები ვითარებით ბრუნვა-
ში -ა სუფიქსს დაირთავენ (როგორც ეს დამახასიათებელი
იყო ძველი ქართულისთვის), განსხვავებით BC ნუსხებისგან:
„ნარემართა სპარსეთა“ (A) // „ნარემართა სპარსეთად“ (BC);
„ნუ შთაიყვანებ სიბერესა ჩემსა მწუხარებით ჯოჯოხეთა“ (A)
// „ნუ შთაიყვანებ... ჯოჯოხეთად“ (BC).

წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობას AC ნუს-
ხები -ულ, ხოლო B ნუსხა -ილ სუფიქსით ანარმოებენ: „სინ-
მიდითა შემკული“ (AC) // „სინმიდითა შემკობილი“ (B).

-ოდ სავრცობიანი ზმნის I კავშირებითის ფორმასთან
მწკრივის ნიშნად C ნუსხაში -ე სუფიქსია გამოყენებული:

„ჭეშმარიტად უბადრუკო, ფრიად სტიროდი და ინანდე“ (AB) // „...სტიროდი და ინანდე“ (C).

BC ნუსხებში ფიქსირდება ერთი საინტერესო შემთხვევა: მრავლობითი რიცხვის | პირის ირიბი ობიექტი პირდაპირი ობიექტის ანალოგით ზმნაში აჩენს რიცხვის ნიშანს. ეს მოვალენა მორფოლოგიური ანალოგის შემთხვევად უნდა განვიხილოთ: „რაა ძალგიც, შემეწიე ჩუენ“ (A) // „რაა ძალგიც, შემეწიენ ჩუენ“ (BC).

ძირითად ნუსხაში „ც“ თანხმოვნის წინ ობიექტური პირის ნიშნად გამოყენებულია ჰ- პრეფიქსი: „ჰცხო მას წმიდად ნელსაცხებელი“; შდრ.: „სცხო“ (BC).

B ნუსხაში ხ თანხმოვნის წინ ჰ- პირის ნიშანია ნახმარი: „ხედვიდეს ნათელსა საცნაურსა“ (AC) // „ჰხედვიდეს ნათელსა საცნაურსა“ (B); „ხედვიდა ჩჩკლსა ყრმასა“ (AC) // „ჰხედვიდა ყრმასა ჩჩკლსა“ (B).

აწმყოს ხოლმეობითის ფორმა BC ნუსხებში აწმყოს ფორმითაა ჩანაცვლებული: „ვითარმედ ჰნებავნ [ბა]სილის“ (A) // „ვითარმედ ჰნებავს [ბა]სილის“ (BC).

ძირითად ნუსხაში დადასტურებული პირიანი ფორმა დანარჩენ ნუსხებში ზოგჯერ უპირო ფორმით არის შეცვლილი: „მუნ ასულისა მოკუუცად მონასტერსა შინა დიდსა ეგულებოდა და მსხუერპლად ღმრთისა შესწირვიდა“ (A) // „მუნ ასულისა... შენირვად“ (BC); „მოიქცე უფლისა ღმრთისა ჩუენისა“ (A) // „მოქცევად...“ (BC).

ხან ზმნის პირიანობაა განსხვავებულად მოცემული: „თანაშემწე იყო ბოროტად მადიდებლობასა“ (A) // „თანაშემწე ეყო ბოროტად მადიდებლობასა“ (BC).

ხანაც აღწერითი ფორმა ორგანულით არის შეცვლილი: „მე ამას ვერ შემძლებელ ვარ“ (A) // „მე ამას ვერ შეუძლებ“ (BC).

BC ნუსხებში **შთა** ზმნისწინი ახალი ფორმით არის გა-
მოყენებული: „**შთამოჰკიდა** წმიდასა ზედა ტრაპეზსა“ (A) //
„**ჩამოჰკიდა** წმიდასა ზედა...“ (BC).

საწყისით გადმოცემული ქვემდებარე სურვილის გამომ-
ხატველ ზმნა-შემასმენელთან A ნუსხაში ვითარებით ბრუნ-
ვაშია გაფორმებული, ხოლო BC ნუსხებში – სახელობით
ბრუნვაში: „ჰებავნ [ბა]სილის მსტორად მისდა ყოფად“ (A) //
„ჰებავს...ყოფა (ყოფა)“ (BC).

ცხადად ჩანს, რომ C ნუსხის გადამწერი სარგებლობდა
როგორც A, ისე B ნუსხით. უფრო მეტად იგი B-სადმი ერ-
თულებას იჩენს, ვიდრე A-სადმი, თუმცა ინდივიდუალობი-
თაც გამოირჩევა და გარკვეულ შემთხვევებში არც ერთს არ
ეთანხმება. იგივე შეიძლება ითქვას B ნუსხის შესახებ, რო-
მელსაც ბევრი საერთო აქვს A ნუსხასთან, თუმცა ორიგინა-
ლურობასაც ინარჩუნებს და საკუთარ სტილს გვთავაზობს.

საინტერესო სურათი იკვეთება თხზულების ნუსხათა
ბერძნულ ტექსტთან შედარებისას. გაირკვა, რომ სამივე ნუს-
ხის გადამწერი სარგებლობდა მისით და შემოქმედებითად
უდგებოდა მას, ამავე დროს, ყოველი მომდევნო ნუსხის გა-
დამწერი წინამავალი ნუსხითაც ხელმძღვანელობდა.

აღმოჩნდა, რომ ხშირად ბერძნულ ვერსიას არც ერთი
ნუსხა არ უჭერს მხარს. მაგალითად, სათაურის დასასწისი
„**თუესა იანვარსა ა საკითხავი**“ ბერძნულში არ არის, მაგრამ
გვაქვს სამივე ნუსხაში. სავარაუდოდ, ეს მთარგმნელის დამა-
ტებული უნდა იყოს. სხვაგან ძირითად ტექსტში ვკითხუ-
ლობთ: „მან ულოცა მას და განუტევა“ (A). ბერძნულშია
„ილოცა და განუტევა იგი“ (ბერძ. გვ. 159: **επευξάμενος**
απέλυσεν αὐτόν). ამდენად, A ნუსხამ ერთპირიანი ფორმა ორ-
პირიანად აქცია და დაუმატა III პირის ნაცვალსახელი „მას“
ირიბი დამატების ფუნქციით, სამაგიეროდ „განუტევა“ ზმნას-
თან შეწყობილი პირდაპირი დამატება, გადმოცემული იგი
ნაცვალსახელით, გამოტოვა. BC ნუსხებმა ზმნის ორპირიანი

ფორმა გაიმეორეს, მაგრამ „მას“ ნაცვალსახელზე (ისევე, როგორც „იგი“ ნაცვალსახელზე) უარი თქვეს. ამასთან, C ნუსხამ „განუტევას“ შემდეგ დაუმატა ერთი სიტყვა და მივიღეთ: „მან ულოცად და განუტევა, **მოილოცად**.“ ერთ-ერთ მაგალითში ძირითად ნუსხაში დამატებულია განსაზღვრება „მართალი“, ხოლო BC ნუსხებში მის ნაცვლად გამოყენებულია უბრალო დამატება: „მოიგო **მართალი** ფილოსოფოსთა წელოვნებაა“ (A); შდრ.: „მოიგო **რაჟთურთით** (**რაჟთურთ**) ფილოსოფოსთა წელოვნებაა“ (BC) (ბერძ. გვ. 157: **πλείστην ἐμφιλόσοφον ἐπιστήμιον**);

გვაქვს შემთხვევები, როდესაც ძირითად ტექსტში დამატებულია სიტყვა და ის გამეორებულია ყველა დანარჩენ ნუსხაში, მაგრამ, ამავე დროს, მათში სხვა სიტყვებია დაკლებული. განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს. ბერძნულში გვაქვს: „რომელ-იგი ვიდრე ყოველთა ზრუნვით შეგუემთხვა“ (ბერძ. გვ. 155: **μέχρι ... ἄπαντες συμπαθῶς πεπόνθαμεν**). A ნუსხამ „ვიდრეს“ შემდეგ დაუმატა გარემოება „აქამომდე“, რომელიც განმეორდა სხვა ნუსხებშიც, სამაგიეროდ B ნუსხამ დააკლო სიტყვა „ყოველთა“, ხოლო C ნუსხამ – „ვიდრე“ და „ყოველთა.“ შესაბამისად, ნუსხების მიხედვით მივიღეთ ასეთი სურათი: „რომელ-იგი ვიდრე აქამომდე ყოველთა ზრუნვით შეგუემთხვა“ (A) // „რომელ-იგი ვიდრე აქამომდე ყოველთა ზრუნვით შეგუემთხვა“ (B) // „რომელ-იგი აქამომდე ზრუნვით შეგუემთხვა“ (C).

იძებნება ისეთი ნიმუშებიც, როდესაც ძირითადი ხელნაწერი ამატებს სიტყვას თუ სიტყვებს, ხან პირიქით – აკლებს, ხანაც ცვლის სიტყვას ან მის ფორმას, მაგრამ სხვა ნუსხა, ან ნუსხები არ იზიარებენ მის იკითხვისს და მისდევენ ბერძნულის მონაცემს. ასე რომ, ასეთ შემთხვევებში ბერძნულ ვერსიასთან თანხვედრა შეიძლება გამოვლინდეს ერთ ან ორ ნუსხაში. ქვემოთ ნიმუშებს თანმიმდევრულად წარმოვადგენთ სურათის უკეთ წარმოსაჩენად. ჯერ დავიმოწმებთ ისეთ მაგალითებს, სადაც ძირითად ნუსხას ორივე ხელნაწერი უპირისპირ-

დება რომელიმე კონკრეტული მიმართულებით, იქნება ეს მატება, კლება თუ სიტყვის ცვლილება, ხოლო შემდეგ – ისეთ ნიმუშებს, სადაც მხოლოდ ერთი ხელნაწერი იჩენს ბერძნული ტექსტისადმი ერთგულებას.

მატების მაგალითები, სადაც ძირითად ხელნაწერს არც ერთი ნუსხა არ უჭერს მხარს ბერძნული ტექსტის შეცვლის საკითხში:

„რომელ არს ბრნყინვალჲ“ ეკლესიისა მოძღვარი“ (A); შდრ.: „რომელ არს ეკლესიისა მოძღვარი“ (BC) (ბერძ. გვ. 155: οὐ παντοφίος ἀρχιερεύς); „და ჰრეკუა მას“ (A); შდრ.: „და ჰრეკუა“ (BC) (ბერძ. გვ. 160: θαυμάσας ἔφη); „მიუგო ყრმამან და ჰრეკუა“ (A); შდრ.: „მიუგო ყრმამან“ (BC) (ბერძ. გვ. 170: ἔφη ὅπαῖς). აქ BC ნუსხებში, ბერძნულის მსგავსად, არ არის კავშირი და ზმანა. „უცხოა ვინმე გუშინმე, გუშინ მოვიდა“ (A); შდრ.: „უცხოა ვინმე გუშინ მოვიდა“ (BC) (ბერძ. გვ. 170: ξένος τίς χθες ἐλθών). აქ ძირითადი ხელნაწერი ზედმეტად ჩაურთავს „გუშინმე“ ზმნიზედას. „გამოვიდა მიერ წყლით“ (A); შდრ.: „გამოვიდა წყლით“ (BC) (ბერძ. გვ. 173: ἐξῆλθεν τοῦ ὕδατος); „გამოეძიებდეს ურთიერთას სიტყუასა“ (A); შდრ.: „გამოეძიებდეს ურთიერთას“ (ბერძ. გვ. 159: συνεζήτουν πρὸς ἀλλήλοις) (BC);

მატების მაგალითები, სადაც ძირითად ხელნაწერს მხოლოდ B ნუსხა თანხვდება:

„და მუნქუესვე შეკრიბნა ყრმანი“ (AB); შდრ.: „და შეკრიბნა ყრმანი“ (C) (ბერძ. გვ. 171: συναθροίσας τοὺς νέοις); „და შეპმოსა მას“ (AB); შდრ.: „და შეპმოსა“ (C) (ბერძ. გვ. 173: ἐνδιδύσκει); „მათ გზა იგი“ (AB); შდრ.: „მათ გზა“ (C) (ბერძ. გვ. 185: ὑποδείξας αὐτοῖς τὸν ὄδὸν τῆς σωτηρίας); „საყდრისა მისისა“ (AB); შდრ.: „საყდრისა“ (C) (ბერძ. გვ. 188: τοῦ θρόνου); „წმიდასა ეკლესიასა“ (AB); შდრ.: „ეკლესიასა“ (C) (ბერძ. გვ. 193: τὸν ἐκκλησίαν).

მატების მაგალითები, სადაც ძირითად ხელნაწერს მხოლოდ C ნუსხა უბამს მხარს:

„რაღ-იგი შეემთხვა მას მის მიერ“ (AC); შდრ.: „რაღ-იგი შეემთხვა მის მიერ“ (B) (ბერძ. გვ. 159: τῶν πονηθέντων παρ ἀντοῦ). „მოგვყვანენ ჩუქუ“ (AC); შდრ.: „მოგვყვანენ“ (B) (ბერძ. გვ. 176: ἀγαγῶν); „ტაძარსა მას შინა“ (AC); შდრ.: „ტაძარსა შინა“ (B) (ბერძ. გვ. 177: ἐν τῷ ναῷ); „ხოლო ხვალისაგან“ (AC); შდრ.: „ხვალისაგან“ (B) (ბერძ. გვ. 178: ἐπαύριον); „მოვიდა ბასილისა და“ (AC); შდრ.: „მოვიდა ბასილისა“ (B) (ბერძ. გვ. 177: παραγίνεται πρὸς Βασίλιον); „უშჯულოდა მის“ (AC); შდრ.: „უშჯულოდა“ (B) (ბერძ. გვ. 181: ανόμου); „უკუეთუ მოკუდავისა მის“ (AC); შდრ.: „უკუეთუ მოკუდავისა“ (B) (ბერძ. გვ. 184: εἰ θητῷ);

კლების ნიმუშები, სადაც

ა) ძირითადი ხელნაწერის ცვლილებას ორივე ხელნაწერი ენინააღმდეგება:

„ჭ, ფილოსოფოსო?“ მან ჰრქუა“ (A); შდრ.: „ჭ, ფილოსოფოს (ფილოსოფოსო)?“ ხოლო მან ჰრქუა“ (BC) (ბერძ. გვ. 159: ὃ φιλόσοφε ὁ δέ φησῃ); „მოველი... ცხორებასა საუკუნესა“ (A); შდრ.: „მოველი... ცხორებასა მერმესა საუკუნესა“ (BC) (ბერძ. გვ. 168: ... ζωὴν μέλλοντος αἰῶνος); „შეჰმოსა მას ქრისტისმიერი“ (A); შდრ.: „შეჰმოსა მას ქრისტის აღდგომისა“ (BC) (ბერძ. გვ. 173: ἐνδιδύσκει τὰ τῆς Χριστοῦ ἀναστάσεως ἄμφια); „სიმრავლე ერისაა“ (A); შდრ.: „სიმრავლე ერისაა ურიცხვი“ (BC) (ბერძ. გვ. 177: λαὸν ... πλῆθος ἄπειρον); „და წარვიდა“ (A); შდრ.: „და წარვიდა სახედ თვსა (სახლად თვსად)“ (BC) (ბერძ. გვ. 178: ἀπελθὼν ἐν τῷ οἴκῳ ἀντοῦ); „საყდართა ზედა“ (A); შდრ.: „საყდართა ზედა დიდებულთა“ (BC) (ბერძ. გვ. 181: ἐπὶ θρόνου ἐνδέξον); „წარიყვანეს შეცთომილი იგი ყრმად სიხარულითა დიდითა“ (A); შდრ.: „წარიყვანეს შეცთომილი იგი ყრმად სიხარულითა დიდითა და მიყვანეს ეშმა-

კისა“ (BC) (ბერძ. გვ. 190: ... ἀπήγαγον αὐτὸν ... διάβολος); „მე-გულებოდა მითხოვად“ (A); შდრ.: „მეგულებოდა მითხოვად **ჟ-ნი**“ (BC) (ბერძ. გვ. 191: **σε** βιυλόμενος νυμφηნსαι); „მონაფეო ქრისტისო“ (A); შდრ.: „მონაფეო ქრისტეს **ღმრთისა ჩუენისაო**“ (BC) (ბერძ. გვ. 194: **μαθητὰ τοῦ κυρίου θεοῦ ἡμῖν**); „ნმი-დაო ღმრთის(ა)ო“ (A); შდრ.: „ნმიდაო ღმრთის(ა)ო **და მონაო**“ (BC) (ბერძ. გვ. 194: **δέσποτα ἄγιε καὶ δούλε'** τοῦ θεοῦ); რო-გორც ვხედავთ, ბერძნულში გვაქვს „მეუფეო ნმიდაო და მო-ნაო ღმრთისაო.“ BC ნუსხებმა ბოლომდე არ გაიმეორეს ბერ-ძნულის იყითხვისი, მაგრამ ძირითად ტექსტში გამოტოვებუ-ლი „მონაო“ დაამატეს. „და ადიდებდა“ (A); შდრ.: „და ადი-დებდა **დაუდუმებელითა პირითა**“ (BC) (ბერძ. გვ. 197: **ἀστιγήτω στόματι ნიξάζοντα**);

ბ) ძირითად ხელნაწერს უპირისპირდება მხოლოდ C ნუსხა:

„სულითა შენდობად ჩემი“ (AB) შდრ.: „სულითა **ნმიდითა შენდობად ჩემი**“ (C) (ბერძ. გვ. 169: **πνεύματος ἄγιον**); „თქუენ ნუ“ (AB); შდრ.: „თქუენ **ხოლო ნუ**“ (C) (ბერძ. გვ. 186: **γε უმეῖς μὴ ἀτονήσῃτε**); „ჭეშმარიტისა ღმრთისა“ (A); შდრ.: „ჭეშმარი-ტისა ღმრთისა **ჩუენისა**“ (C) (ბერძ. გვ. 155: **τοῦ ἀληθίνος θεοῦ ἡμῶν**); ამ შემთხვევაში B ნუსხაში იყითხება „ჭეშმარიტისა ჩუ-ენისა“, ანუ, „ღმრთისა“ გამოკლებულია.

გ) ან ძირითად ხელნაწერს უპირისპირდება მხოლოდ B ნუსხა:

„და ყრმამან მან შეიწყნარნა სიხარულით“ (AC); შდრ.: „და ყრმამან მან შეიწყნარნა **იგინი** სიხარულით“ (B) (ბერძ. გვ. 170: **παῖς προσδέξατο αὐτοὺς χαίρον**); „არს“ (AC); შდრ.: „არს ყოველი“ (B) (ბერძ. გვ. 184: **εἰσὶ πάντα**); „ესმა რაღ მეფესა“ (AC); შდრ.: „ესმა რაღ **ესე** მეფესა“ (B) (ბერძ. გვ. 187: **ταῦτα ἀκούσας ὁ βασιλεὺς**).

შეცვლის ფაქტები, რომლებიც არც ერთი ხელნაწერის
მიერ არ არის გაზიარებული:

„**ჩუენისა** სიწმიდესა“ (A); შდრ.: „**სულისა** სიწმიდესა“ (BC) (ბერძ. გვ. 171: ψυχῆς μιὸν καθαρότητα); „**არამრავალ[თა** ჟამთა წა]რვიდა ევბულ“ (A); შდრ.: „**არამრავალ[თა** ჟამთა წა]რვიდა ევბულეთურთ“ (BC) (ბერძ. გვ. 173: μετ' οὐ πολὺ ὕρμησεν **άμα τῷ Ευθίουλῳ**); „**მოსწრაფებითა** დიდითა“ (A); შდრ.: „**მოსწრაფებითა** მრავლითა“ (BC) (ბერძ. გვ. 182: ἐν σπυδῇ **πολλῇ**); „**გარეშე** ეზოსა იხილონ“ (A); შდრ.: „**გარეშე** ეზოსა იხილოს“ (BC) (ბერძ. გვ. 183: ἔξω τῶν βηλων **ծφθῇ**); ბერძნულში აქ, როგორც ვხედავთ, მხოლობითი რიცხვის ფორმაა გამოყენებული, რასაც BC ნუსხები იცავენ. „**შეურდა ფერწა**“ (A); შდრ.: „**შეურდა მუკლთა**“ (BC) (ბერძ. გვ. 184: προσπεσὼν **εῖς γόνατι**); „**ევედრებოდა ალებად**“ (A); შდრ.: „**ევედრებოდა მილებად**“ (BC) (ბერძ. გვ. 184: ἡξίου δέξασθαι); „**ჭეშმარიტისა დაბნელებასა ეძიებს**“ (A); შდრ.: „**ჭეშმარიტებისა დაბნელებასა ეძიებს**“ (BC) (ბერძ. გვ. 185: **ἀλήθειαν** ሰმაურაშთა ბრეგიმენი); „**დასწერა ჯუარი**“ (A); შდრ.: „**დასწერა ქრისტეს** (ქრისტესი) **ბეჭედი**“ (BC) (ბერძ. გვ. 194: ποιήσας ἐν **Χριსτῷ σφραγίδα**); „**ლმრთისა სიბრძნენი გამოუთქუმელნი**“ (A); შდრ.: „**ლმრთების სიბრძნენი გამოუთქუმელნი**“ (BC) (ბერძ. გვ. 158: **τῆς θειας σιφίας τὰ ἀπόρριτα**); „**პნებავს წარწყმედად**“ (A); შდრ.: „**მურს უზრუნველი ცხორებად**“ (BC) (ბერძ. გვ. 196: βιაσκάνων **τῇ ἀλύπῃ ζωῇ**). ძირითად ნუსხაში ბერძნული ვერსიის „უზრუნველი ცხოვრება“ „**წარწყმედით**“ არის შეცვლილი.

А ხელნაწერში ერთგან გამოყენებულია სიტყვა „**სიხარულით**“, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელია კონტექსტისთვის: „**რომელი-იგი** მაშინ ეპისკოპოსი იყო, ქალაქისად **სიხარულით** მაქსიმიანე.“ BC ნუსხები იმეორებენ ბერძნული ვერსიის იკითხვისს: „...**სახელით** მაქსიმიანე“ (ბერძ. გვ. 172: **τῷ ονόμα Μαξίμῳ**). აქ უფრო გადამწერის შეცვლილა უნდა

იყოს. გამოცემაში ეს სიტყვა გასწორდა, ხოლო არასწორი ფორმა აისახა სქოლიოში.

შეცვლის ნიმუშები, სადაც:

ა) ძირითადი ხელნაწერის არჩევანს მხოლოდ В ნუსხა იზიარებს:

„რათა უგალობდეთ“ (AB); შდრ.: „რათა უგალობდე“ (C) (ბერძ. გვ. 176: ოπაς ომνήσი); ბერძნულში ზმნა მხოლობითი რიცხვის ფორმით არის მოცემული. „და მოუნოდა მლოცველსა“ (AB); შდრ.: „და მოუნოდა მცველსა“ (C) (ბერძ. გვ. 182: προσκαλεσάμενος φύλακα); „კეთილ ვარ“ (AB); შდრ.: „კე-თილად ვარ“ (C) (ბერძ. გვ. 195: καλός); „პირი ჩუენი“ (AB); შდრ.: „პირი ჩემი“ (C) (ბერძ. გვ. 176: στόμα μου); ბერძნულში ნაცვალსახელი მხოლობით რიცხვშია, რასაც იმეორებს С ნუსხა. „მომცემელსა კეთილისასა“ (AB); შდრ.: „მომცემელსა კეთილთასა“ (C) (ბერძ. გვ. 171: διτήρι τῶν ἀγαθῶν); „სიმრავლე-სა წარმართთასა მოყვანებდა ქრისტის“ (AB); შდრ.: „სიმ-რავლესა წარმართთასა მოყვანებად ქრისტის“ (C) (ბერძ. გვ. 159: πλήθη Ελλήνων προσφέρειν τῷ Χριστῷ); აქ С ნუსხა, AB ნუსხებისგან განსხვავებით, არ ცვლის ბერძნულში დადასტუ-რებულ საწყისურ ფორმას პირიანი ფორმით. აქვე აღვნიშ-ნავთ, რომ არის საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც ბერ-ძნულში გამოყენებულ ზმნურ ფორმას С ნუსხა საწყისით გადმოსცემს, განსხვავებით სხვა ნუსხებისგან: „ნინავე ვცნათ“ (AB) (ბერძ. გვ. 169: προνοήσομεν); შდრ.: „ნინავე ცნობად“ (C).

ბ) ძირითად ხელნაწერს მხოლოდ С ნუსხა უჭერს მხარს:

„ნათლისა მომცემელი არს“ (AC); შდრ.: „სინანულისა მომცემელი არს“ (B) (ბერძ. გვ. 161: τῆς μετανοίας δοτήρ); „ჩემნიცა მოწაფენი“ (AC); შდრ.: „ჩემ თანა მოწაფენი“ (B) (ბერძ. გვ. 171: ἔμοι); „რომელი იყო მის თანა“ (AC); შდრ.: „რომელი იყო მათ თანა“ (B) (ბერძ. გვ. 175: τῆς ἐγκειμενῆς

აუთიც). საანალიზო სიტყვა ბერძნულსა და B ნუსხაში მრავ-ლობითი რიცხვის ფორმით არის მოცემული. „და შეუდეგ ეშმაკსა“ (AC); შდრ.: „და შეუდეგ ეშმაკსა“ (B) (ბერძ. გვ. 194: სუსტაჯამურ თუ მიაჩიდა); აქ კი პირიქით: ბერძნული ვერსია და B ნუსხა მხოლობითი რიცხვის ფორმას იყენებენ.

სიტყვათა რიგის შეცვლის მაგალითები ძირითად ხელნა-წერში, რომელსაც:

ა) ორივე ნუსხა უპირისპირდება:

„განზრახვად მისი“ (A); შდრ.: „მისი განზრახვად“ (BC) (ბერძ. გვ. 169: **აუთიუ ბისტუმა**); „ჰრეუა ცრემლით“ (A); შდრ.: „ცრემლით ჰრეუა“ (BC) (ბერძ. გვ. 192: **დაკრუონ ეფე**);

ბ) ძირითადი ხელნაწერის არჩევანს მხოლოდ B ნუსხა უჭერს მხარს:

„მცირედ შემდგომად“ (AB) შდრ.: „შემდგომად მცირედი-სა“ (C) (ბერძ. გვ. 191: **მეტა მიკრბი**);

გ) მხოლოდ C ნუსხა უჭერს მხარს:

„მათისა მოსლვისად“ (AC); შდრ.: „მოსლვისა მათისად“ (B) (ბერძ. გვ. 177: **παροισίας ἀντῶν**); „წმიდაო მამაო“ (AC); შდრ.: „მამაო წმიდაო“ (B) (ბერძ. გვ. 169: 178: **ῷ πάτερ ἄγιε**; „კეთილის მათა“ (AC); შდრ.: „მათა კეთილის“ (B) (ბერძ. გვ. 180: **αὐτῷ ἄγαθὸς**¹);

¹ ბერძნულ ტექსტში ნაცვალსახელი „მათა“ მხოლობითი რიცხვის ფორმითაა დამონაბეჭული (შდრ. **«აუთიუ»**). საქმე ისაა, რომ საანა-ლიზო წინადადების დასაწყის ნაწილში გამოყენებულია ცნება „ერი“, რომელიც ქართულ თარგმანებში არ ასახულა (შდრ. „მოუნოდა ყო-ველ სიმრავლეს ერისას“). სწორედ ბოლო სიტყვა „ერი“ მოიაზრება ხაზგასმულ ნაცვალსახელში და, რადგან „ერი“ მხოლობითითაა და-მონაბეჭული, მის მაგივრად გამოყენებული ნაცვალსახელიც მხოლო-ბით რიცხვშია წარმოდგენილი. ამდენად, ქართულ თარგმანში სიტ-ყვა „ერის“ გამოტოვებამ ნაცვალსახელის მრავლობით რიცხვში გაფორმების აუცილებლობა განაპირობა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ B ნუსხა სიტყვათა რიგს იშვიათად ცვლის: „შენი წელი“ (AC) (ბერძ. გვ. 176: σου χειρὶ); შდრ.: „წელი შენი“ (B).

იშვიათად ძირითადი ხელნაწერი ფრაზას უმატებს და BC ნუსხებიც მას მიჰყვებიან. მაგ., ფრაზა – „და ღმერთი იყავნ შენ თანა“ – ბერძნულში არ გვხვდება, მაგრამ ქართული თარგმანის სამივე ხელნაწერში იკითხება.

ცხადია, დასტურდება ზემოთ აღნერილი შემთხვევების საპირისპირო ფაქტებიც: როდესაც A ნუსხა იცავს ბერძნულის იკითხვისს, მაგრამ სხვა ნუსხა ან ნუსხები ტექსტის ინტერპრეტაციას ახდენენ. ჯერ დავიმოწმებთ მაგალითებს, სადაც ცვლილება ორივე ნუსხაში ფიქსირდება.

კერძოდ:

BC ნუსხებში გვაქვს:

ა) **სიტყვ(ებ)ის დამატების ნიმუშები:** „მიეცა მშობელთაგან“ (A) (ბერძ. გვ. 157: ἐκδίδονται ὑπό τῶν τεκόντων εἰς γράμματα); შდრ.: „მიეცა მშობელთა მისτაგან“ (BC); „ათორმეტისა წლისა უამთა იღუანა“ (A) (ბერძ. გვ. 158: ἐπί δωκαίδεκα διακυβερνήσας χρόνοιց); შდრ.: „ათორმეტისა წლისა უამთა იღუანა და“ (BC); „რათამცა მიაგო ნაცვალი“ (A) (ბერძ. გვ. 158: ἀνταμείψιν); შდრ.: „რათამცა მიაგო მას ნაცვალი“ (BC); „სათონ არს შენდა“ (A) (ბერძ. გვ. 174: ποίει δიκυῶν σοι); შდრ.: „სათონ არს შენდა ხოლო“ (BC); „და გარდაიქდიდა“ (A) (ბერძ. გვ. 179: απολογουμενος); შდრ.: „და გარდაიქდიდა ყოველსა“ (BC); „ითხოვდა საწყალობელი“ (A) (ბერძ. გვ. 179: γίνεται ἵκετης); შდრ.: „ითხოვდა საწყალობელი იგი“ (BC); „და აქებდა ღმერთსა“ (A) (ბერძ. გვ. 197: εὐλογιῶντα τὸν θεόν); შდრ.: „და აქებდა ღმერთსა, რომლისაა არს დიდებაა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ (B) // „და აქებდა ღმერთსა, რომლისაა არს დიდებაა უკუნითი უკუნისამდე“ (C);

ბ) **სიტყვ(ებ)ის კლების მაგალითები:**

„ნარმართა სიმრავლესა მრავალსა“ (A) (ბერძ. გვ. 169: ელλήνთ პლήθη πολλά); შდრ.: „ნარმართა სიმრავლესა“ (BC); „ერთი იგი ნაწილი“ (A) (ბერძ. გვ. 176: μερὸν μίαν); შდრ.: „ერთი იგი“ (BC);

BC ნუსხებში ზოგჯერ მთელი წინადადებაცაა გამოტოვებული: ასეთია, მაგ., „და ვითარ-იგი მოსწრაფედ ვიდოდა თვესა სარწმუნოებასა.“

გ) სიტყვის, ან მისი ფორმის შეცვლის ნიმუშები:

„რომელი საღმრთოება სარწმუნოებისა მოძლუარი არს“ (A) (ბერძ. გვ. 156: τίς θείας πίστεως διδάσκαλος); შდრ.: „რომელი საღმრთოება მსახურებისა მოძლუარი არს“ (BC); ასევე: „სხუა სწავლაა“ (A) (ბერძ. გვ. 159: σπυδαξόμενον); შდრ.: „სხუა სწრაფაა“ (BC); „დაუსხნა წინაშე კართა გონიერებისათა“ (A) (ბერძ. გვ. 160: νῦν προστίθησιν ἐν προθύροις); შდრ.: „დაუსხნა... გონებისათა“ (BC); „მინიჭება განვიზრახეთ“ (BC); (ბერძ. გვ. 184: παρεχεῖν ἐβουλήθημεν); შდრ.: „მინიჭება განვიზრახე“ (A); ბერძნულში მრავლობითი რიცხვის ფორმაა გამოყენებული, რასაც A ნუსხა ცვლის.

ზოგჯერ მხოლოდ B ნუსხა უმატებს სიტყვას, ან მთელ ფრაზას, ან აკლებს, ან ცვლის, ხოლო C იცავს ბერძნული ვერსიისა და ძირითადი ტექსტის იკითხვისა:

მაგ., თხზულების ბოლოს B ნუსხა აგრძელებს ტექსტს, კერძოდ, ჩამოთვლის სასწაულებს, რაც ბერძნულსა და სხვა ნუსხებში არ გვხვდება: „ბ სხუა სასწაული მწვალებელთა აღძრვისთვს; გ სხუა პურისათვს; დ სხუა პურისა მკურნალისათვს; ე სხუა დედაკაცისათვს, რომელ ცოდვანი აუწოცნა; ვ სხუა წმიდისა მამისა ეფრემის მოსლვისა და ხილვისათვს; ზ სხუა პეტრესთვს, ძმისა თვესისა; ჸ სხუა ხუცისა და განჯისათვს. ესენი ყოვლგნით სწერიან სასწაულნი. მადლი ღმერთსა ყოვლადვე, ამენ!“

კლების მაგალითები:

„რად არს საზღვარი სიბრძნისად?“ (B); შდრ.: // „რად არს

საზღვარი სიბრძნისათვის, პასილი?“ (AC) (ბერძ. გვ. 160: τίς ὄρος,
Βασίλειες); „არიან ჩუენ თანა“ (B); შდრ.: „რამეთუ არიან ჩუენ
თანა“ (AC) (ბერძ. გვ. 161: εἰσὶ γαρ ἐν ημῖν);

В ნუსხაში იშვიათად გამოტოვებულია მთლიანი ფრაზე-
ბი: „რამეთუ აღვდგეთ ესე ყოველნი ცხორებად“ (AC); (ბერძ.
გვ. 161: ἀναστησόμεθα γαρ πάντες οὗτοι εἰς ζωον); „და მი-რა-
ილო წიგნი წინაშე მისსა, აღმოიკითხა ვიდრე წერილისა მის
თუ – „პრიდე“ (AC); (ბერძ. გვ. 182: δεξάμενος βιβλίον
πარουსია აუთის, ასევე მეხრი თუ უპიოგრაფის ფეისა).

შეცვლის მაგალითები:

„ცხოველსმყოფელი... ზიარება“ (AC) (ბერძ. გვ. 173:
ζωიποιοῦ **κοινωνίας**); შდრ.: „ცხოველსმყოფელი იგი **საჯუმ-
ლოა**“ (B);

С ნუსხა ხშირად ცვლის სიტყვათა წყობას. მაგ., ბერ-
ძნულში გვაქვს „დაუგოთ მშიერთა პური“ (ბერძ. გვ. 160:
διαθρύπτωμεν τοῖς πεινῶσι τὸν αρτόν), რასაც AB ნუსხები უჭე-
რენ მხარს, ხოლო C-ში გვაქვს „დაუგოთ პური მშიერთა.“
ასევე გვაქვს: „სიმართლე, სინმიდე“ (AB) (ბერძ. გვ. 160:
δικαιοσύνην, σωφροσύνην); შდრ.: „სინმიდე, სიმართლე“ (C);
„ცნობასა მოვიდა ევბულე“ (AB) (ბერძ. გვ. 161: ἐν αὐθήσις
γενόμενος ὁ Ευθονλος); შდრ.: „ევბოლეს ცნობასა მოვიდა“ (C);
„ჩემდა სარგებელ“ (AB) (ბერძ. გვ. 170: μοι ὄφελος); შდრ.:
„სარგებელ ჩემდა“ (C); „უკუეთუ შენ გითხრა?“ (AB) (ბერძ.
გვ. 170: ἐάν σοι εἴπω); შდრ.: „უკუეთუ გითხრა შენ?“ (C);
„განვიდა ცხორებისაგან ეპისკოპ(ო)სი“ (AB) (ბერძ. გვ. 175:
Τοῦ βίου μετέστη ὁ ἐπίσκοπος); შდრ.: „განვიდა ეპისკοπ(ო)სი
ცხორებისაგან“ (C); „მოვიდეს მის ზედა წმიდისა სულისა“
(AB) (ბერძ. გვ. 175: ἐλθεῖν ἐπί αὐτὸν τοῦ ἄγιου πνεύματος);
შდრ.: „...სულისა წმიდისა მის ზედა“ (C);

გვაქვს ისეთი მაგალითებიც, როდესაც:

ა) С ნუსხა უმატებს სიტყვას ან სიტყვებს და ამით გან-

სხვაგებულ ვითარებას გვიჩვენებს როგორც ბერძნულისგან, ისე დანარჩენი ნუსხებისგან: „გარდაწყდად, ზეგარდამო“ (AB) (ბერძ. გვ. 169: ἄνωθεν); შდრ.: „გარდაწყდად, ზეგარდამო და“ (C); „რომელმან-იგი ქრისტეანეთა სიბრძნით დაამყარა“ (AB) (ბერძ. გვ. 169: τῶν χριστιανῶν σαφῶς ἐδράσας); შდრ.: „რომელმან-იგი ქრისტეანეთა სიბრძნით დაამყარა და“ (C); „ყოველი-ვე ქრისტესა მისცა“ (AB) (ბერძ. გვ. 157: πάντα Χριστῷ δοῖς); შდრ.: „ყოველი ვიღრე ქრისტესა მისცა“ (C); „ყოველთა შინა სამოძღუროთა“ (AB) (ბერძ. გვ. 159: ἐν πᾶσι τοῖς παιδετηρίοις); შდრ.: „ყოველთა შინა სამოძღუროთა მოსწრაფებითა და“ (C); „ვედრებად ყოველთა მეუფისა“ (AB) (ბერძ. გვ. 155: ἵκεσίαν τοῦ τῶν ὅλων δεσπότου); შდრ.: „ვედრებად ყოველთა მეუფისა ვიღრე“ (C).

ბ) აკლებს სიტყვას ან სიტყვებს: „ესე უკუე დიდი ჩუენი მწყემსი (AB) (ბერძ. გვ. 169: προ); შდრ.: „ესე უკუე დიდი მწყემსი“ (C); „დაიპყრა ულიოსმან სამეუფო“ (AB) (ბერძ. გვ. 157: ἐπιλαβόμενος ἀναξιως τῆς βασιλικῆς); შდრ.: „დაიპყრა სამეუფო“ (C); „შემძლებელ იქმნა მათ მიერ ყოველთა შემოქმედსა“ (AB) (ბერძ. გვ. 158: μηδამამ ენრεῖν δυνάμενος δι’ αὐτῶν πάντων δημιουργὸν); შდრ.: „შემძლებელ იქმნა ყოველთა შემოქმედსა“ (C); „და მუნ შინა საკურველებათ ხილვად“ (AB) (ბერძ. გვ. 169: καὶ τὰ ἐκεῖσε ὄψόμενον θαύματα); შდრ.: „მუნ შინა საკურველებათ ხილვად“ (C).

გვაქვს მთელი ფრაზის გამოტოვების ნიმუშებიც: „რამე-თუ იგი იყო წინამძღუარი სიტყვსაღ.“ აღნიშნული ფრაზა გვაქვს როგორც ბერძნულ ტექსტში, ისე AB ნუსხებშიც. ასე-ვე: „მრნამს სახარებისა შენისა წმა“ (AB) (ბერძ. გვ. 173: πιστένω τῇ εὐανγελικῇ σιν φωνῇ).

გ) ცვლის სხვა (მათ შორის, ახლოს მდგომი) სიტყვით: „განტევებად თვსი“ (ბერძ. გვ. 169: αὐτὸν ἀπολυθηναι) (AB); შდრ.: „განტევებად მისი“ (C).

საინტერესო მოვლენა შეინიშნება C ნუსხაში: იგი ერთ ადგილას განმარტავს ბერძნულ ტექსტში მოცემულ საკუთარ სახელს: „სახელით ფილოქსენთოს, რომელი ითარგმნების „უცხოთმოყუარე“ (C). ეს განმარტება ბერძნულსა და სხვა ნუსხებში არ არის მოცემული.

ზოგჯერ AB ნუსხები სიტყვას ფორმას უცვლიან და, შედეგად, მას წინადადების სხვა წევრად წარმოადგენენ, განსხვავებით C-სგან. მაგ., ბერძნულში გვაქვს „ჭეშმარიტ და დიდ საკვირველებებს“ (ბერძ. გვ. 169: ဈლηთწ კაὶ მეგალა θαύματα), სადაც „ჭეშმარიტი“ მსაზღვრელია, AB ნუსხებში კი ის გამოყენებულია, როგორც ვითარების გარემოება: „ჭეშმარიტად დიდთა საკურველებათა.“

ბერძნულშია „დავიწყებისა სიღრმეთა მისცეს“ (ბერძ. გვ. 155: λήθης βυθοῖς παραδοθῶσι), რაც დაცულია ძირითად ხელნაწერში. B ნუსხაში ნათესაობითი ბრუნვა მიცემითით არის შეცვლილი და, შესაბამისად, სუბსტანტიური მსაზღვრელით გადმოცემული განსაზღვრება ირიბ დამატებად არის წარმოდგენილი: „დავიწყებასა სიღრმისასა.“ C ნუსხა კი „სიღრმეს“ მხოლობითი რიცხვის ფორმით გვთავაზობს: „დავიწყებისა სიღრმესა.“

საინტერესოა I პირის ნაცვალსახელის დაკლების ფაქტი BC ნუსხებში: „ჯერმიჩნდა.“ ბერძნულ ვერსიასა და ძირითად ტექსტში იკითხება „ჯერმიჩნდა მეცა“ (ბერძ. გვ. 156: ობიქს რამი).

კვლევამ გამოავლინა, რომ ნუსხების მიმართება ბერძნული ტექსტისადმი თითქმის ანალოგიურია და სამივე ხელნაწერის გადამწერი სარგებლობდა მისით. B ნუსხის გადამწერი ხელმძღვანელობდა როგორც A ნუსხით, ასევ ბერძნულით, ხოლო C ნუსხის გადამწერი – წინა ორი ნუსხითა და ბერძნულით. ეს ფაქტი BC ნუსხების შემოქმედთა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობასა და პროფესიონალიზმზე მიგვანიშნებს: ისინი არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ თარგმანით, არამედ

მის სიზუსტესაც ამონმებდნენ ბერძნულში და საკუთარი ნუსხის შექმნის დამოუკიდებელ სტრატეგიასაც იმუშავებდნენ. სიტყვა „შექმნა“ შემთხვევით არ გვიხმარია. ისინი მარტივად, ანგარიშმიუცემლად კი არ იწერდნენ თარგმანის ტექსტს, არამედ ქმნიდნენ საკუთარ ვერსიას: მუშაობის პროცესში ფიქრობდნენ, აზროვნებდნენ, წინა ნუსხისა თუ ნუსხების გადამწერებს გარკვეულ საკითხებში არ ეთანხმებოდნენ და საკუთარ გზას ირჩევდნენ. ამიტომაც თითოეული ხელნაწერი ინდივიდუალობით გამოირჩვეა. ნუსხური სხვაობები განისაზღვრება სიტყვ(ებ)ის, ფრაზ(ებ)ის დამატებითა თუ დაკლებით, სიტყვის სინონიმური თუ განსხვავებული სემანტიკის შემცველი სიტყვით ჩანაცვლებით. არის შემთხვევები, როდესაც ძირითად ხელნაწერში შეცვლილია ბერძნული ტექსტი რომელიმე ამ მიმართულებით და BC ნუსხებში ეს ცვლილება არ არის განმეორებული. ისეთი მაგალითებიც გვაქვს, სადაც ისინი ეთანხმებიან ცვლილებას და, შესაბამისად, სამივე ნუსხაში ბერძნულისაგან განსხვავებული სურათი მიიღება. იძებნება ისეთი ნიმუშებიც, როდესაც მხოლოდ B ნუსხა, ან მხოლოდ C ნუსხა უჭერს მხარს ძირითადი ტექსტის ცვლილებას. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ერთი ხელნაწერი რჩება ბერძნულის ერთგული. დასტურდება ისეთი ფაქტებიც, როდესაც ძირითადი ხელნაწერი მიჰყვება ბერძნულის მონაცემს, მაგრამ მოძევნო ნუსხ(ებ)ის შემოქმედები ტექსტის ინტერპრეტაციას მიმართავენ.

ასე რომ, BC ხელნაწერები არ არის მექანიკურად გადანუსხული ძირითადი ხელნაწერიდან. ისენი გარკვეული თვალსაზრისით დამოუკიდებელი ხელნაწერებია, რომელთა ძირითადი სახელმძღვანელოც ბერძნული ტექსტია, თუმცა ხშირად წინა ნუსხების მონაცემებსაც ითვალისწინებენ.

ვფიქრობთ, საანალიზო თხზულების ნუსხები საინტერესო შემთხვევაა ტექსტის კრიტიკისა და გამოცემათმცოდნეობის კუთხით.

„თეოდორე სტრატილატის წამების“ ნუსხათა ურთიერთმიმართულისათვის

„თეოდორე სტრატილატის წამების“ ექვთიმე ათონელი-სეული თარგმანი 5 ნუსხაშია დაცული. მათგან უძველესია X / XI საუკუნის ათონური წარმოშობის ხელნაწერი A-1103, რო-მელსაც A ლიტერით აღვნიშნავთ. მას მოჰყვება XI საუკუნე-ში, ოლონდ ცოტა მოგვიანებით, იერუსალიმის ჯვრის მონას-ტერში გადაწერილი ნუსხა – ბოდლე-1. მისი აღმნიშვნელი ლიტერია B. C ლიტერით წარმოვადგენთ A-388 ნუსხას, და-თარიღებულს XII-XIII საუკუნეებით, D ლიტერით – A-382 ნუს-ხას, რომელიც XV საუკუნეშია გადაწერილი. გვაქვს კიდევ ერთი ნუსხა – A-1076, რომლის გადაწერის თარიღიცაა 1862 წელი.

სქოლიოში იკითხვისებს BCD ნუსხებიდან ვუთითებთ, XIX საუკუნის ნუსხის მონაცემებს კი აღარ ავსახავთ. მიზეზი მარტივია: ეს პერიოდი ქართული სალიტერატურო ენის გან-ვითარების ისტორიაში ახალ ქართულს მიეკუთვნება და, შე-საბამისად, ძველი ქართულისთვის არ არის საინტერესო. ამასთან, სხვაობები ძირითადი ხელნაწერისგან თითქმის ყვე-ლა სიტყვაში ფიქსირდება, რაც საკმაოდ გაზრდიდა სქოლის მოცულობას. თუმცა წინამდებარე სტატიაში მისი ენობრივი თავისებურებებიც გვაქვს გაანალიზებული და გარკვეული გვაქვს წინა ნუსხებთან მიმართების საკითხიც. სტატიაში მას E ლიტერით წარმოვადგენთ.

A-1103 ნუსხაში შესულ ჩვენს თხზულებას ერთვის ექ-ვთიმე ათონელის ანდერძი: „სახელითა ქრისტესითა აღეს-რუ[ლა] წამებად წმიდისა და დიდებულისა მონამისა თეოდო-რესი, გამოთარგმნილი ახლად ბერძულთა წიგნთაგან ჭელითა გლახისა და ცოდვილისა ეფთვესითა. ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მოიწყენეთ მამად იოვანე და მე – ცოდვილი ესე და უღირსი ეფთვეთ, რამთა თქუენცა ღმერთმან მოგცეს სასყიდე-ლი სიყუარულისაც, ამინ! ითარგმანა წამებად წმიდისა თეოდო-

რესი დასაბამითგანთა წელთა ხფკა მთასა ათონას. დიდებად შენდა, სამებაო წმიდაო, აღმასრულებელო ყოველთა კეთილ-თაო.“

ძეგლის თარგმნის თარიღი, როგორც ვხედავთ, ანდერ-ძშივეა მოცემული და იგი 1013 წელია: ხფკა ნიშნავს 6521-ს. ანდერძში არ არის მითითებული, რომელი დასაბამითგანი იგულისხმება – ქართული თუ ბერძნული, მაგრამ მარტივად ირკვევა, რომ ბერძნული უნდა იყოს. ქართული დასაბამითგანით ვიღებთ 917 წელს (6521-5604), ანუ ექვთიმებდელ პერიოდს, ხოლო ბერძნულით – 1013 წელს (6521-5508), ექვთიმეს მოღვაწეობის ხანას.

ხსენებულ ანდერძს მოჰყენება გადამწერთა – იოვანე გრძელისძის, იოვანე ოქროპირის, საბა და იოვანე ბარერჩელის (?) – ანდერძი, საიდანაც ჩანს, რომ A-1103 ნუსხა უშუალოდ ექვთიმესეული ნუსხიდან არის გადაწერილი. მასში ვკითხულობათ:

„ეს ზემოწერილნი სიტყუანი, სიმდაბლითა საუსენი, თვით ნეტარისა მამისა ეფთვმესნია. ვითა ნუსხასა ეწერა, ეგრეთვე აღვწერე სიმდაბლე მათი...“

ექვთიმეს სიტყვები – „გამოთარგმნილი ახლად“ მიგვანიშნებს, რომ მანამდე არსებობდა „თეოდორე სტრატილატის წამების“ სხვა თარგმანიც, როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. ქავთარია (1966).

ძირითად ხელნაწერად, ცხადია, A-1103 შევარჩიეთ, როგორც უძველესი, ათონური წარმოშობის და, ამავე დროს, ექვთიმესეული დედნიდან მომდინარე. მასთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას ბოდლე-1 (B).

თავდაპირველად შევეხებით ნუსხათა ორთოგრაფიულ და ფონეტიკურ თავისებურებებს:

AD ნუსხები ყველგან სტრატილატი ფორმას ირჩევენ, CE ნუსხები – სტრატელატს, B-ში სახელი სამჯერ სტრატელატი, ხოლო ორჯერ სტრატილატი დაწერილობითაა მოცემული.

ასევე მერყეობს B ნუსხა ანთროპონიმ **ლიკინიოზის** ხმა-რებისას: 6-ჯერ ის **ლიკინიოს**, ხოლო 16-ჯერ **ლიკინიოზ** ფორმას იყენებს. A ამ ნაწილშიც მონოლითურია: აქ ყველგან **ლიკინიოზ** ფორმა იხმარება. C ნუსხაში მხოლოდ ორჯერ არის **ლიკინიოს** ფორმა გამოყენებული, დანარჩენ შემთხვევებში – **ლიკინიოზ**, D ნუსხაში კი მხოლოდ ერთხელ არის **ლიკინიოზ** ნახმარი, ყველა სხვა შემთხვევაში – **ლიკინოზ**, E ნუსხა, ერთი შემთხვევის გარდა, ყველგან **ლიკინიოზ** ფორმას აძლევს უპირატესობას.

BE ნუსხები **ანტიოხოს** ფორმას ხმარობენ, AD – **ანტიოხოზის**, C – ერთხელ **ანტიოხოსს**, ერთხელაც – **ანტიოხოზის**. ანთროპონიმ **ევსევიას** C ნუსხა **ევსევას** სახით გვთავაზობს, ყველა დანარჩენი – **ევსევიას** სახით. A – **მაქსიმინეს** იყენებს, BCDE – **მაქსიმიანეს**. ძირითად ხელნაწერში გვაქვს **არტემია**, ხოლო ყველა დანარჩენში – **არტემი**.

ზმინიზედებში ზოგიერთი ნუსხა **ჰ-ს** იყენებს, მაგალითად, B-ში **უკუჲ** ფორმა 10-ჯერ (ყველა შესაძლო შემთხვევაში) არის გამოყენებული, D-ში – 9-ჯერ, C-ში – ოთხჯერ, E-ში კი – ორჯერ: „**უკუჲ** მეცა“ (BCE); „**უკუჲ** ჰენბავს“ (BE); „**უკუჲ** თავსიდევ“ (BCD); „**უკუჲ** წარიყვანეთ“ (BD); „**უკუჲ** წარმგზავნეთ“ (BCD); „**უკუჲ** მოქცეულხართ“ (BCD) და ა. შ.

ზმინიზედაში **ჰ-ს** გამოყენების სხვა მაგალითია: „წკმირსა ქუეშე“ (B); შდრ.: „წკმირსა ქუეშე“ (ACD) // **ქვეშე** (E);

უჲ დაწერილობის სიხშირით განსაკუთრებით გამოირჩევა D ნუსხა (27 შემთხვევა): მომატყუჲპელი, მომწყუჲდელი, მეტყუჲლი, მსხუჲრპლი და სხვა მრავალი. გვხვდება ზმნურ ფორმებშიც: **ხუტენით**, **იხუტებოდეს**, **ჰგუტემდეს**, **ალიქუჲს**, **გერქუჲნო** და **სხვ.**

ზმნურ ფუძეებთან **უჲ** იშვიათად დასტურდება C ნუსხაშიც: „**წარჷკუჲთა** მეჭრმლემან“; „**ჰშუჲნის** ყოველივე.“ ამ ხელნაწერში ის 8-ჯერაა გამოყენებული.

B ნუსხა ზოგჯერ ჭ-ს ხ-თი ცვლის, E ნუსხა კი ყოველ-
თვის ხ-ს იყენებს: „რათა გულისხმაჲყოთ“ (BE); შდრ.: „რათა
გულისხმაჲყოთ“ (ACD).

D ნუსხისთვის დამახასიათებელია იოტამეტობის შემ-
თხვეები: „ჰმისახურებდე[ნ] მხოლოდსა მას“; „დაცხოვმაა“;
„საუკუნოდ“; „შევსწიროეთ“; „მიუგო“, „სხუამან“, „მონ-
ყუტდა“; „ეუნყა“ და სხვა მრავალი.

ორ შემთხვევაში D ნუსხაში უცნაური ფაქტი გამოვლინ-
და: სიტყვის ბოლოს ზედმეტად არის ნახმარი ო ხმოვანი: „ძა-
ლი საღმრთოო“; „საღმრთოო გამობრნყინდა.“

CDE ნუსხები აღსარებას ერთი ა-თი წარმოადგენენ, AB
ნუსხები – ორით: „უვარყო აღსარებაა“; შდრ.: „...აღსაარებაა“;
„აღსარებასა შინა შენსა“; შდრ.: „...აღსაარებასა.“

ზოგჯერ B ნუსხა უ ხმოვანს ო-თი, ხოლო D ნუსხა ო
ხმოვანს უ-თი ცვლის: „უსლოთა“ (B); ამბუხებად (D).

რჩ კომპლექსს B ნუსხა შვ კომპლექსით ანაცვლებს, სჭ
კომპლექსს – შჭ კომპლექსით, CDE ნუსხები სვ კომპლექსს
ირჩევენ, ძირითადი ნუსხა კი – რჩ კომპლექსს: „უშვულოთა
საქმეთა“ (B) // „უსჯულოთა“... (CE); „ურჩულოთა“... (A);
„მსგავსად უშვულოდსა მის“ (B); შდრ: „უსჯულოთა“... (CE);
„ურჩულოთა“... (A); „ამას იტყოდა... უშვულოდ იგი“ (B);
შდრ.: „...ურჩულოდ...“ (A); „დამშტუალვაა ნეტარისად მის“ (B);
შდრ.: „...დამსჭუალვაა...“ (AC); „...დამსჭუალვა...“ (D);
„...დამსჭვალვა...“ (E); „სამშტუალი რკინისაა“ (B); შდრ.: „სამ-
სჭუალი რკინისაა“ (C); „სამსჭვალი“... (E); „შემშტუალიან და
კუალად... შემშტუალიან“ (B); შდრ.: „შემსჭუალიან და კუა-
ლად... შემსჭუალიან“ (C); „შემსჭვალიან და კვალად შემსჭვა-
ლიან“ (E).

AD ნუსხებში ზედსართავი სახელი „ნამდვილი“ ასიმი-
ლირებულია: „ნანდვლვე ღმერთი არიან“; შდრ.: „ნამდვლვე

ღმერთი არიან“ (BCE); „ნანდკლვე შემსგავსებულ“; შდრ.: „ნამდკლვე შემსგავსებულ“ (BCE).

ზოგჯერ AC ნუსხებში გვაქვს ასიმილაციის მაგალითები: „მიუწოდელ არიან“ (AC); შდრ.: „მიუწუდომელ არიან“ (B) // მიუწდომელ (DE); ზოგჯერ – მხოლოდ A-ში: „მიუწოდელითა“ (A); შდრ.: „მიუწუდომელითა“ (B) // მიუწდომელითა (CE); „ლალატყო ძრიელად“ (A); შდრ.: „ლალატყო ძლიერად“ (BCDE); „ლმრთისა ჩემისა მიმართ ვლალატყვავ“ (A); შდრ.: „ლმრთისა ჩემისა მიმართ ლალატყვავ“ (BDE) // ვლალატყვავ (C).

AE-ში თანხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევა დასტურდება: მთავარეპისკოპოსი (A); მთავარეფისკოპოსი (E); შდრ.: მთავარეპისკოპოსი (BCD); დისიმილაციის ფაქტი გვხვდება DE ნუსხებშიც: ჰანბავი (D) // ანბავი (E); შდრ.: ჰამბავიცა (ABC).

A არჩევს წრკლ ფორმას, BCD – წულილ // წურილ ფორმებს, E კი – წვლილ ფორმას: „შემუსრნა იგინი წრკლ-წრკლად“ (A); შდრ.: „...წულილ-წულილად“ (BC), „...წურილ-წურილად“ (D); „წვლილად“ (E); „დავანწრკლენ იგინი“ (A); შდრ.: „დავანწურილენ...“ (B) // „დავანწულილენ...“ (CD) // „დავანწლილენ“ (E).

მეტათეზისის მაგალითია შეიღლუარჭნა (B); შდრ.: შეიღულარჭნა (ACD); შეიღვლარჭნა (E).

A-ში და ზოგჯერ B-შიც ფიქსირდება მეტათეზისი ძარცვა ფუძეში: „განძუარცეს ნეტარი იგი“ (A); შდრ.: „განძარცუეს ნეტარი იგი“ (BCD); „განძუარცეთ განდგომილი ეგე“ (AB); შდრ.: „განძარცუეთ განდგომილი ეგე“ (CD); E ნუსხაში ამ მაგალითში ასიმილაცია გვაქვს: „განცარცეს...“ (E); „განცარცეთ“... (E).

ძლიერ ფუძეს შემცველ სიტყვებს ძირითადი ხელნაწერი ყველგან მეტათეზირებული სახით წარმოგვიდგენს, განსხვავებით BCDE ნუსხებისგან: „განძაძრიელე მე“ (A); შდრ.: „გან-

მაძლიერე მე (BCDE); „განმაძრიელე ძლევად“ (A); შდრ.: „განმაძლიერე ძლევად“ (BCDE); „ძრიელად შევპნერწყუე“ (A); შდრ.: „ძლიერად შევპნერწყუე“ (BCDE).

BC ნუსხებში ხმოვნებს შორის პოზიციაში გვხვდება 3 თანხმოვნის განვითარების შემთხვევა: უფარუონ. შდრ.: უარ-ყონ (ADE).

BE და ზოგჯერ CD ნუსხებიც ინარჩუნებენ 3 ბგერას ისეთ პოზიციებში, სადაც ის ხშირად იკარგება, განსხვავებით A ნუსხისგან: „ითხოვო მეფობისაგან“ (BE); შდრ.: „ითხოო“... (ACD); „ცხოველ იყო“ (BCDE); შდრ.: „ცხოველ ხარ“ (A); „განმაცხოველა“ (BCDE); შდრ.: „განმაცხოველა“ (A); „რამთა ვერ პოვონ“ (BE); შდრ.: „რამთა ვერ პოვონ“ (ACD); მაგრამ: „ცხოველი თუალითა ჩემითა“ (ABD); შდრ.: „ცხოველი თუალითა ჩემითა“ (C).

-**მდე** თანდებულის ნინ BC ნუსხებში იკარგება ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული -დ თანხმოვანი: „ვიდრე ალსასრულამდე“ (BCD); შდრ.: „ვიდრე ალსასრულადმდე“ (AE).

C ნუსხაში გვხვდება **ცრუვი** ფუძე: „ეცრუვა დიდსა კოსტანტინეს.“

CD ნუსხებში **ჯუარცუმა** რედუცირებულია მეორე უ-ს ხარჯზე: „ჯუარცმული ქრისტე“; შდრ.: „ჯუარცუმული ქრისტე“ (AB). C ერთგან **ჯუარცუმასაც** იყენებს: „ჯუარცუმაა და სიკუდილი.“ E ნუსხაში სისტემურად **ჯვარცმული** იხმარება.

-**ელ** სუფიქსით ნაწარმოები სახელი A ნუსხაში არ იკუმშება, განსხვავებით BCDE ნუსხებისგან: „სახუეტელებითა ხუეტენით“ (A) // „სახუეტლებითა ხუეტენით“ (BCD) // „სახვეტლებითა“... (E).

-**ე** ხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებთან სახელობით ბრუნვაში B და ზოგჯერ CD ნუსხებშიც ჰარის გამოყენებული:

„შემუსრა უფალმან უკეთური იგი პრომთა მეფის მაქ-სენტი“ (B); შდრ. „...მეფე“ (ACDE); „რომელი-იგი იყო მეფი აღმოსავალისად“ (B); შდრ. „...მეფე“ (ACDE); „რომელი შემცი მეყავ“ (B); შდრ.: „...შემცე“ (ACDE); „მონაშვილის ქრისტესი“ (B); შდრ.: „...მონაშე“ (ACDE); „ლმერთი შენი და მეუფის“ (BCD); შდრ.: ლმერთი შენი და მეუფე“ (AE).

იმ შემთხვევებში კი, სადაც -ე-ზე დაბოლოებული სახე-ლის წრფელობითი ბრუნვის ფორმა იგულისხმება, ჟ-ს გამო-ყენება მისი ე გრაფემასთან აღრევის შედეგია, რაც ე.წ. შებ-რუნებულ დაწერილობათა რიგს განეკუთვნება: „სამ დღი კე-თილად იღუაშნა“ (B); შდრ. „სამ დღე კეთილად იღუაშნა“ (ACDE).

B ნუსხა ზოგჯერ სხვა ნუსხებში გამოყენებულ სახელო-ბითის ფორმას წრფელობითს უნაცვლებს: „წინამძლუარ ხარ ბოროტისა მის საცოტისა“ (B); შდრ.: „წინამძლუარი ხარ ბო-როტისა ამის საცოტისად“ (ACDE).

მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილში პოსტპოზიციური წყობის მართულ მსაზღვრელს სახელობითში DE ნუსხებში ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის: „სასუფეველი ცათა“ (DE); შდრ.: „სასუფეველი ცათად“ (ABC); „მტერი ნათესავისა ჩუენი-სა“ (DE); შდრ.: „მტერი ნათესავისა ჩუენისად“ (ABC); „მომ-წყუბდელი ქრისტეანეთა“ (DE); შდრ.: „მომწყუბდელი ქრისტე-ანეთად“ (ABC); მოქმედებით ბრუნვაში ამ ტიპის მსაზღვრელი იმავე ნუსხებში კარგავს ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ელემენტს: „სიტყვთა ლიქნისათა“ (DE); შდრ.: „სიტყვთა ლიქნისათად“ (ABC).

ხელნაწერები ზოგჯერ განსხვავებულ სურათს გვიჩვენე-ბენ III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენების მხრივ: ზოგი არჩევს „თვისი“, ხოლო ზოგიც – „მისი“ ფორმას: „მთავართა მისთათა“ (B); შდრ.: „მთავართა თვისთათა“ (ACD); „აღსაარებისა მისისად“ (ABCE); // „აღსაარებისა თვისისა“ (D).

მათდა ფორმა B ნუსხაში ყველგან **მათა** სახით არის წარმოდგენილი:

„ჰერონებდა დასაბამითგანი იგი მტერი ნათესავისა ჩუე-ნისაა დაბრკოლებად **მათა** გზისა მისგან ცხორებისა“ (B); შდრ.: „...**მათდა**“ (ACDE). „შესწირეა **მათა** შესანირავები?“ (B); შდრ.: „შესწირეა **მათდა** შესანირავები?“ (ACD) // „...ამათ...“ (E).

BDE ნუსხები ზოგჯერ -**მე** ნაწილაკის წინ ნათესაობით ბრუნვაში **რა** ნაცვალსახელს განავრცობენ: „კეთილისა **რახსა-მე** მოლოდებაა“ (BDE); შდრ.: „კეთილისა **რახსმე** მოლოდებაა“ (AC). ზოგჯერაც ABC ნუსხები განავრცობენ განსაზღვრებით ნაცვალსახელ **ყოველს** -**ვე** ნაწილაკის წინ: „**ყოვლითავე** ღო-ნისძიებითა“ (ABC); შდრ.: „**ყოვლითავე** ღონისძიებითა“ (D).

ნუსხები ზოგჯერ ერთმანეთისაგან სხვაობს რიცხვის გრამატიკული კატეგორიის შერჩევის თვალსაზრისით: ნაწილი იყენებს მხოლობით რიცხვს და ნაწილიც – მრავლობითს. „სა-შუებელნი სოფლისანი“ (CE); შდრ.: „საშუებელი სოფლისაა“ (AB) // „საშუებელი სოფლისა“ (D).

A ნუსხაში რთული ზმნის I სუბიექტური პირის ფორმას-თან გვხვდება პირის ნიშნის ორმაგი გამოხატვის ნიმუში: „ღმრთისა ჩემისა მიმართ **ვღალატვყავ**“ (A); შდრ.: „**ღალად-ვყავ**“ (BCDE).

ობიქტური პირის ნიშნების გამოყენების მხრივ ნუსხებში განსხვავებული სურათი გვაქვს: „რომელნი **ჰმსახურებენ** მათ“ (ABC); შდრ.: „...**ჰმსახურებენ** მათ“ (DE); „არამედ **მსახურებდენ** მხოლოსა მას“ (AE); შდრ.: „...**ჰმსახურებდენ**...“ (CD) // „**ჰმო-ნებდენ**“ (B).

გაილიმა ფორმაში BD ნუსხები მრავლობითობის სუ-ფიქსს გამოავლენენ: „თეოდორე ნელიად **განილიმნა**“; შდრ: „...**გაილიმა**“ (ACE). -(ე)ნ სუფიქსი აქ შესაძლოა ვნებითი გვა-რის ზმნის – **გაელიმნეს** ანალოგით იყოს გაჩენილი, ან ამ ტიპის ზმნებთან ისტორიული პირდაპირი ობიექტის მრავლო-

ბითობის აღმნიშვნელად იყოს ენობრივი მეხსიერებით შემორჩენილი, თუმცა ამ შემთხვევაში ზმნა საშუალ-მოქმედებითი გვარის ფორმით არის გამოყენებული და პირდაპირ ობიექტსაც, ცხადია, არ შეიცავს.

BCDE აორისტის ძველ ფორმას ირჩევს, A – ახალს: „ვითარცა აღმითქუ“ // ვითარცა აღმითქ.“

იშვიათია თემის ნიშანთა მონაცვლეობის ფაქტები. მაგ., ერთგან BCE-ში ზმნა -ობ თემის ნიშანს დაირთავს, AD-ში – - ავ-ს, რომელიც ძველი ქართულის უღლების წესის მიხედვით, უწყვეტელში (ა)ვ-ი სუფიქსებს ავლენს: „ჰპასრობდა მწენესა მას“ (BCE) // „ჰპასრვიდა...“ (AD).

საინტერესოა ბრძანებითი კილოს გადმოსაცემად || ბრძანებითის ფორმაში პირის ნიშნის დართვა BCD-ში, რაც ახალი ქართულის ვითარების ამსახველია: „მახვლები განფინეთ“ (BCD); შდრ.: „მახვლები განფინეთ“ (AE). „ნარვედით და გარდამოპქსენით გუამი მაცთურისა“ (BC); შდრ.: „ნარვედით, გარდამოპქსენით...“ (AD); „...გარდამოხსენით“ (E).

BCDE ნუსხები -ენ სუფიქსიან ვნებითს ხმარობენ, A – - დ სუფიქსიანს: დადუმნა; შდრ.: დადუმდა.

განსხვავებული სურათი გვაქვს ნუსხებში სულთქმა ფორმის გამოყენების მხრივ. BCD იყენებს სულთითქუმიდა ფორმას, E – სულთითქმიდა-ს, A – სულითქუმიდა-ს.

ACDE ნუსხებში ზმნიზედის ესრეთ ფორმას B ნუსხაში ესრე ფორმა შეესაბამება: „ესრე ეტყპ“ (B); შდრ.: „ესრეთ“... (ACDE).

სინტაქსის სფეროში ყურადღებას იქცევს მართვის საკითხები. B ნუსხაში ერთგან ორპირიანი ზმნა-შემასმენლის შემცველ წინადადებაში მიზნის გარემოებასთან, რომელიც ვითარებით ბრუნვაში მდგარი საწყისით არის გადმოცემული, უბრალო დამატება მიცემითის ფორმით არის გამოყენებული, რაც ძველი ვითარების ამსახველია: „განმაძლიერე ძლევად უხილავსა მას ვეშაპსა.“ სხვა ნუსხებში და ამავე ნუსხაშიც

ანალოგიურ მაგალითებში ყველგან ნათესაობითის ფორმაა გამოყენებული: „განმაძრიელე ძლევად უხილავისა მის ვეშაპი-სა“ (ACDE). „განმაძლიერე მე, მონად შენი, ძლევად ბოროტი-სა ამის მტერისა მქეცისა“ (ABCDE).

B და ზოგჯერ D ნუსხაშიც ვითარებით ბრუნვაში მდგარ პოსტპოზიციური წყობის საზღვრულს მსაზღვრელი ზოგჯერ ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილის გარეშე შეენყობა: „შე-ვიდა სახედ თვისა“ (B); შდრ.: „შევიდა საუნჯედ თვისად“ (ACDE); „ნარვიდა სახედ თვისა“ (BD); შდრ.: „ნარვიდა სახედ თვისად“ (ACE).

პოსტპოზიციური წყობის მართული მსაზღვრელი საზ-ღვრულ წევრს ძირითად ნუსხაში არ ეთანხმება ბრუნვაში: „შეარყიონ აღსაარებისაგან ქრისტესა“ (A); შდრ.: „...აღსაარე-ბისაგან ქრისტესისა“ (BCDE).

ABD ნუსხებში უბრძანა ზმნასთან პირდაპირი დამატება ვითარებით ბრუნვაში მდგარი საწყისით არის გადმოცემული: „უბრძანა ვიეთმე მისლვად მისა“ (ABD); შდრ.: „...მისლვად მისდა...“ (C) // „...მისლვა“ (E).

ნუსხებში შეინიშნება სიტყვათა მატებისა თუ კლების, სიტყვის ფორმის შეცვლის, ან სხვა სიტყვით ჩანაცვლების, ასევე სიტყვათა რიგის შეცვლის შემთხვევები. იმის გათვა-ლისწინებით, რომ საანალიზო ძეგლის ბერძნული ვერსია არ მოგვეპოვება, კლება-მატებაზე საუბრისას, ბუნებრივია, ამო-სავლად ძირითად ხელნაწერს მივიჩნევთ და დანარჩენ ნუს-ხებს მას ვუდარებთ. ქვემოთ წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას ამ კუთხით ნუსხათა ურთიერთმიმართების გასარ-კვევად.

მატების მაგალითები:

„ცხენსა თვისსა“ (AC) // „ცხენსა ზედა თვისსა“ (BDE); „განმაძრიელე წინააღდგომად“ (AD) // „განმაძლიერე მე წინა-აღდგომად“ (BCE); „კუალადცა ლამპრებითა“ (AD) // „კუა-ლადცა და ლამპრებითა“ (BC); „შეწირა თავი თვისი მამისა“

(AD) // „შენირა თავი თვისი მსხუერპლად მამისა“ (BCE); „ძლევითა და დიდებითა“ (ACDE), „ძლევითა და დიდებითა დიდითა“ (B); „დისიძე დიდისა კოსტანტინე მეფისა, ღმრთისმსახურისა“ (ACDE); „დისიძე დიდისა კოსტანტინე მეფისა, ღმრთისმსახურისა და წმიდისა“ (B); „დიდებითა მოვიდა“ (ACDE); შდრ.: „დიდებითა დიდითა მოვიდა“ (B); „იძულებად ზორვად კერპთა“ (ACE); შდრ: „იძულებად და ზორვად კერპთა მათ“ (B); „ერი კეთილი მსახური“ (AB) // „ერი კეთილი და მსახური“ (CDE);

კლების ნიმუშები:

„ღმრთისმსახურმან მან მეფემან“ (A) // „ღმრთისმსახურმან მეფემან“ (BCDE); „ახოვანი და ბრძენი“ (AD) // „ახოვანი, ბრძენი“ (BCE); „ყოველივე ბილნი იგი“ (ABC) // „ყოველი იგი ბილნი“ (E) // „ყოველივე ბილნი“ (D); „ბილნთა მათ მთავართა“ (ACDE); შდრ.: „ბილნთა მთავართა“ (B); „წარვიდე სახელითა ქრისტესითა და განვათავისუფლო“ (ACDE); შდრ.: „სახელითა ქრისტესითა განვათავისუფლო“ (B); „გულისწყრომასა და რისხვასა მეფისა“ (AB) // „გულისწყრომასა მეფისა“ (CDE).

სიტყვის ფორმის შეცვლის ნიმუშები:

„შემდგომად ლოცვისა მოექცა“ (AD); შდრ.: „შემდგომად ლოცვისა მოიქცა“ (BCE); „დაინუებოდინ“ (A); შდრ.: „დაინუებოდენ“ (BCE); „მოსლვად შარავანდობისა შენისაა“ (A); შდრ.: „მოსლვად შარავანდელობისა შენისაა“ (BCDE); „მოიქცა გონებად შენი უმჯობესისა“ (AD) // „მოიქცა გონებად შენი უმჯობესისა“ (BC) // „უმჯობესად (E); „რათა ყოს ღმერთმან“ (A) // „რათა ყოს უფალმან“ (BCDE); „თუალთა ჩემთა“ (A) // „თუალითა ჩემითა“ (BCDE); „ყოველივე გუამი“ (A) // „ყოველი გუამი“ (BCDE); „ახლისაცა რამე სატანჯველისა“ (A) // „ახლისაცა რამე სატანჯველისა“ (BCDE); „მზა იყო თავსა თვისსა მიცემად“ (AD) // „მზა იყო თავისა თვისსა მიცემად“ (BC);

„სცა ჰორლითა“ (AB) // „სცა ჰოროლი“ (CD) „...ოროლი“ (E); „წარვიდა სახედ“ (AB) „წარვიდა სახიდ“ (CDE); „კერპთა უსულოთა მონებად არა გრცხუენის“ (AD); შდრ.: „კერპთა უსულოთა ჰმონებ და არა გრცხუენის“ (BCE);

სიტყვის სინონიმით ან შინაარსობრივად ახლოს მდგომი სიტყვით შეცვლის მაგალითები:

ჩანაცვლების ნიმუშები არსებით სახელებთან:

„სპანიცა მიაქცინეს“ (ACDE) // „სპასალარნი მიაქცინეს“ (B); „მპყრობელად“ (ACDE) // „დამამყარებელად“ (B); „კუერებითა ბრპენისათა“ (ACDE) // „კუერებითა რკინისათა“ (B) // „გოდოლი შეურყეველი“ (ACDE) // „გურდემლი შეურყეველი“ (B); „მსახურთა“ (ACDE) // „მახლობელთა“ (B); „უაღრეს ბუნებისა“ (ACDE) // „უაღრეს ცნობისა“ (B); „იწყეს ისრითა გუემად მისა“ (ABDE); შდრ.: „...გურემად...“ (C); „სიმდიდრისა მისისა“ (ABCE) // „სიდიდისა...“ (D).

ნაცვალსახელებთან:

„განიდევნა მძლავრებისაგან თვისისა“ (ACDE) // „...მისისა“ (B); „მთავართა თვისთავთა“ (ACDE) // „მთავართა მისთავთა“ (B). შევნიშნავთ, რომ E ნუსხა კ-ს ყველგან ვი დაწერილობით წარმოადგენს.

ზმნებთან:

„შეამკიბენ (ACDE) // განაშუენებენ (B); თქუა (ACDE) // ჰრქუა (B); „ორად განიყო“ (ACDE) // „ორად განიპო“ (B); მისილავს (ACDE) // მინახავს (B); „განცემებულ იყვნეს“ (ACDE) // „განცემებულ იქმნეს“ (B).

ხან გვაქვს საწყისის მიმღეობით ჩანაცვლების მაგალითები:

„წესენებად მოწამეთად მოტევებად არს თანამდებთად“ (ACDE) // „...მომტევებელ...“ (B).

სიტყვათა რიგის შეცვლის ნიმუშები:

„სარწმუნოებასა ზედა შენსა“ (AB) // „სარწმუნოებასა შენსა ზედა“ (CDE); „ველთა განაშუენებენ“ (ACDE) // „განა-
244

შუენებენ ველთა“ (B); „ვეშაპი საშინელი“ (ACDE) // „საშინე-ლი ვეშაპი“ (B); „მაქუს სავედრებელი“ (ACDE) // „სავედრებე-ლი მაქუს“ (B); „არა არს სიტყუად პირსა მისსა“ (AD) // „არა არს პირსა მისსა სიტყუად“ (BCE).

ბოლოს, ორიოდე სიტყვით დავახასიათებთ E (A-1076) ნუსხას: ბგერითი სისტემა აქ ახალი ქართულისებურია. § გრაფემა ყველგან 6 გრაფემით არის ჩანაცვლებული (შენება > ხენება, მწედრობა > მხედრობა, ჭორცი > ხორცი), კ - ვი დაწერილობით (გვრგვი > გვირგვინი, მკვდრად > მკვიდრად, მძვნვარე > მძვინვარე, თვს > თვის), თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში უმარცვლო უ - ვ თანხმოვნით (ყუავილი > ყვავილი, საშუებელი > საშვებელი, სიყუარული > სიყვარუ-ლი, ქუეყანა > ქვეყანა).

ა-ს გამოყენების იშვიათი შემთხვევები იძებნება: არა-რად, რაღასამე, პონტოვსა. შესაბამისად, ხმოვანფუძიანი სახე-ლები სახელობით ბრუნვაში ნიშნის გარეშე არიან წარმოდგე-ნილნი: „თხრობად მოწამეთა წამებისაა“ > „თხრობა მოწამეთა წამებისაა“; „წენებად მოწამეთად მოტევებად არს თანამდებთად“ > „ხენება მოწამეთა მოტევება არს თანამდებთა.“

ჟ სპორადულად იხმარება და, ძირითადად, უ-ს მომდევნოდ: ჩუჭინსა, ქუჭყანა, თქუჭნსა, ჩუჭულებისა. გვხვდება უკუჭ ზმნიზედაშიც, რაც ძველი ქართულისთვის იყო ნიშანდობლივი: „ვარ უკუჭ მეცა“; „აწ უკუჭ ჰენებავს.“

სიტყვათა დაწერილობაც ახალი ქართული ენის ნორ-მებს მიჰყვება: ცხორება > ცხოვრება, წმიდა > წმინდა; ჰრომ-თა > რომთა; აღმოსავალი > აღმოსავლეთი; აღთქუმად > აღ-თქმა; აღსაარება > აღსარება, ჩრდილოეთ > ჩრდილოეთით; იესუ > იესო; მკუდარი > მკვდარი; შუენიერი > მშვენიერი; ვეცხლი > ვერცხლი; ესე > ეს (ესე კაცი > ეს კაცი); არცა > არც; ჯუარცუმული > ჯვარცმული.

საკუთარი სახელები სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში უფრო მეტად გაფორმებულია: მაგ., ხუთი შემ-თხვევიდან ფრაზაში – „მიუგო წმინდამან თეოდორემ“ სახელი

„თეოდორე“ სამჯერ მოთხოვითი ბრუნვის ნიშნითაა მოცე-
მული, ხოლო ორჯერ – მის გარეშე.

წინა ნუსხებთან ე ნუსხის შედარების შედეგად გამოირ-
კვა, რომ ძირითადი საყრდენი მისთვის A ნუსხაა, გარკვეულ
შემთხვევებში იმეორებს ასევე BCD ნუსხების იკითხვისებს.
ამასთან, ზოგჯერ არც ერთი ნუსხის მონაცემს არ იყენებს და
საკუთარ არჩევანს გვთავაზობს, იქნება ეს სიტყვების შერჩე-
ვისას თუ კლება-მატებისას.

ამრიგად, ხელნაწერთა შედარებითმა შესწავლამ გვიჩვე-
ნა, რომ მათ შორის არსებული სხვაობები არ სცილდება ნუს-
ხებს შორის დასაშვები სხვაობების ზღვარს. ყოველი მომდევ-
ნო ნუსხის გადამწერი სარგებლობს წინა ნუსხებით, მაგრამ
არჩევანს საკუთარი ენობრივი გემოვნების მიხედვით აკეთებს.
მან შეიძლება გაიზიაროს შუალედური ნუსხების იკითხვისები,
შეიძლება ძირითადი ხელნაწერის მონაცემი დაიცვას და შეიძ-
ლება ორიგინალურობაც აჩვენოს. ასე რომ, თანხვედრისა თუ
დაპირისპირების დროს ნუსხათა ნებისმიერი კომბინაცია მიი-
ღება: ორი – სამის საპირისპიროდ, ერთი – ოთხის საპირისპი-
როდ.

A ნუსხასთან D ნუსხა ამჟღავნებს სიახლოეს **ნანდკლი,**
ცხოველი სიტყვების გამოყენების მხრივ.

C-ს თანხვდება DE ნუსხები **სჯ** კომპლექსის შერჩევის
ნაწილში: სამივე სისტემურად იყენებს ამ ბერათკომპლექსს,
განსხვავებით წინა ორისგან. სამივე სიტყვა **ალსარებას** ერთი
ა-თი წარმოადგენს.

მატების ნაწილში ძირითად ხელნაწერს უმეტესად უპი-
რისპირდება B ნუსხა, C და E ნუსხები შემთხვევათა დაახლო-
ებით 50%-ში მას მხარს უჭერენ, 50%-ში B ნუსხას მისდევენ,
D ნუსხა კი იშვითად უპირისპირდება მას. კლების მხრივაც A
ნუსხის საპირისპირო სურათს გვიჩვენებს B ნუსხა, მომდევნო
ნუსხების მიმართება კი თანაბარია: ისინი ზოგჯერ მის ჩვენე-
ბას იმეორებენ, ზოგჯერაც B ნუსხისას. სიტყვის ფორმის
შეცვლის მიმართულებით ძირითად ნუსხას შემთხვევათა აბ-

სოლუტურ უმრავლესობაში უპირისპირდება C ხელნაწერი, შემდეგ – E, B და D ხელნაწერები. სიტყვის სინონიმით ან ახლოს მდგომი სიტყვით ჩანაცვლების მხრივ უმეტესად B ნუსხა დგას განცალკევებით, ხოლო მომდევნო ნუსხები A-ს იკითხვისა იმეორებენ. სიტყვათა რიგის შეცვლის შემთხვევაში ასევე B ნუსხა იჩენს ინდივიდუალობას, უფრო ნაკლებად კი – CDE ნუსხები.

თხზულებათა კრიტიკული ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები

„ფებრონიას წამება“

კრიტიკულ ტექსტში გავასწორეთ კალმისმიერი ლაფსუ-სები, როგორიცაა, მაგ., ბრინისათა, შემდგოსა, ერისკაცათა, დედაკაცისა, წარსლლვად, აღსრულეს, ებსკოპოსიცა, ერის-კაცათა, ლუარნლსა, სირხვლეული, ურხვნოო, უმეტად, მდინე-რე. ასევე ჩავასწორეთ „უ“ ხმოვნის „ო“-თი და „ო“ ხმოვნის „უ“-თი გადმოცემის შემთხვევები: პირითა (პურითა), მყოლ-როებით (მყუდროებით), ბრძულაჲ (ბრძოლაჲ).

პოსტპოზიციური წყობის III პირის კუთვნილებითი ნაც-ვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმაში აღვადგინეთ ერთი დაკარგული „ს“: „შემოიყვანეს უკუე შეკრული წელითა და ჯაჭვ ქედას მის(ს)ა.“

„ბასილი კესარიელის ცხოვრება“

კრიტიკულ ტექსტში გავასწორეთ კალმისმიერი ლაფსუ-სები, როგორიცაა: პირველ, ურთიერთერთას, განვიშოვრეთ, წეელნი.

არ ჩავასწორეთ „dწოლით“ ფორმა, რომელიც ორჯერ არის გამოყენებული ძირითად ტექსტში, რადგან „dწნ“ ბგე-რათკომპლექსში ფორეტიკურად შესაძლებელია „რ“ თანხმოვ-ნის დაკარგვა.

გავასწორეთ ენობრივი შეცდომები. მაგ., ძირითადი ხელნაწერის „განვიშოვრეთ“ ფორმა ჩავანაცვლეთ დანარჩენ ნუსხებში დადასტურებული „განვიშორეთ“ ფორმით.

В ნუსხის მონაცემი გავითვალისწინეთ წინადადებაში: „იხილა: ერთი მომწერლბელთაგანი დიაკონი თუაღუყოფდა დედაკაცსა.“ ძირითად ტექსტსა და С ნუსხაში იკითხება „მამწერლბელთაგანი.“

С ნუსხის იკითხვისი გამოვიყენეთ წინადადებაში: „მიუთხრა მეფესა უვალენტოსს სათნოებანი ამის კაცისანი.“ ძირითად ხელნაწერში მოცემულია „უვალენტიანოს.“

ძირითად ნუსხაში შეინიშნება - ე ხმოვანფუძიანი სახელების მიცემით ბრუნვაში „ც“-ს ხშირი გამოყენების შემთხვევები, რაც „ე“ და „ც“ გრაფემათა ერთმანეთში აღრევის ფართოდ გავრცელებული მოვლენაა: „არა არს უამსა ამას მითხობად, არამედ წინამდებარება მას აღვიდეთ შობით მისითგან და ვიდრე აღსრულებადმდე სათნოებათა მითხობად“; „მოაქცევდეს უფლისა წარმართთა სიმრავლება მრავალსა“; „იხილა ბასილი ჩუენებით სიმრავლება მქედრობასა ზეცისასა“; „მივიდა სამარტვლება“; „ნუ შთაიყვანებ სიბერება ჩემსა მწუხარებით ჯოჯოხეთა“; „საყდართა ზედა მჯდომარება“; „ყოველივე ქრისტიანი მისცა“; „უვარპყოფა ქრისტიანის შენსა?“; „ხოლო უკერდა მაქსიმიანეს ბასილისი იგი ღმრთისა მიმართ სიყუარული“; „ივლიანეს რად ესე ესმა“; „რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარება მისთა“; „უკუეთუ ეცეს უამი მძლავრსა მეფესა.“

კრიტიკულ ტექსტში გავითვალისწინეთ სხვა ნუსხათა მონაცემები, რომლებიც დამოწმებულ მაგალითებში „ე“-ს გვთავაზობენ: წინამდებარება, სიმრავლესა, სიბერესა, ქრისტესა და ა. შ.

გავასწორეთ აგრეთვე „ე“-სა და „ც“-ს აღრევის შედეგად ძირითად ნუსხაში გამოყენებული ფორმა „დღისასწაულობა“ წინადადებაში: „სამსა დღესა ბრძანა დღისასწაულობა.“

С ნუსხით ვისარგებლეთ და ძირითად ტექსტში (ასევე B ნუსხაში) დადასტურებული „შეძლება“ ზმნის აორისტის ფორმა „შეუძლება“ („ვინებე შენდობა დედაკაცისათ, არამედ ვერ შეუძლება“) შევცვალეთ ფორმით: „შეუძლება.“

ერთ მაგალითში ისე ჩანს, თითქოს სახელობით ბრუნვაში მდგარ საზღვრულს ატრიბუტული მსაზღვრელი წრფელობითის ფორმით შეეწყობა. რეალურად აქაც საანალიზო გრაფემათა აღრევასთან გვაქვს საქმე: „თანაშეეწეოდა მას

სამ დღე.“ ვისარგებლეთ BC ხელნაწერების მონაცემით და კრიტიკულ ტექსტში შევიტანეთ „სამ დღე.“

ერთგან ხელნაწერში იკითხება: „უფროდსლა შევპრაცხეთ მარადის წსენებულსა მათა ცხორებასა.“ С ნუსხაში გვაქვს „მათდა“, რომელიც ასევე გაუმართლებელია, რადგან ის ატ-რიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით არის გამოყენებული და უნდა იყოს „მათსა.“

ერთგან ჩამოთვლილია სამი საეკლესიო მოღვაწე, მათგან ორი გაფორმებულია ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო ერთი – მიცემითში: „რამეთუ სამთა მათ, ყოვლად წმიდათა ღმრთისმოშიშთა კაცთა, ვიტყვე: **გრიგოლისსა**, რომელი ღმრთისმეტყუელებასა შინა განშუენდა, და **გრიგოლისსა**, მარადის წსენებულისა ნუსაეონისა ქალაქისასა, და **ეფრემისა**, ყოვლად ქებულისასა.“ გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს ჩამოთვლილი ანთროპონიმები პირდაპირი დამატების ფუნქციით არიან დაკავშირებული „ვიტყვი“ ზმნა-შემასმენელთან, რაც ამ უკანასკნელის მიერ მათ მიცემით ბრუნვაში მართვას მოითხოვს, მაგრამ ამ სახელების თანმხლებ მსაზღვრელებს მთარგმნელი ნათესაობით ბრუნვაში აფორმებს („მარადის წსენებულისა ნუსაეონისა ქალაქისასა“) // „ყოვლად ქებულისასა“), რაც გვავარაუდებინებს, რომ საკუთარი სახელები მას გამოყენებული აქვს განსაზღვრების ფუნქციით და არა პირდაპირი დამატებისა) და პირდაპირი დამატება, რომლის ფარდი სახელიც უნდა იყოს „ღვაწლი“ (ანუ, ვიტყვი ღვაწლს გრიგოლისსა და ა. შ.), არ არის დასახელებული, ჩაგდებულია. ამიტომ მესამე სახელსაც აღვადგენთ განსაზღვრების (მორფოლოგიურად მართული მსაზღვრელის) ფუნქციით და კრიტიკულ ტექსტში შეგვაქვს B ნუსხის მონაცემი **ეფრემისსა**, ხოლო AC ნუსხების იკითხვისას ავსახავთ სქოლიოში.

B ნუსხის იკითხვისი („შემძლებელისაგან“) ავსახეთ კრიტიკულ ტექსტში მაგალითში, სადაც ნათესაობითის ნაცვლად მიცემითია გამოყენებული: „შენევნასა ითხოვდა მისგან, ვითარცა **შემძლებელსა**, მთავრისა თანა მის სოფლისა.“

ასევე ჩავასწორეთ არასწორად გამოყენებული მიცემითი ბრუნვის ფორმა ნაცვალსახელთან: „ვითარ მასცა იქმნა ზიარ და ორთაგანვე დაჰმარხა ნაწილი.“ ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ BC ნუსხის მონაცემი: **მისაცა; შდრ.: მისცა (C).**

C ნუსხას დავეყრდენით ფრაზაში: „არა დასცხრები ღმრთისა ჩუენისასა ბრძოლად, დაბადებულისა მისისა.“ ძირითად ხელნაწერში გამოყენებულია „დაბადებ(უ)ლისა.“

ენობრივად არასწორია **სიტყვისა შემდეგ კონტექსტში:** „მივიდა დედასა **სიტყვისა,** ათენას, უპინოებითა და მრავლითა მარხვითა და **სიწმიდითა შემკული.**“ კრიტიკულ ტექსტში აიასხა BC ნუსხის მონაცემი – **სიტყუათისა, ხოლო სქოლიოში – AC ნუსხების მონაცემები.**

B ნუსხის იკითხვისი გავითვალისწინეთ ასევე ფრაზაში: „**ნუ მოცინარ, დედათა თანა უჯეროთა არაზრახვად, თუალნი ქუედახედვად.**“ ძირითადი ნუსხა გვთავაზობს ფორმას „ქუედათხევად“ (C ნუსხაშია „ქუშედვად“).

რამდენიმე შემთხვევაში გამოტოვებულია -a სავრცობი: „**სიტყუად** მისცე ჩემთვს დღესა მას **სარჩელისასა ღმერთსა;**“, „**მაკლსლა** ჩუენ რწმუნებად ძალსა **ღმრთისას;**“, „**ითხოვა** განტევებად თვისი იერუსალემდ ლოცვისათვს და მუნ შინა **საკვრველებათ** ხილვად.“ კრიტიკულ ტექსტში ავსახეთ სავრცობიანი ფორმები: „**სარჩელისასა;**“, „**ღმრთისასა;**“, „**საკვრველებათა.**“

BC ნუსხების მონაცემით ვისარგებლეთ წინადადებაში: „**ხვალისაგან წარვიდა ლიბანისა.**“ ძირითად ნუსხაში იკითხება „**ლიბანისასა.**“

ერთ ზმნურ ფორმაში აუსლაუტში გამოყენებულია „დ“ თანხმოვანი, რაც კალმისმიერი შეცდომა გვგონია: მრავლობითი რიცხვი შეუფერებელია, ფსევდოგრამატიზებული დაწერილობით რომ აგვეხსნა (თ > დ): „ერთი იგი დაჰმარხა, რათა მის თანა **დაეფლად.**“ ამიტომ კრიტიკულ ტექსტში გავითვალისწინეთ BC ნუსხების მონაცემი: „**დაეფლას.**“

გავასწორეთ ზმის რიცხვის ფორმა შემდეგ წინადადებებში: „მივიდა და იხილა ბასილი ევბულტს თანა და **იცნა** და მხიარულ იქმნა.“ ხელნაწერშია „იცნნა.“ პირდაპირი დამატება აქ მხოლობით რიცხვშია და ორი „ნ“ მოცემულ მაგალითში არასწორია. „დაეცნეს პირსა ზედა თვისა და თაყუანის **სცეს** მას.“ ძირითად ნუსხაში გამოყენებული „სცა“ ფორმა შეუფერებელი იყო კონტექსტისთვის. მრავლობითის გამოყენებას მხარს უჭერს BC ნუსხები.

ზმიზედებში შევინარჩუნეთ **ჰ-ს** დაწერილობა: „**ესრცო** უშურველად უფალი უფროვს გარდაპმატებს სახიერებასა“; „**ესრცო** ორთავე მონაგები მათი ღმრთისმსახურებით განაგეს“; „**ესრცო** მეშვდესა დღესა იწყო გამოთქუმად“; „ნერდაქარტასა შინა **ესრცო**“ და ა. შ.

ჩავასწორეთ სტილური ცდომილებებიც. მაგ., ძირითად ხელნაწერში ერთგან იყითხება: „მაშინ იძულებით თქუა საქმისა მის თავი. მუნჯუესვე დაუტევა...“ კონტექსტის მიხედვით რთულია გარკვევა, ვისზეა საუბარი. ამიტომ ვარჩიეთ C ნუსხის იყითხვისი, რომელიც ნათელს ჰქონის აზრს: „მაშინ იძულებით თქუა საქმისა მის თავი ყოველი. **ხოლო დედაკაცმან მან** მუნჯუესვე დაუტევა...“

ასევე C ნუსხის მონაცემი გავითვალისწინეთ და არ გამოვიყენეთ „და“ კავშირი შემდეგ წინადადებაში: „რაოთა იპოვნენ დიდსა ეკლესიასა (**და**) მოღებად ღმრთისა საიდუმლოსა.“ BC ნუსხებს დავეყრდენით და არ ავსახეთ ზედმეტად ხმარებული იგივე კავშირი ფრაზაში: „უცხოა ვინმე, გუშინ მოვიდა (**და**) უცხოთა სადგურსა ჩემსა და განმზადებით გამოთარგმნა ამათი აქსნად.“

დადასტურდა სიტყვათა არასწორ კონტექსტში გამოყენების შემთხვევებიც. მაგ., ერთგან ვკითხულობთ: „გამოეცხადნეს, რომელი-იგი მაშინ ეპისკოპოსი იყო ქალაქისაა, **სიხარულით** მაქსიმიანე.“ აქ უნდა იყოს „სახელით“, რასაც მხარს უჭერს BC ნუსხები.

არასწორად არის გამოყენებული „საკურველსა“ შემდეგ წინადადებაში: „რომელნი-იგი ადიდებდეს უფალსა და ბასილის, საკურველსა წინაშე მდგომარესა.“ В ნუსხაში გვაქვს „საკურ-თხეველსა“ (C-ში – „საკურთხევლისაა“), რაც კონტექსტის შესა-ფერისიცაა და ბერძნულ ვერსიასაც თანხვდება (ბერძ. გვ. 176: ბიξილიონთის კύριოν კაὶ Βασίλειον τῷ θυσιαστιρίῳ).

უარი ვთქვით „გუშინმე“ ზმნიზედის ზედმეტად გამოყე-ნებაზე წინადადებაში: „უცხოა ვინმე გუშინმე გუშინ მოვიდა.“ მას არც ბერძნული ვერსია და არც სხვა ნუსხები არ უჭერენ მხარს.

С ნუსხის მონაცემით ვისარგებლეთ და არ გამოვიყენეთ „ხოლო“ კავშირი ფრაზაში: „და ესრულ ორთავე მონაგები მათი ღმრთისმსახურებით განაგეს და წმიდისა ნათლისლებისა სამო-სელი (ხოლო) მით იყიდეს და იერუსალემდ წარემართნეს.“

„თეოდორე სტრატილატის წამება“

კრიტიკულ ტექსტში გავასწორეთ „უ“ ხმოვნის „ო“-თი გადმოცემის, ან, პირიქით, „ო“ ხმოვნის „უ“-თი გადმოცემის შემთხვევები, როგორიცაა: კორნებაჲ (კურნებაჲ); საუცრად (საოცრად).

ჩავასწორეთ ასევე კალმისმიერი ლაფსუსები: ლიკინოზ (უნდა იყოს ლიკინიოზ), ქრისტეანენეთა, პებავ (უნდა იყოს პებავს), მეფსა (მეფესა), მეუუფეო (მეუუფეო), ტბილ (ტკბილ), უუსულოთა (უსულო), წორცასა (წორციასა), იპოებოებოდა, შე-ურგულებელი (შეურგულებელი), სასაკუთარ (საკუთარ), წარ-მგზავნა (წარგზავნა). ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც -მ პრე-ფიქსის გამოყენება ზმნურ ფორმაში კალმისმიერი ლაფსუსი უნდა იყოს. კონტექსტი ზმნისგან III პირის ფორმას მოითხოვს, რაც პირველი ზმნის („სცა“) შემთხვევაშიც ჩანს. „სხუა-მან კუალად ლახურითა სცა კესტოს პატრიკსა და ერთითა წყლულებითა წარმგზავნა იგი მოწამედ უფლისა.“ ყველა ხელნაწერში „წარგზავნა“ ფორმაა და, რადგან ლაფსუს კალ-

მისმიერად ვთვლით და არა ენობრივად, სქოლიოში სხვა ხელ-ნაწერების ჩვენებას აღარ ვუთითებთ.

„პატივისცემა“ ზმნაში აღვადგინეთ | პირის ფორმაში დაკარგული ერთი „ვ“: „ჯერისაებრ პატივ (ვ)სცე.“ ასეა მოცე-მული ყველა ნუსხაში.

ასევე აღვადგინეთ პირდაპირი ობიექტის მრავლობითო-ბის აღმნიშვნელი სუფიქსის -ნ თანხმოვნითი ელემენტი მაგა-ლითში: „ნარავლინ(ნ)ა მეფემან სხუანიცა მწედარნი.“

„ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრება“

გავასწორეთ -ე ხმოვანფუძიან ანთროპონიმთან ერგა-ტივში გამოყენებული ც: „მიიღო პატივი იგი მღდელთმოძღუ-რებისად წმიდამან ალექსანდრე.“ ხელნაწერში იყო „ალექ-სანდრც.“

ერთგან დადასტურდა ზედა თანდებულის მიერ სახელის მოქმედებით ბრუნვაში მართვის შემთხვევა: „ამით ესევითარი-თა საქმითა ზედა მოიწია სხუაზცა წიგნი მეფისად.“ აქ მსაზ-ღვრელ-საზღვრულის წყვილი წარმოდგენილი უნდა იყოს თან-იან მრავლობითში, რაც გავასწორეთ კრიტიკულ ტექ-სტში: „ესევითართა საქმეთა ზედა.“

თხზულებათა ნუსხები და მათი აღწერილობები

„ფებრონიას წამების“ შემცველი ნუსხა

თხზულების ექვთიმესეული თარგმანი ჯერჯერობით ცნობილია ერთადერთი ნუსხით: ეს არის ბლეიკის აღწერილობით, Ath-79, ალ. ცაგარლის აღწერილობით, Ath-72, ათონის ივირონის მონასტრის აღწერილობით, cod. Ivir. georg. – 79. ტექსტის პირველი ფურცელი შედის A-1769 ხელნაწერში, რომელიც cod. Ivir. georg.-79 ხელნაწერი კრებულის ნაწილი ყოფილა. ამიტომ, cod. Ivir. georg. – 79 ხელნაწერის აღწერილობის შემდეგ წარმოვადგენთ A-1769 ხელნაწერის აღწერილობასაც.

I. cod. Ivir. georg. – 79

გადაწერის ადგილი: ათონის ივირონის მონასტერი (97v), იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (131r). ხელნაწერი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად.

ჟანრი: აგიოგრაფიული, ჰომილეტიკური და ასკეტიკურ-დოგმატიკური კრებული.¹ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი შეიცავს ექვთიმეს თარგმანებს, გადაწერილს 990 წელს შექმნილი კრებულიდან, რომელიც ვინმე იოანეს გიორგი მთაწმიდლის დეკანოზობის დროს და მისივე ხელმძღვანელობითა და რედაქციით 1042-1044 წლებში გადაუწერია. ამ ნაწილს ერთვის 990 წლის ავტოგრაფიდან გადმოტანილი ექვთიმეს ანდერძი და ასევე გადამწერის, იოანეს, ანდერძი. ॥ ნაწილი კი, რომელიც ბოლონაკლულია და ავსებს । ნაწილს,

¹ როგორც აღწერილობაშია მითითებული, კრებული შედგენილი უნდა იყოს სასწავლო მიზნებისთვის ივირონის მონასტრის საკრებულოსთვის.

რამდენიმე გადამწერს გადაუწერია. ხელნაწერი კრებული, მისი აღმწერების აზრით, მოფიქრებულია გიორგი მთაწმიდლის მიერ, როგორც ექვთიმეს ორიგინალური თხზულებებისა და თარგმანების კრებული. მასში სხვა მასალასთან ერთად შედის ილარიონ ქართველის ცხოვრების მოკლე რედაქცია და აქამდე უცნობი ექვთიმეს თარგმნილი რამდენიმე აგიოგრაფიული თხზულება.¹

თარიღი: ხელნაწერის I ნაწილი (1r-97v) გადაწერილია 1042-1044 წლებში.² II ნაწილი (98r-132v), პალეოგრაფიული მონაცემებით, XI საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი. ექვთიმე ათონელის ანდერძის საფუძველზე (97v), რ. ბლეიკმა ხელნაწერი 990 წლით დაათარიღა (მან ის ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად მიიჩნია), ა. ცაგარელმაც – X საუკუნით.

თანამედროვე ადგილმდებარეობა: ხელნაწერი მომზადებულია ათონის ქართველთა მონასტრის სკრიპტორიუმში, რომლის მუშაობას იმ დროისათვის წარმართავდა გიორგი მთაწმიდელი. ინახება იქვე *codd. Ivir. georg - 79* ნომრით.

ფურცელთა რაოდენობა: 131 (+2) (ცაგარლის მიხედვით, 127, ბლეიკის მიხედვით, 132).

ჰაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: ფურცლობრივი (1r-132v), გაკეთებული ხელნაწერის დაშლისა და ფურცელთა დიდი რაოდენობის დაკარგვის შემდეგ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღწერილობაში მითითებულია, რომ 4r-v ფურცელი დაკარგულია. მიუხედავად იმისა, რომ, თანამედროვე მდგომარეობით, 4r-v-თი დანომრილი ფურცელი ხელნაწერში არსებობს, „ფეხბრონიას წამების“ ტექსტის შუა ნაწილს 1 ფურცელი ნამდვილად აკლია.

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა / ათონური კოლექცია... 1986: 11.

² ახალ კატალოგში თარიღად მითითებულია 1042-1055 (Catalogue... 2022: 637).

კრებულს აქვს აგრეთვე რვეულებრივი სათვალავიც, რაც ცხადყოფს, რომ ნუსხა რვაფურცლიანი რვეულებისაგან შედგებოდა. ა-ე და ც რვეულები ხელნაწერს აკლია. შემორჩენილი რვეულების უმეტესობა რვაფურცლიანია (ვ, ზ, ი, ია, იბ, იე). თ და იდ რვეულები შვიდფურცლიანია, იგ და ივ რვეულები – ექვსფურცლიანი, იზ რვეული – ხუთფურცლიანი. იც და ით რვეულებს, რომლებიც ხუთფურცლიანია, სათვალავის აღმნიშვნელი ასოები არა აქვთ შესაბამისი ფურცლების დაკარგვის გამო. 98r-დან იწყება ახალი რვეულებრივი სათვალავი (ა, ბ, გ, დ, ე). ახალი სათვალავის ა და გ რვეულები შვიდფურცლიანია, ე რვეული – ექვსფურცლიანი, ბ და დ რვეულები – რვა-რვაფურცლიანი.

ტექსტის ადგილი კრებულში: ხელნაწერი თავ-ბოლონაკლულია. მისი დასაწყისი ფურცლები (1r-8v) არეულია და გადაბრუნებული ისე, რომ პაგინაციის აღმნიშვნელი ციფრები მოხვედრილია *verso*-ზე და ახლანდელ ქვედა აშიაზე. მე-9 ფურცელს ორივე აშიაზე აქვს პაგინაცია. აქედან დანომვრა ნორმალურად გრძელდება. რიგის დარღვევით და გადაბრუნებულად დანომრილი ფურცლები რ. ბლეიკს ასეთი თანმიმდევრობით დაულაგებია: 6, 5, 3, 2, 1, 7, 8.

ხელნაწერთა ცენტრის აღწერილობის მიხედვით, 7-ით პაგინირებული ფურცელი უნდა გადავიდეს ხელნაწერის თავში, მან უნდა დაიკავოს ფებრონიას წამების ნაკლული ტექსტის მეორე ფურცლის ადგილი, A-1769 ფრაგმენტის ფურცლის (1r-v ა) მომდევნოდ. ხელნაწერში ფურცელთა ასეთი თანმიმდევრობა უნდა გვქონდეს: 1r-v ა, 7r-v, 6r-v, 5r-v, 3r-v, 2r-v, 1r-v (4r-v დაკარგულია).

ტექსტზე მუშაობისას გაირკვა, რომ, დღევანდელი მდგომარეობით, „ფებრონიას წამების“ შემცველი ტექსტი ხელნაწერში განთავსებულია შემდეგი თანმიმდევრობით: A-1769: 2r-v; cod. Ivir. georg.-79: 7r-v, Ir-IIv, 1r-6v. ფურცელი დაკარგულია IIv-სა და 1r-s შორის.

A-1769 კრებულის ორი ფურცელი (აქედან ერთი – ჩვენი ტექსტისა) cod. Ivir. georg.-79 ხელნაწერში ყოფილა ა. ცაგარლის დროს (1886 წ.), მაგრამ აღარ – რ. ბლეიკის დროს (1932 წ.). მანანა დოლაქიძის (1986) კვლევის თანახმად, რო-მელმაც საანალიზო კრებული შეუდარა sin-6 ხელნაწერს, „ფებრონიას წამების“ ტექსტს აკლია დაახლოებით 18 გვერ-დი, ანუ 9 ფურცელი.

კრებულში 12 შრომაა შესული.

საწერი მასალა: ეტრატი; უყდო. მოყავისფრო მელანი. საზე-დაო ასოები სინგურით.

ფურცლის ზომა: 16,1X12,8 სმ.¹ 16,5X12,8 სმ.²

სტრიქონთა რაოდენობა: 27.

სვეტების რაოდენობა: 1.

დამწერლობის ტიპი: ნუსხური. მოყავისფრო მელანი. საზედაო ასოები სინგურით.

გადამწერები: გამოიყოფა 7 განსხვავებული ხელი: I ხელი (იოანესი) – 1r-68v; 68r-97v; II ხელი – 68v; III ხელი – 98r-110v; IV ხელი – 111r-128r (შესაძლოა, ისევ I ხელი); V ხელი – 128v-131r; VI ხელი – 131v-132r (გაკრული, მხედრულში გარ-დამავალი ნუსხური); VII ხელი – 132v; I ნაწილის გადამწერი იოანე (97v). სხვა გადამწერები უცნობია.

ანდერძები: ექვთიმე ათონელის ანდერძი განთავსებულია 97v გვერდზე. ამის გარდა, არის კიდევ ორი ანდერძ-ბოლოთქმა: 1. ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ შემდეგ: „ღმერთმან დაგაჯეროს, შეგვნდვეთ, საწყლისა დედისაგან დავწერეთ, უკეთესი არა გუქონდა“ (68v); 2) ზოსიმეს „სწავლის“ შემდეგ: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთკმესთუს, რომელმან წმიდაა ესე წიგნი ვთარგმნე“ (A-1769, მე-2 ფურც.). ექვთიმეს ანდერძი: „სახელითა მამისათა და ძისათა

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, 1986: 115.

² ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 2018: 190.

და სულისა წმიდისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა, წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისათა და წმიდისა იოვანე მახარებელისათა და ყოველთა წმიდათათა მე, გლახაკმან და ნარჩევმან ყოველთა კაცთამან და ყოვლისა ბრალისა თანამდებმან ეფთიმე ვთარგმნე წმიდად ესე წიგნი ბერძულისაგან ქართულად ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოვანესითა. აწ გევედრები, ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მოგვესენენით, პირველად მამად ჩემი იოვანე და მე, უღირსი ესე ეფთიმე, რათა თქუენცა ღმერთმან სასყიდელი შრომისად მოგანიჭოს, ამენ. დაინერა წმიდად ესე წიგნი მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და გასრულდა გლახაკისა ეფთიმეს მიერ მეფობასა ბასილისასა და კოსტანტინესა, პატრიაქობასა ნიკოლაოსისა, ინდიკტიონსა დ~, დასაბამითგანთან წელთა ხ~ კუ~თ.“

ამის გაგრძელებას წარმოადგენს იოვანეს ანდერძი: „ესე რიცხვ უცთომელად არს, წმიდანო ღმრთისანო, უბადოდ წერისათვს ღმერთმან დაგაჯეროს, შემინდევეთ (!) და ლოცვასა მომიქსენეთ ფრიად ცოდვილი იოანე, რომელმან ესე წიგნად დავჩხრიკე უცხებით, დარბაზული ასო ჰასთენ შეუძლე შეცვალებად, ებისტოლედ მასნავლელი არა მყვა, მაგრა ვესავ ღმერთსა, რომელ სიტყუა მართალია ამით, რომელ თვთ გიორგი დეკანოზსა დიდითა ხარკებითა შეუწამებია მთანმიდას. დაინერა ესე წიგნი კოსტანტი მეფისა ზე მონომახისა. შემინდევით, წმიდანო მამანო“ (97r-v).

კრებულის ანდერძები გამოქვეყნებულია (Цагарели, 1886: 92, #72), ექვთიმეს ანდერძის ნაწყვეტები გამოქვეყნებული აქვთ რ. ბლეიკს (1932-1934: 253), ნ. მარს (1900: 85-86), მ. დოლაქიძეს (1986: 6).

მინანერები: „ესე წიგნი წმიდისა ნათლისმცემელისა იოანეს [მონას]ტრისა ეკლესიისად არს. გან-რაღ-ილოს, ღმერთმან და ნათლისმცემელმან ჰკითხოს. ქრისტე, შეიწყალე, ამენ“ (131r).

ნინა აღწერილობები: ცაგარელი, А. А. (1886). Сведения о памятниках грузинской письменности, I, СПБ. с. 92; Blake, R. (1932-1934). Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, Paris: Revue de L'Orient chrétien, 3 Série, t. VIII-IX, p. 253; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I (1986). „მეცნიერება“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დვალმა, მ. დოლაქიძემ, მ. კვაჭაძემ, გ. კიკნაძემ, გ. ნინუამ, ც. ქურციკიძემ, ლ. შათირიშვილმა, მ. შანიძემ, ნ. ჩხიკვაძემ, რედ. ელ. მეტრეველი, გვ.: 115-123; დოლაქიძე, მ. (1986). ათონური №79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №12, „მეცნიერება“, თბილისი, გვ.: 3-20; ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ (2018). შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ / ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ. 190; Catalogue of the Georgian Manuscripts of the Holy Monastery of Iviron. (2022). Jost Gippert, Bernard Outtier, Sergey Kim in cooperation with Ketevan Asatiani, Manana Dolakidze, Lali Jghamaia, Maia Karanadze, Mikheil Kavtarria, Lili Khevsuriani, Lia Kiknadze, Tinatin Tseradze, Tsitsino Guledani, Tinatin Jikurashvili, Eka Kvrirkvelia, Giorgi Lomsadze, Sopio Sarjveladze, Mzekala Shanidze, Darejan Tvaltvadze and Georgios Boudalis / Mount Athos, pp. 637-644.

ბიბლიოგრაფია: გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 349; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვე-

ვები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ. 177; ლოლაშვილი, ივ. (1982). ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერება, თბილისი, გვ. 77-80; Mapp, H. (1900). Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера. ч. I, СПБ. с. 85-86; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (1955). / ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია / ტომი V / ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით / შეადგინა ლილი ქუთათელაძემ / საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა / თბილისი, გვ. 249.

II. A-1769

ჟანრი: სწავლანი (ფრაგმენტი).

თარიღი: X საუკუნე.

თანამედროვე ადგილმდებარეობა: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ფურცელთა რაოდენობა: 2.

პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: ფრაგმენტი; უყდო.

ტექსტის ადგილი კრებულში: წარმოადგენს მეორე შრომის ნაწყვეტს. ხელნაწერი ფრაგმენტულად, მხოლოდ ორი ფურცლის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. 1r-v გვერდებზე განთავსებულია პირველი შრომა: „[ბასილი დიდი – სწავლანი]“, ხოლო 1v-2v გვერდებზე – მეორე შრომა – „სწავლანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ-ნისა ეფრემისნი, მიწერილნი იოვანეს მიმართ მონაზონისა და მამასახლისისა. – უფალმან ჩუპინმან იესუ ქრისტემან, რომელი მოვიდა სოფლად ცხორებისათვს კაცთადსა, გუამცნო ურთიერთას სიყუარული...“ (ტექსტი

წყდება) „...ხოლო ბრენსა¹ აღეზარდნეს ორნი ქალწულნი კე-
თილად, რომელნი იგი წურ“...

სანერი მასალა: ეტრატი.

ფურცლის ზომა: 16,5X13,2 სმ.

სტრიქონთა რაოდენობა: 34.

ნანერის ზომა: 29,8X18,5 სმ.

სვეტების რაოდენობა: 1.

დამწერლობის ტიპი: ნუსხური.

გადამწერი: მთარგმნელიც და გადამწერიც – ექვთიმე ათონე-
ლი (1v).

ზოგადი შენიშვნები: а). ფრაგმენტი ათონის ივერიის მონას-
ტრის ხელნაწერის ნაწილია. იხ. Цагарели, А. А. (1886).
Сведения о памятниках грузинской письменности, I, СПБ. с. 92,
#72; ბ). ამავე ნიგნში დაბეჭდილია ფოტოგრაფიული პირები:
ტაბ. Va და Vb.

ანდერძი: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღისანო, გლახაკისა
ეფთვმისთვა, რომელმან წმიდავ ესე წიგნი ვთარგმნე“ (1v).

მინანერები: „ღმერთო, შემიწყალე ბესარიონ, ამინ!“ (მხედრუ-
ლი, 17r); „წმიდაო ღმერთო და ჯუარო ქრისტესო, შეიწყალე
ცოლი რუთი და მელქიზედეკ და მისნი შვილნი უცოცხლენ“
(27v); „ეგრეთვე ღლკერი და თეოფილე მადლითა მისითა მო-
ნამეთა შეერთნეს;“ „ღმერთო მოწყალეო, შენის მწყალობის
მადლსა, დამიქსენ საუკუნოსა სასჯელისაგან მე მონა, ბერი,
ცოდვილი, მე მონაზონი ესაია, ამინ!“ (47v); „ვინ იკადრეთ
ამისი აღმოჩევა, სჯულისა გარდამხდარ ხართ წესიერსა, მრო-
ველყოფილი იონა შეიწყალეთ და შენდობა ინებეთ ნებისაებრ
თქუენისა“ (68v).

წინა აღნერილობა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქარ-
თულ ხელნაწერთა აღნერილობა (1955). / ყოფილი საეკლესიო
მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია / ტომი V / ალექსან-
დრე ბარამიძის რედაქციით / შეადგინა ლილი ქუთათელაძემ

¹ აღნერილობაში წერია „ბენსა.“

/ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა / თბილისი, გვ. 249.

ბიბლიოგრაფია: დოლაქიძე, მ. (1986). ათონური №79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ: მრავალთავი, ფილოლოგიურისტორიული ძიებანი, №12, „მეცნიერება“, თბილისი, გვ.: 3-20.

„ბასილი კესარიელის ცხოვრების“ ნუსხები

„ბასილი კესარიელის ცხოვრების“ ექვთიმე ათონელი-სეული თარგმანი დაცულია სამ ნუსხაში: A-19, A-1103, ქუთაისი-16 (K-16).

I. A-19

გადაწერის ადგილი: გადაწერილია ტაო-კლარჯეთში ტბეთის მონასტრისთვის.

ჟანრი: ტბეთის (სვანური) მრავალთავი. სამონასტრო დანიშნულების კრებული. შეიცავს პომილეტიკური, ეგზეგეტიკური, ჰაგიოგრაფიული და პოერიფული 74 თხზულების ადრეული პალესტინური ტექსტების თარგმანებს.

თარიღი: X საუკუნე.

თანამედროვე ადგილმდებარეობა: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ფურცელთა რაოდენობა: 242.

პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: ძველი ანბანური პაგინაციით, ხელნაწერი შეიცავს 36 რვეულს; თავბოლონაკლული (აკლია შიგნითაც); სინესტისგან დაზიანებული (წინა 9 ფურცლის ნაწილები ტექსტთან ერთად მოგლეჯილი და დაკარგულია; ხელნაწერი ადამიანის ხელითაცაა შებღალული. თითქმის მთლიანადაა ამოკვეთილი ფ. 130; ფ.ფ.-ს 59, 102 შემორჩენილი აქვს პირველი სვეტი, ხოლო მეტ-ნაკლები მოცულობით ჩამოჭრილია კიდეები და კუთხეები ფ.ფ.-ბისა: 43, 58-63, 65-70, 75-77, 79-81, 83, 101, 103-106, 111-113, 120, 187, 196-201, 208, 214-218, 228-229, 231-235; 98, 117, 139, 143, 164, 174, 209, 237-242).

ტექსტის ადგილი კრებულში: რიგით 38 თხზულება.¹ განთავ-სებულია 134v-146v გვერდებზე. ხელნაწერთა ინსტიტუტის მი-ერ გამოცემულ აღწერილობაში გვერდებად მითითებულია 134v-147v. შეცდომით მასთან არის მითვლილი 39-ე შრომა „სიტყუად ბასილისთვეს საკვრველთმოქმედისა“ („და იყო მათ დღეთა შინა აღძრვად მწვალებელთად მართლმორწმუნეთა ზე-და“). A-19-ში 74 შრომაა აღწერილი, თუმცა რეალურად მასში 75 შრომა შედის.

საწერი მასალა: ეტრატი; ტყავგადაკრული მუყაოს მორღვეული, მოგვიანო ყდა. დიდი ზომის საზედაო ასოები, შესრულებული ტექსტის მელნითა და სინგურით.

ფურცლის ზომა: 38,5X30 სმ.

სტრიქონთა რაოდენობა: 32-33.

ნაწერის ზომა: 32,5X23 სმ.

სვეტების რაოდენობა: 2.

თითოეული სვეტის ზომა: 10,4 სმ.

სვეტებს შორის მანძილი: 2,4 სმ.

დამწერლობის ტიპი: ასომთავრული (ნუსხურითაა ნაწერი ერთი თავი ფ.ფ. 95-106). საზედაო ასოები სინგურით.

მომგებელი (დამკვეთები): მამფალი იოვანე მტბევარი და მამა თეოდორე (122v).

ანდერძები (მომგებელთა): „ქრისტე, შეიიწყალენ ამის წიგნისა მომგებელნი მამფალი მტბევარი იოვანე და მამა თეოდორე, ამენ!“ (122v, X საუკუნის ნუსხურით ქვედა აშიაზე).

მინაწერები: 1. „...მილოცველ რუ... თქვენისა წელაპყრობითა მადიდებელ დემეტრე ვმადლობ ღმრთისადმი წმიდათა მოციქულ[თა]სა, მრავალჟამ რუ... პატრონო... მე, ვითა მართებს და ჟამია“... (156r. XIII-XIV ს-ის მხედრულით. მინაწერის ნაწილი ჩამოჭრილია. ტექსტს ახასიათებს ი-მეტობა).

¹ თედო უორდანიას აღწერილობაში 35-ე შრომად არის დასახელებული (Описаніе рукописей, 1903:15).

2. „იკითხევდი შვენიერსა ამას გულსმოდგინედ და გულისწიმი-ერად. თურმე არიან...“ (190r, ტექსტი შეწყვეტილია. XVIII ს-ის მხედრულით).
 3. „მე რა ვქნა დღესა მას სასჯელისასა“ (173v. XIII-XIV ს-ის მდივან-მწიგნობრულით).
 4. „ჩ~ნ ყოვლისა საქართველოს მეფე ირა[კლი]“... (134v. მხედრულით).
 5. „არა უნაკლულეს არს მეტყველად ღმრთისმეტყველთა წმი-და ესე მეტაფრასი განმანათლებელი თვალთა და მხიარულ-მყოფელი გულთა, უნაკლულოდ მსმენელთა. ქ~ს უნა, ქრის-ტეს აქათ ჩლგო“ (194v. მხედრულით).
 6. „რევაზ, შენმა გარდამა კაკუტი დავეც“... (123r. XIX ს. მხედრულით).
 7. „ესე წიგნი ვინც წაიკითხოს, ღ~ნ ადლეგრძელოს.“
„ვინც ამას წაიკითხავს, კარგი კაცი იქნება“ (163v. XVIII ს-ის ერთი ხელით, მხედრულით).
 8. „გამოვს[ნ]ერე სიტყუა ესე მე, მღუდელმა პოლიევკტოს გრ. კარბელოვმა, ჩყპდ წელსა, მარტის იბ-ს დღესა, ქ. ტფილისს“ (27v-28r, მხედრულით).
 9. „ვიწყე გადაწერა ამ სიტყვისა 1884.წ. 12 მარტს, მღ. პ. კარბელოვმა“ (190r. მხედრულით).
სხვა და ტექსტუალური ხასიათის მინაწერები მხედრულითვე (ზოგი მათგანი ჩამოჭრილია, ზოგი – დაზიანებული) მოიპოვება:
57v, 81v, 100v, 101r, 112r, 120v, 139v („ქ ჩ~ნ ყვლის საქ-რთველ“... (ეს წერია შებრუნებულადაც. ქ.გ.), 142r, 142v („ქ ღთნ ბედნიერის“), 143v („რო.. არს რ... ოგლ ც... რელის.“ ამის შემდეგ ასომთავრულით წერია „რ ე ე ქ.“), 144r („ქლეზ დ გ [ე] დ რს“ (ბოლო ორი ასო ისე წერია, რომ „ჯ“-ს ჰგავს. ქ. გ.), 152v.
- ნინა ალწერილობები:** Описаніе рукописей Тифлисского Церковного музея Карталино-Кахетинского духовенства (1903). / составленное Э. Жорданія. Книга I / Издание Церковного музея,

#12. თიფლის, გვ.: 12-17; გორგაძე, ს. (1927). სვანური მრავალ-თავი, საქართველოს არქივი, ნიგნი III, თბილისი; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა / ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა / ტომი I, (1973). შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ე. მეტრეველის რედაქციით, „მეცნიერება“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გვ.: 58-71;¹ ქართული ხელნაწერი ნიგნი V-XIX სს. (2012). შეადგინეს მაია კარანაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხილვაძემ, თამარ აბულაძის მონანილეობით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ. 20.

ბიბლიოგრაფია: კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გვ. 11; 121-122; კეპლიძე, კ. (1980). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ორ ტომად, ტომი I, რედ. ალ. ბარამიძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 207; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ.: 154-155; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ. 200.

II. A-1103

გადაწერის ადგილი: ათონის ივირონის მონასტერი.

ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა: A-1103 კრებული საბერძნეთიდან, ათონის ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკიდან,

¹ ნინამდებარე ნაკვეთი შეიცავს A კოლექციის 100 ხელნაწერის აღნერილობას (№№1-100).

არის შემოსული სხვა კრებულებთან ერთად (№№ 1101, 1104, 1105) ილია ფანცულაიას („ბანძელის“) მიერ.¹

ჟანრი: პაგიოგრაფიული კრებული. შემდგენელს კრებულის ზოგად შინაარსად მითითებული აქვს: „გრიგოლ, პრომთა პაპი. დიალოგონი და სხვ.“

თარიღი: ხელნაწერი დათარიღებულია XI საუკუნით. ილია აბულაძის აზრით, კრებული გადაწერილი უნდა იყოს 1011-1019 წლებში.²

ხელნაწერის გადაწერის თარიღი მოცემულია ანდერძში, რომელიც განთავსებულია 286r გვერდზე.

„ხოლო დაიწერა მთაწმიდას, ათონას, მონასტერსა წ~თა მამა-თა აშენებულსა იოვანე და ეფთუმესა, საყოფელსა წ~ისა დე-დოფლისა ჩუენისა ღ~თისმშობელისა.

ბერძულად დასაბამითგანნი წელი იყუნეს: ხფ.

ინდიკტიონი:

ჯუარცმითგან: შ~ჰ

ქართულად დასაბამითგანნი წელი: ხ~ქ.

ქრონიკონი იყო მეცამეტედ მოქცეული ს.“

აქ მოცემული თარიღები რატომღლაც ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგ., ბერძნული დასაბამითგანი ხფ ნიშნავს 992 წელს (6500-5508), ქართული დასაბამითგანი ხქ – 996 წელს (6600-5604). ერთმანეთთან თანხვედრაში მოდის მხოლოდ ჯვარცმითან შ~ჰ და მეცამეტედ მოქცეული ს: ორივე გვაძლევს 980 წელს. მეთორმეტე ინდიკტიონი დასრულდა 780 წელს, მეცამეტე მოქცევის ს ნიშნავს 200-ს და მათი შეკრებით ვიღებთ

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა... 1954: 5-6. ილია ფანცულაიასვე გადმოუწერია ათონის ზოგიერთი ქართული ხელნაწერი და შეუდგენია ათონზე დაცული ძველი ქართული ხელნაწერებისა და ზოგიერთი ნივთის (ნარწერები-თურთ) აღნერილობა. იქვე: 6.

² აბულაძე, 1949: 306.

980-ს (შპ-ს). საერთო ამ რიცხვებს შორის ის არის, რომ ყველა X ს-ს ეკუთვნის.

თანამედროვე ადგილმდებარეობა: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ფურცელთა რაოდენობა: 286.

პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: ფურცლობრივი. I ფ-ს აკლია ნახევარზე მეტი ვერტიკალურად ჩამოჭრილი ნაწილი; 1-26, 278-286 ფფ. ჭიისაგან დაჩვრეტილია.

ტექსტის ადგილი კრებულში: შესულია მე-7 შრომად: 119v-131v. კრებულში სულ 15 შრომაა.

საწერი მასალა: ეტრატი; ყდა მეტად სქელი, მაგარი, ხისა, ტყავით შემოსილი, ტყავისავე შესაკრავებით. ტექსტების უმეტესი ნაწილი დაწერილია ღია ყავისფერი მელნით; სათაურები სინგურით.

ფურცლის ზომა: 36X29,2 სმ.

სტრიქონთა რაოდენობა: 30.

ნაწერის ზომა: 29,5X22 სმ.

სვეტების რაოდენობა: 2.

სვეტებს შორის მანძილი: 2-დან 2.5 სმ-მდე.

დამწერლობის ტიპი: მსხვილი ნუსხური, ორი სხვადასხვა ხელით: I – მსხვილი, კუთხოვანი ნუსხურით – 1v-118v, 286r-v; II – X-XI სს. ლამაზი, გამართული ნუსხურით – 119v-285v. 2r-ზე, II სვეტის ცამეტ სტრიქონზე მოთავსებულია „ზანდუკი ამის წიგნისა“, დაწერილი ხსენებული ორი ხელისაგან განსხვავებული ხელით.

ანდერძები:

I. „ვინ ალდგომილ არს ესოდენ მარგი და ნუგეშინისმცემელი და სიქადული ქართველობისაა და ყულთა სწორად განმანათლებელი ამით წიგნებითა და სხვთა ყოვლითა საქმითა სულიერითა და წორციელითა. და ნაწილი ამათი პირველთა წმიდათა თანა არს, მოღუანებისა მათისათვს.

ეგრეთვე საჭიროებელი ჯერარს, რ საკურველი შრომად თავსიდვა წ~ნ მამამან ეფთუმე და ოცდაათი წიგნი დათარგმა-

ნა ბერძულისაგან ქართულად. და მერმელა მათეს თავი სახარებად დათარგმანა სამად წიგნად. ჭირითა შევმოსეთ უფროსი შრომად ესე, სულკურთხეულისა მამისა იოვანეს ცხორებასავე და წურილად სხუანიცა თარგმანნეს.

ხოლო შემდგომად ღ~ თშემოსილისა მამისა იოვანეს მიცვალებისა ესე წ~სა გრიგოლ პაპისად და სხუანი ესე გვთარგმანეს სანატრელმან მამამან ეფთვმე, რ~ ისათვს მიაგენ ღმერთმან დიდებისამან ორსავე ცხორებასა ქართველთა განათლებისათვს.“

„ქრისტე, შეიწყალე და აკურთხე მამად მიქაელ და მამად გ[იორგ]ი.“

1ფ. II სვ. და 2 ფ. I სვ. 1 ფ. I სვ. ჩამოჭრილია (გვ. 83).

„...[უსხეულოთა] მიმსგავსებულისა მამისა ეფთვმისა და წ~დისა მამისა მიქაელისა, მწყალობელისა ჩ~ნისა და წ~დისა მამისა გიორგისა და ყ~ლთა ცოცხალთა და შესუენებულთა მოძღუართა, მშობელთა და ძმათა სულიერთა და წორციელთა ჩ~ნთათვს.

ან ვინცა იკითხვიდეთ და ირგებდეთ წ~თა ამათ წიგნთა, სცნობდით ძალსა ამათსა და წუ დასცხრებით ლოცვად და კურთხევად, შემდგომად ღ~თისა, ამა წიგნთა ჩ~ნდა მომცემელთა და ჩ~ნ, გლახაკისათვს არსენი მამადმთავრისა – უმეტე დაშურა – და ჩემ, გლახაკისა ბერისადა ოქროპირისათვს, და კეთილისა ძმისა ზაქარიასთვნ, წ~ნო ღ~თისანო, ნათესავნო მომავალნო! რათა ღმერთმან თქ~ნცა სასყიდელი მოგანიჭოს ჩუენისა ლოცვისა და წსენებისათვს.“

ცხრა სტრიქონის ჩაგდებით:

„ხოლო დაიწერა მთაწმიდას, ათონას, მონასტერსა წ~თა მამათა აშენებულსა იოვანე და ეფთვმესა...“¹

¹ სრულად იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 269.

ოთხი სტრიქონის ჩაგდებით:

„ხოლო ჩ~ნ ზედა მეუფებასა უფლისა ჩ~ნისა იესუ ქრისტეს-სა, რომლი]სად არს დიდებად მამისა, თანა სულით წმიდი-თურთ, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

„ქრისტე! კუალადცა აკურთხე და ადიდე დიდი ესე მოღუანე მამად ეფთვმე და ახალი მამადმთავარი საპა კხ~ლი.“

I ხელით, 286r-v (როგორც ჩანს, ეს ანდერძი იწყებოდა წინა ფურცელზე, რომელიც დაკარგულია).

„ქრისტე, წარმიმართე, ქრისტე, შეიწყალე წმიდად მამად ჩუენი ეფთვმე, თარგმანი და თანაზიარი ყოველთა წმიდათა მისთავ.“
279v, II სვ., სათაურის ტექსტში.

„წმიდაო თ~ე, მეოხ გუეყავ წინაშე უფლისა.“

„ლოცვა ყავთ ცოდვილისა ეფთვმესთვს.“ 285v, I სვ.

„ესე სიმდაბლითა სა[გ]სენი სიტყ~ნი თკთ ეფთვმესნია. ვითა თარგმანებულსა მათსა ნუსხასა ეწერა, ეგრეთვე მე, ულირ-სმან არსენი, აღვწერე.“

„ან ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდა[სა] ამას წიგნსა, ყოველნი აკურთხევდით უსხეულოთა მიმსგავსებულსა მამასა ჩ~ნსა ეფთვმეს, რომელმან აღავსო ყოვლითა სულიერითა კეთილი-თა ესე წიგნი და ყოველნი ქართველთა ენანი თარ[გ]მანებითა მათითა.“

„ქრისტე! შეიწყალე და აკურთხე ნეტარი მამად ჩ~ნი ეფთვმე, კურთხეულით მშობლით მათითურთ.“

„ლოცვა ყავთ ნეტარისა ბერისა იოვანე გრძელისძისა და სუ-ლიერისა შვილისა მათისა იოვანე ოქროპირისათვს, რომელნი ფრიად დაშურეს შრომასა და წერასა ამის წმიდის წიგნისასა.“

„ქრისტე! სრულყავ წყალობად შენი იაკობს და იოვანე გარერ-ჩელსა ზედა!“ 285v, I სვ.

მინაწერ(ები): II r-ზე, XIX-XX სს. ათონის მთაზე მოღვანე ქარ-თველი ბერების: ვენედიკტე ქიოტიშვილის, გრიგოლ რაჭია-ნის, ბესარიონ ქიქოძის, ქრისტეფორე ახვლედიანისა და თეო-დოსი ერისთავის გარდაცვალების თარიღები.

- II v. ამკინძავის, მონაზონი მაკარი ქართველის, მინაწერი.
- 3r. ილარიონ ბერის მოსახსენებელი.
- 4r. ილია ფანცულაიას მინაწერი (იხ. აგრეთვე 148v).
- იხ. აგრეთვე: 17r, 37v, 285v.
- წინა აღწერილობები:** აბულაძე, ი. (1949). ქართული წერის ნი-მუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 306; საქართველოს სა-ხელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა / ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). (1954). კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი IV, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაში-ას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. შეადგი-ნა ქრისტინე შარაშიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, გვ.: 82-83.¹
- ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქარ-თული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გვ. 11; 121-122; კეკე-ლიძე, კ. (1980). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ორ ტომად, ტომი I, რედ. ალ. ბარამიძე, გამომცემლობა „მეც-ნიერება“, თბილისი, გვ. 207; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართუ-ლი ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქარ-თველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახე-ლობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ.: 154-155; გა-ბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლო-გიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილი-სი, გვ. 200.

¹ ამ ტომში მოცემულია №№1041-1450 ხელნაწერების აღწერილობე-ბი.

III. ქუთაისი-16 (K-16)

ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა: შემოსულია გელათის მონასტრიდან.

ჟანრი: გულანი.

თარიღი: XVII ს.

თანამედროვე ადგილმდებარეობა: ნიკო ბერძენიშვილის სახე-ლობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

ფურცელთა რაოდენობა: 1203.

პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: ძველი პაგინაცია რვეულებრივი (201 რვეული). ნაკლული. დაზიანებული. წიგნი გაჭრილია სამად.

ტექსტის ადგილი კრებულში: „ბასილი კესარიელის ცხოვრება“ შესულია 23-ე თხზულებად: 1146v-1152r.

საწერი მასალა: ქალალდი; ტყავგადაკრული, ხის ყდა (დაშლილი).

ფურცლის ზომა: 42,5X26,5 სმ.

სტრიქონთა რაოდენობა: 40.

ნაწერის ზომა: 30X17 სმ.

სვეტების რაოდენობა: 2.

თითოეული სვეტის ზომა: 30X7,8 სმ.

სვეტებს შორის მანძილი: 1,5 სმ.

დამწერლობის ტიპი: ნუსხური, სათაურები სინგურით.

მომგებელი (დამკვეთი): ქუთაისის მთავარეპისკოპოსი სვიმიონ ჩხეტიძე (1203v).

გადამწერი: კარგარეთელი სვიმიონ მესხი (1203v).

ზოგადი შენიშვნები: ხელნაწერს დართული აქვს აკროსტიხული იამბიკოები: „ქებითა და გალობითა ყო(ვ)ლადწმიდით ქრისტეს ღმრთისა წორციელად ზეშთა ცნობისა ბრწყინვალე-სა შობასა ყოველი სოფელი იხარებს და ანგელოზთა თანა წყალობათა მისთა ადიდებს და შეასხამს დღეს“ (505); „დღეს იორდანეს ქრისტეს ნათლისღებასა ყოველი სოფელი განნათლდა და სამებისა წმიდისა თაყუანისცემად განცხადნა. იხარე-

ბენ ერთბამად ანგელოზი და კაცნი“ (534r-535r).

ანდერძები (გადამწერის): „ქუთათელ მთავარებისკოპოსსა სკმიონს ჩხეტიძესა, რომლისა ბრძანებითა და დიდითა მოჭირ-ვებითა აღინერა ესე სულთა განმანათლებელი გულანი, ცოდ-ვანი მისნი შეუნდნეს ღმერთმან და ამა სოფელსა დღენი გრძელი და პატიოსნობად მიეც, ღმერთო, ქუთაისისა და პა-ლიასტომისა ღ ისმშობელო, თქუცნს მადლსა. ამისა დამწე-რელსა კარგარეთელსა სკმიონს მესხსა ცოდვანი მისნი შეუნ-დნეს ღმერთმან...“ (1203v).

მინანერები: 1. „ამა ქორონიკონსა, ქრისტეშობის თვესა, შა-მოება გოდოვანს მეფე არჩილს მეფე ალექსანდრე და გაემარ-ჯვა არ[ჩილ] მეფეს (1162r); 2. „[ა]მა ქორონიკონსა, აპრილსა ბ დღესა, კვირიაკესა, ბაგრატ მეფისა ასული ბატონისშვილი თინათინ მონაზნათ ეკურთხა, იყო წლისა კვ“ (1162r); 3. „ამა ქორონიკონსა მიიცვალა ყოვლად სანატრელი კათოლიკოს გე-ნათელი და მეფის ძე იოსებ თვესა მაისსა, იგ დღესა, პარას-კევსა, ჟამსა მეოთხესა. იყო წლისა ოცდაჩვდეტის და ექვსი თვეს“ (1165r); ასევე მინანერებია 34r, 1203r, 1266r.

ნინა ალწერილობები: ხელნანერთა ალწერილობა / ტომი I (1953). შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ე. ნიკოლაძის მიერ, რედაქტორი კ. კეკე-ლიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, თბილისი, გვ.: 78-82.

ბიბლიოგრაფია: გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგ-ლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეც-ნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელმწიფო ხელნა-ნერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 155.

„თეოდორე სტრატილატის წამების“ ნუსხები

თხზულების ექვთიმე ათონელისეული თარგმანი მოღწეულია 5 ხუთი ნუსხის სახით:

I. A-1103

ხელნაწერის აღნერილობა იხ. ზემოთ, „ბასილი კესარიელის ცხოვრების“ შემცველ ნუსხათა აღნერილობის ნაწილში. აქ მოვიყვანთ მხოლოდ „თეოდორე სტრატილატის წამების“ ტექსტთან შემსებ ინფორმაციას:

ტექსტის აღგილი კრებულში: შესულია მე-13 თხზულებად: 244r-255v.

ანდერძები: ჩვენს ტექსტს დაერთვის შემდეგი ანდერძები: „ქრისტე, შემიწყალე მამად ეფთვმე, უფალო, წარმიმართე!“ (სათაურის შემდეგ) (244r).

„სახელითა ქრისტესითა აღესრუ[ლა] წამებად წმიდისა და დიდებულისა მონამისა თეოდორესი, გამოთარგმნილი ახლად ბერძულთა წიგნთაგან წელითა გლახისა და ცოდვილისა ეფთვმესითა.“

„ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მოიწსენეთ მამად იოვანე და მე, ცოდვილი ესე და ულირსი ეფთვმე, რათა თქუნცა ღმერთმან მოგცეს სასყიდელი სიყუარულისად, ამინ!

ითარგმანა წამებად წმიდისა თეოდორესი დასაბამითგან-თა წელთა ხფყა¹ მთასა ათონას.“

¹ ხფყა ნიშნავს 6521-ს. ანდერძში არ არის მითითებული, რომელი დასაბამითგანი იგულისხმება – ქართული თუ ბერძნული, მაგრამ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბერძნული უნდა იგულისხმებოდეს. ქართული დასაბამითგანით გამოდის 917 წელი (6521-5604), ხოლო ბერძნულით – 1013 წელი (6521-5508). ასე რომ, ანდერძის მიხედვით, ეს თხზულება თარგმნილი უნდა იყოს 1013 წელს.

„დიდებად შენდა, სამებაო წმიდაო, აღმასრულებელო ყოველთა კეთილთაო.“

„ესე ზემონერილნი სიტყუანი, სიმდაბლითა სავსენი, თვით ნეტარისა მამისა ეფთვმესნია, ვითა ნუსხასა ეწერა, ეგრეთვე აღვწერე სიმდაბლე მათი.“

„ქრისტე, შეიწყალე და ადიდე დიდებითა მით დაუსრულებელითა უსხეულოთა მიმსგავსებული ნეტარი მამა ჩუენი ეფთვენ.“

„მოიქმენეთ წმიდა ლოცვასა თქუენსა ბერი იოვანე გრძელისძე და იოვანე ოქროპირი] და საბა და იოვანე ბარერჩელი“ (ყველა 255v).

ნინა აღნერილობები: ქართული წერის ნიმუშები, 1949, გვ. 306; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა / ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია) / კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია / აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, გვ.: 76-84.

ბიბლიოგრაფია: კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გვ. 11; 126-127; ქავთარია, მ. (1966). თეოდორე სტრატილატის მარტვილობის რედაქციები: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის-თავს, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 191-217; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 214; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა

ეროვნული ცენტრი, რედ. ეთერ ბერუაშვილი, ხათუნა გაფ-
რინდაშვილი, თბ., გვ. 160, 438.

II. ბოდლე-1

გადაწერის ადგილი: იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა: იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.¹

ჟანრი: გადამწერის, პროხორეს, ანდერძის მიხედვით, „წმიდა მონამეთა წიგნი“, ანუ, პაგიოგრაფიული კრებული. ხელნაწერი ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი, რომელიც არის წლის პირველი ნახევრის (მარტიდან აგვისტომდე) მენოლოგიონი, მოიცავს როგორც პაგიოგრაფიულ, ისე პომილეტიკურ შრომებს (სულ 37 თხზულებას, განთავსებულს 1-425 ფურცლებზე), მეორე ნაწილი კი, რომელიც 17 თხზულებას აერთიანებს (425-500 ფფ.) მოწესე დედათა „ცხოვრებებს“ შეიცავს და დასათაურებულია, როგორც: „ცხოვრებანი წმიდათა და სანატრელთა მოწესეთა და მოღუანეთა დედათანი“ (524v).

თარიღი: XI საუკუნე (1038-1040).

თანამედროვე ადგილმდებარეობა: ბოდლეს ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი (ოქსფორდი). Bodleian Library MS. Georg. b. 1. University of Oxford.

ხელნაწერის ფოტოასლი (RT XVIII, №4)² ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ფურცელთა რაოდენობა: 500.

პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: ხელნაწერს აქვს რვეულებრივი პაგინაცია, შედგება და (64) რვეულისაგან. ხელნაწერი შიგნით ნაკლულია: აკლია 112-113 ფურცლებსა

¹ ქურციკიძე, 1997: 101-104.

² ეს მე-4 ნომერი 3 დიდ ტომს მოიცავს. I ტომში ტექსტი მთავრდება 170r-თი და გრძელდება მე-4 ნომრის II ტომში.

და 264-265 ფურცლებს შორის. პირველ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი წმ. გიორგის „საკურველებათა“ ბოლო ნაწილი და „ქრისტეფორეს წამების“ დასაწყისი ნაწილი (ი~ე რვეული), მეორე შემთხვევაში კი – ორი თხზულება წმ. კვირიკესა და ივლიტასი და წმ. მარინას „წამებები“ მთლიანად და „ათენაგენას წამების“ დასაწყისი ნაწილი (ლ~ე-ლ~ე რვეულები).

ტექსტის ადგილი კრებულში: კრებულში ჩვენი თხზულება მე-13 ტექსტად არის შესული. აღნერილობაში მითითებულია 169r-179v გვერდები, თუმცა ტექსტის პირველი გვერდის ნომრად ხელნაწერში აღნიშნულია 167-9r (ამას მოსდევს 167-9v და შემდეგ 170r).

ხელნაწერში 54 თხზულებაა.

საწერი მასალა: ეტრატი.

ფურცლის ზომა: 39X29 სმ.¹

სტრიქონთა რაოდენობა: 34.

სვეტების რაოდენობა: 2.

თითოეული სვეტის ზომა: 29,5 სმ.

დამწერლობის ტიპი: დაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით. სათაურები (ძირითადად) და აბზაცის დასაწყისები შესრულებულია მთავრული ასოებით. გვხვდება ნუსხურად ნაწერი სათაურებიც და უსათაურო ტექსტებიც.

გადამწერი: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაშენებელი პროხორე (როგორც ბოდლეს ბიბლიოთეკის აღნერილობაშია მითითებული, გიორგი პროხორე).

ანდერძები: პროხორეს ანდერძი: „სახელითა ღმრთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად-წმიდისა და უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუქენისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა და შეწევნითა უძლეველისა და ცხოველმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, მეოხებითა წმიდათა მთავარანგელოზ-

¹ ბოდლეს ბიბლიოთეკის ვებგვერდზე ფურცლის ზომად წერია: 250X390 mm.

თავთა და ყოველთა ზეცისა უწორცოთა ძალთავთა, მეოხებითა წმიდისა იოვანე წინამორბედისა და ნათლისმცემელი-სავთა, მადლითა და შეწევნითა დიდებულთა მოციქულთა, წმიდათა მონამეთა, ღირსთა მღდელთმოძღუართა, ნეტართა მამათა და ყოველთა წმიდათავთა, რომელნი საუკუნითგან სათნოეყვნეს ღმერთსა, ღირს მყო ღმერთმან მე, გლახაკი პროხორე, დაწერად ამის სულთა განმანათლებელისა წმიდათა მონამეთა წიგნისა და გავასრულე და შევმოსე და დავდევ ნებითა ღმრთისავთა და შეწევნითა ყოველთა წმიდათავთა ჩემ მიერ აღშენებულსა ეკლესიასა წმიდისა ჯუარისასა სალოცველად სულისა ჩემისა და ს-ლსა მოძღუართა, მშობელთა და ძმათა ჩემთასა და ყოველთა ჯუარელთა, სულიერთა შვილთა და ძმათა ჩემთასა, რომელნი ჩემ თანავე დაშურეს აღშენებასა ამის წმიდისა ადგილისასა. ან, წმიდანო ღმრთისანო, მკითხველნო და მსმენელნო, და რომელნიცა ღირს იქმნეთ მსახურებად ამის წმიდისა წიგნისა, ღმერთმან დაგაჯეროს, ღოცვა ყავთ ჩუენთჲს, რათა ვპოოთ შენდობად ცოდვათავ და ღირს ვიქმნეთ მიმთხუევად საუკუნეთა მათ კეთილთა და ერთობით ვადიდებდეთ ღმერთსა, რომლისავ არს დიდებად ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ!“ (500v).

მინაწერ(ები): „კანონის წამებას“ წინ უძლვის გადამწერის მიმართვა ღვთისადმი: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო, შეგვნყალე ჩუენ და წარგვმართე, ამენ!“ მინაწერები საკმაოდ ბევრია და ქვემოთ მოგვყავს მხოლოდ ჩვენს ტექსტზე დართულები: სათაურის შემდეგ იმავე ხელით სინგურით: „თარგმნილი მამისა ჩუენისა ეფთვმესი. ღმერთმან მადლი მიეცინ შრომისათვს“ (169r). ამავე გვერდზე ასევე ვკითხულობთ: „წმიდათ თეოდორე მონამეო... მეოს ეყავ წინაშე ქრისტესა ათაბაგსა ქაიხოსროს, ამენ! და ცოდვილსა ამბროსეს, ამინ!“

წინა აღწერილობები: Peeters, P. (1912). De codice Hiberico Bibliothecae Bodleianae, Analecta Bollandiana, t. XXXI, Bruxelles,

Pariz, pp. 301-340; ქურციკიძე, ც. (2003). ბოდლე №1, ჰავიოგ-რაფიული კრებული (XI ს.): მრავალთავი, №20, გვ.: 373-393.¹

ბიბლიოგრაფია: კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გვ. 11; 126-127; ქურციკიძე, ც. (1997). იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ამშენებლის, პროხორეს, მიერ გადაწერილი ხელნაწერი და მისი ანდერძი: ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბილისი, გვ.: 101-104; ქავთარია, მ. (1966). თეოდორე სტრატილატის მარტვლობის რედაქციები: ისტორიოგრაფიული და ფილოლოგიური ძიებანი, მიძღვნილი რუსთაველის 800 წლისთავისადმი, თბილისი, გვ.: 196-218; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰავიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰავიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., გვ. 214; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ.: 160, 438.

¹ როგორც ც. ქურციკიძე დასახელებულ სტატიაში აღნიშნავს, ახალი აღწერილობის მომზადება მას გადაუწყვეტია რამდენიმე მიზეზის გამო: პ. პეტერსის აღწერილობა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული, ამასთან, მასში მოწესე დედების „ცხოვრებათა“ ნაწილში გამოტოვებულია ოთხი თხზულების დასახელება და საანალიზო კრებულთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ბიბლიოგრაფიული მასალა დაგროვდა, ზოგი ტექსტი დაიბეჭდა კიდეც. იმის გათვალისწინებით, რომ მისი აღწერილობა ეყრდნობა ფოტოპირს, ზოგიერთ საკითხს იღებს პ. პეტერსის აღწერილობიდან.

III. A-388

ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა: ხელნაწერი, როგორც
მინაწერებიდან ჩანს, ევდემონ ინასარიძეს 1654 წელს ლაბე-
ჭინის მთავარანგელიზის ეკლესიიდან წაულია რუსეთში (მი-
ნან. 3), წიგნი დაფურცლული ყოფილა, ამიტომ იგი შეუკვრე-
ვინებია მოსკოვში (მინან. 1, 3). ამის შემდეგ ხელნაწერი
ყოფილა კირილას მონასტერში, ზღვის პირას (იხ. მინან. 2),
ხოლო 1845 წელს ის შეუძენია მღვდელ იოსებ ჩიტაძეს სომ-
ხის ეკლესიის მნათისაგან თეირანში: „ეს წიგნი შევისყიდე
ქალ. თეირანში სომხის ეკაკლესიის მნათესაგან, სადაცა ჩვენი
მეფე ასაფლავია. 1845 წ. მღვდ. იოსებ ჩიტაძე“ (ქვემო ყდის V).

ჟანრი: თეოდორე სტუდიელი, სწავლანი.¹

თარიღი: XII-XIII სს.

თანამედროვე ადგილმდებარეობა: კორნელი კეკელიძის სახე-
ლოპის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ფურცელთა რაოდენობა: 109.²

პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: აქვს ფურცლობრივი
პაგინაცია. ხელნაწერი დაზინაბული, დაშლილი, კიდევბშე-
მოცვეთილი და დაფურცლულია. აქვს ნახვრეტები.

ტექსტის ადგილი კრებულში: კრებულში პირველ შრომად შე-
სულია „წმიდისა და წეტარისა მამისა ჩუცნისა თეოდორე აღ-
მსარებელისა სტუდიელთა წინამძღვრისა სწავლანი თვისთა
მონაფეთა მიმართ ყველიერის კკრამთვან ვიდრე დიდად ოთ-
ხშაბათადმდე“ (2v-96r).

შენიშვნაში მითითებულია, რომ ამ თხზულებას ერთვის:
ა. წმიდისა და წეტარისა მამისა ჩუცნისა თეოდორე აღმსარე-
ბელისა, სტუდიელთა წინამძღვრისა სწავლანი თვისთა მონა-

¹ ხელნაწერის მთარგმნელად აღწერილობაში მითითებულია გიორგი
მთაწმიდელი. იხ აგრეთვე: კეკელიძე, 1957: 57, 126.

² თედორ ჟორდანისა აღწერილობის მიხედვით, 103 ფურცელი.

ფეთა მიმართ. ალვსებასა, რათა მოლუაწებით ალვასრულებ-დეთ ცხოვრებასა ჩუტნისა უამსავე უამსა“ (96r-97r); ბ. „თვესა ივნისსა ც, წამებად წმიდისა და დიდებულისა თეოდორე სტრა-ტილატისა“ (97v-108v);¹ გ. „წმიდისა მამისა ჩუტნისა გრიგოლ ნოსელისა შესხმად წმიდისა და დიდებულისა მონამისა თეო-დორესი ტირონისად. ფებერვალსა იზ“ (109r-v).

ასე რომ, ალწერილობის მიხედვით, ჩვენი თხზულება ერთვის ძირითად შრომას.

საწერი მასალა: ეტრატი. პირველი ფურცელი ქაღალდია; ყა-ვისფერი, ტყიფრული, ტყავგადაკრული ხის ყდა. ჰქონია სამი ტყავის საკეტი.

მხატვრული გაფორმება: შავი მელნით 100r-ს კიდეზე დახა-ტულია ცხენზე ამხედრებული მხედარი.

ფურცლის ზომა: 19X14 სმ.

სტრიქონთა რაოდენობა: 28.²

ნაწერის ზომა: 16X10 სმ.

სვეტების რაოდენობა: 1.

დამწერლობის ტიპი: ნუსხური, სათაურები სინგურით (XII-XIII სა.).

გადამწერი: პეტრე მწერალი (38r).

ანდერძ(ები) (გადამწერის): „ქრისტე, შეიწყალე პეტრე მწერა-ლი“ (38r).

მინაწერ(ები): აქვს ძალიან ბევრი მინაწერი. მაგალითად (ნუს-ხურით): „ქ. მე, ყოვლადცოდვილი მღუდელ-მონაზონი ინასა-რიძე ევდემონ, წამოვედი რუსეთს მეორედ მეფისა ბაგრატი-სად ბრძანებითა, ქორონიკონისა სამას ორმოცდათოთხმეტსა და ის სულთა განმანათლებელი და სი... და სინანულისა და-საბამი სიტყუანი... ესე დიდისა, რათა მთავრისა... ...სასა მთა-ვარანგელოზისა მიქაელ და გაბრიელისა ლაპეჭინისა წავი-ლე... და წარსამართებელად ჩუტნდა და მისვე კანდელაკისა

¹ თედო უორდანიას ალწერილობის მიხედვით, 91-103.

² თედო უორდანიას ალწერილობის მიხედვით, 26 სტრიქონი.

შვილი, გაბრიელ ჯინჭარაძისა შვილი, ლაზარე დიაკონი, ჩემისა მონაღვანის თეთრით დაქსნილი, წელთაგან... უანთა... თანა ვიახელ სწავლად, აღსაზრდელად და სამსახურებლად ტაძრისა და სახესა თქუცინისათვს და სახსრად სულისა ჩემისათვს დღისა მას დიდსა განკითხვისასა. ხოლო, უფალო, უწყი, ძველი და უყდო იყო და დაძუცლებული და უპატიო და ეს მოსკოვს შევაკურევინე. და დიაკონი გავზარდე და ვასწავლე თავისა ჩემისა სწორად. და თუმცა შესმინად ჩემი, უკეთესიცა იქნებოდა. და ან რომელთა ზეცისათა მთავარნო, მიქელ და გაბრიელ, გვაღირსე ტაძრის თქუცინისა ლაპეჭინისა ხილვა და გამოგვიხსენ ტყუეობისა ამის ჩემისა. რაჟამს დავსტყვევდით წელთაგან მოსკოვს წელმწიფისათა, სადა არა ლამდება ზაფხულ, კირილას მონასტერსა სავანისა (!) ზღვის პირსა არის ნავთსაყუდელ... დააკრამს ღუზაზე... გადააგდებენ და იმას თევზთ ჩაყლაპავენ...“ (2r-v).

მინაწერები ჩვენი თხზულების გვერდებზე XIV-XV სს. მხედრულით:

1. „...ბელსა მამასა და ძესა და ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ (104r).
2. „სტეფანეს შეუნდოს ღმერთმან, ვინცა...“ (105v).
3. „ხელნი იგი ბილწნი და ცხარნი და ცხარნი“ (106r).
4. „იოვანეს ხვადაგიანსა შეუნდოსა ღმერთმან, ამინ“ (106v).
5. „... მი დაო, თეოდორე სტოდიელთა წინამძღვარო, შემიწყალე შენის მოწყალებისა მადლსა, გევედრები შენის მოწყალების მადლსა, ქრისტე, დიდება ღმერთსა, ყოვლისა აღმ..“ (103v).

წინა აღწერილობები: Описаніе рукописей Тифлисского Церковного музея Карталино-Кахетинского духовенства (1903). / составленное Э. Жорданія. Книга I / Издание Церковного музея, #12. Тифлис, газ.: 380-381; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა / ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა / ტომი I (1985). შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ,

მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ ე. მეტრეველის რედაქციით /
თბილისი, „მეცნიერება“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინ-
სტიტუტი, გვ.: 150-154.¹

ბიბლიოგრაფია: კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქარ-
თული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გვ. 11; 57, 126-127;
გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია /
ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგ-
რაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადე-
მია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუ-
ტი, თბილისი, გვ. 214; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II,
ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი, რედ. ეთერ ბერუაშვილი, ხათუნა გაფ-
რინდაშვილი, თბილისი, გვ. 160, 438.

IV. A-382

ჟანრი: ჰაგიოგრაფიული კრებული.

თარიღი: XV საუკუნე.

თანამედროვე ადგილმდებარეობა: კორნელი კეკელიძის სახე-
ლობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ფურცელთა რაოდენობა: 382.²

ჰაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: აქვს გვიანდელი
რვეულებრივი აღრიცხვა ასომთავრულით და არაბული ციფ-
რებით. ეს აღრიცხვები ერთმანეთს არ ემთხვევა. ზოგჯერ
ფურცელთა რიგი არ ეულია. აქვს ყდის საცავი ფურცელი. და-

¹ კრებული A-388 აღნერილია თ. ბრეგაძის მიერ. წინამდებარე ნაკ-
ვეთი შეიცავს A კოლექციის 100 ხელნაწერის აღნერილობას
(№№301-400). აღნიშნული კოლექცია ერთ-ერთი უძველესი და უმ-
დიდრესია ქართულ ხელნაწერ კოლექციებს შორის.

² თედო უორდანიას აღნერილობის მიხედვით, 343 ფურცელი.

ზიანებული (სხვადასხვა დროის), ახალი რესტავრირებული. ნაკლული. ჩამოხეული აქვს მარჯვენა სვეტები ფ.ფ. 51 და 52-ს. ფ.ფ. 242, 307, 368 გაბმითაა დაწერილი. დაუწერელია 97v-98r, 308r, 309r-v, 373v. ფ. 382 ეკუთვნის სხვა ხელნანერს. ყოველ თხზულებასთან დასმულია რიგითი ნომერი (ძველი და ახალი), XVIII ს-ში ხელმეორედ გაკეთებული. ძველი იწყება ლზ რიცხვით, ახალი ბ-თი. ძველი რიგითი ნომერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს კრებული გაგრძელებაა რომელიდაც კრებულისა და იგი წარმოადგენს დიდი კრებულის მეორე ნანილს. ხელნანერი დაშლილი ყოფილა. იგი შეუკინძავთ და შეუვსიათ XVIII ს-ში. რესტავრაციის დროს ზემო კიდეებზე გაუკეთებიათ ქუდები. აქვს ჭვირნიშანი.

„თეოდორე სტრატილატის წამების“ ტექსტის ადგილი კრებულში: შესულია 43-ე თხზულებად: 181v-186v.¹ კრებულში სულ 84 შრომაა.

სანერი მასალა: ქაღალდი; გაყვითლებული; ყავისფერი ლედე-რინგადაკრული მუყაოს ყდა, ახალი შეკინძული. სათაურები და დასაწყისები სინგურით.

მხატვრული გაფორმება: 178v-ს კიდეზე შავი ფანქრით დახატულია სასულიერო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი, რომელსაც ქვევით მხედრულად მიწერილი აქვს „ბაგრატ“ (ბაგრატ ტავრომენელი). ნახატიც და წარწერაც გვიანდელია. ასევე, 307v-ზე შავი ფანქრით დახატულ გამოსახულებას აწერია „იოანე მოწყალე.“ წარწერა XIX ს. ხელითაა შესრულებული.

ფურცლის ზომა: 38,5X27 სმ.²

სტრიქონთა რაოდენობა: 46.

ნანერის ზომა: 32.5X19 სმ.

სვეტების რაოდენობა: 2.

თითოეული სვეტის ზომა: 32.5X8,9 სმ.

სვეტებს შორის მანძილი: 0..9-დან 1.2 სმ-მდე.

¹ თედორ უორდანიას ალწერილობის მიხედვით, 41-ე თხზულებად.

² თედორ უორდანიას ალწერილობის მიხედვით, 38X30 სმ.

დამწერლობის ტიპი: ნუსხური. კრებულის ბოლო თხზულება – „დიმიტრის ცხოვრება და წამება“ განსხვავებული (XVI-XVII სს.) ხელითაა დაწერილი. იგი მოგვიანებით უნდა იყოს შეტანილი ამ კრებულში. მოგვიანებით (XVII ს-ში) არის შედგენილი ამ წიგნზე დართული ზანდუკიც (380r-381r), რომელიც დაწერილია მხედრულით.

გადამწერ(ები): ეპიფანე (54r, 138v, 141v), იერემია (67v, 100v, 107v, 108v), რუთი (138r), დიმიტრი (310r).

ანდერძ(ები):

1. „ეს ოთხი საკითხავი ვერ შევიტყევ, რომელსა თუმცა შინა იყო: საკითხავი ქალწულისა კანონიერი, რომელი იყო ასული მთავრისა ერთისა კოსტანტინეპოლელისა და იქმნა მძოვარ და, ამასთანავე, დანიელ პატრიკისა, რომელმან გარდა-იცვალა სახელი საჭურისად, საკითხავი ბ, თავი ივ. „ცხოვრებაა წმიდისა ნისიმესი“, და, ამასთანავე, მოთხრობაა „მამათაა საკითხავი ბ, თავი კბ.“ (ერთვის საძიებელს);
2. „ღმერთო, შეინყალე სული ეპიფანესი“ (სათაურში სინგურით, 54r);
3. „ღმერთო, შეინყალე იერემია, აცხოვნე სულითა, ამინ“ (67r);
4. „ღმერთო, შეინყალე ფრიად ცოდვილი იერემია და აცხოვნე წმიდაო ნისიმე“ (100v);
5. „ღმერთო, შეინყალე ცოდვილი იერემია, ჯუარო პატიოსანო“ (107v);
6. „ღმერთო, შეინყალე ცოდვილი იერემია“ (108v);
7. „რუთის მონაზონსა და მისთა მშობელთა შეუნდნეს ღმერთმან, ამინ“ (138r);
8. „... ეპიფანე“ (სათაურთან სინგურით, 138v);
9. „ჯუარო პატიოსანო, შეინყალე ეპიფანე“ (141v);
10. „ღმერთო უფალო, შეინყალე...“ (ჩამოხეულია) (283v);
11. „დიმიტრის შეუნდნეს ღმერთმან, ამინ!“ (310r).

მინანძერ(ები):

1. „[წმიდა მო]ნამევ გიორგი, შეინყალე ცოდვილი მღდელ-მონაზონი, ულირსი რომანოზ“ (5v);
2. „ქ. წმინდის გიორგის ალავერდისა ვარ“ (16r);
3. „რვა ფურცელი“ (44v);
4. „ივლისსა ივ სხუაგან სწერია“ (XVIII ს. ნუსხურით, 54r);
5. „ქ. ი მათერ ბოლო ნაშელო“ (56r);
6. „.... ბატონსა და ბატონობისა დიდად შესაფერსა მაწყვე-რელ მთ[ავარ] ეპისკოპოზსა წინაშე მრავალი და აურაცხელი ან... ყოფნა და წმიდათა და ნათლით შემოსილთა ჭელსა მო-ნა...“ (57r);
7. „წმინდაო მარინავ, მეოს მეყავ ანნას, წელთა ჩყლბ, დე-კენბერსა დ, განვათავე მეტაფრასი ესე ორჯელ ამ რიცხვში“ (58v);
8. „ქ. სახიერო, კაცთმოყვარეო ქრისტე ღმერთო... რანიც წმინდანი მამანი ანუ დედანი ამა მეტაფრასა შინა სწერია... წერილნი, ანუ...“ (59v);
9. „ქ. იესო ქრისტეო, წმინდაო ათანასი, სევდა, ცოდვილი მე, განმიქარვე შენის სახარების..“ (61r);
10. „ქ. წმინდაო ონიფანტე, გაახარე ჩემი გული, ნუ გამწდი მტერათ“ (64r);
11. „ქ. უფალო იესო ქრისტეო, წმინდაო, წორციელთა ანგე-ლოზო, გვირგვინოსანო, განბრნყინვებულო წმინდაო [ქ]რის-ტინე, შენის იესოს ქრისტეს სიყვარულისათ[ვის] გაუმარჯვე მეფე თეიმურაზს... დედოფალ...“ (XVI-XVII სს. მხედრულით, 67v);
12. „ქ. ვი[ნ]ცა ჭელთ იყუნენ პატიოსანი წიგნი ესე, ამისთვის ნუ მწყევთ შემვედრებულ...“ (68r);
13. „წმიდაო ზაქარია, აცხოვნე დომენტი“ (ნუსხურით, 91r);
14. „წმიდაო ეგნატე წამებულო, მეოს მეყავნ ცოდვილსა ან-ნას“ (108r);
15. „წმიდაო ლვთისმშობელო, შეუნდვენ, უწინამძღვარე ცოდ-ვილს მღდელმონაზონს დომენტის“ (ნუსხურით, 238r);

16. „ღმერთო, ნუ წაა]ჭდენ მონას, შენს მზისთ[ა]ნ[ა]ჭ[ა]რს, ამინ! უფალო, ორივ ცხოვრება დაუმკვიდრე. ღმერთო, შამინ-დევ ჩემი ბრნნოდარი (!) ქმარითა, ძმებით და მაზლებით. გა-მახარე მოწყალევ ღმერთო“ (ნუსხურით, 368v);
17. „შემდეგი წიგნისა ამისა არა ეკუთნის წიგნისა ამას, არამედ არს სხვისა, რომლისამე წიგნისა დანაშთენი, მარად ფრიად ცუდად არეული და გარყვნილი. დიმიტრი ფურცელაძე, 1855 წელი, ავგустი 9“ (331v), და სხვ.

1r-ზე მოთავსებულია საკითხავების სათვეო საძიებელი.

ნინა აღნერილობები: Описаніе рукописей Тифлисского Церковного музея Карталино-Кахетинского духовенства (1903). / составленное Э. Жорданія. Книга I / Издание Церковного музея, #12. Тифлис, გვ.: 372-377; ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I. (1985). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ ელ. მეტრეველის რედაქციით. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, გვ.: 118-133.¹

ბიბლიოგრაფია: კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქარ-თული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, გვ. 126-127; კეკელი-ძე, კ. (1945). წმიდა მხედარი: ეტიუდები ძველი ქართული ლი-ტერატურის ისტორიიდან, II ტომი, საქართველოს სსრ მეცნი-ერებათა აკადემია, თბილისი, გვ.: 7-10; კეკელიძე, კ. (1960). რომანი აბუკურა და მისი ორი რედაქცია ძველ ქართულ მწერლობაში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ის-ტორიიდან, VI ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემია, თბილისი, გვ. 29; ხახანოვ. А. (1910). Житие св.

¹ კრებული A-382 აღნერილია თ. ბრეგაძის მიერ. ეს გამოცემა არის I ტომის IV ნაკვეთი და მოიცავს №№301-400 ხელნაწერთა აღნერი-ლობას.

Феодора Стратилата и Тирона в грузинском переводе: *Богословский Вестник сентябрь*, стр. 324-332; Хаханов. А. (издатель). Материалы по грузинской агиологии. По рукописям X века. Москва, стр. IV-XI; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 214; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რედ. ეთერ ბერუაშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი, თბილისი, გვ. 158; კეკელიძე, კ. (1947). ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია (თსუ შრომები, ტ. 30b-31b), თბილისი, გვ. 35; ქავთარია, მ. (1966). ოეოდორე სტრატილატის მარტვილობის რედაქციები: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის-თავს, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 191-217; პატარიძე, რ. (1969). ‘The lune’ (პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბილისი, გვ. 71).

V. A-1076

ჟანრი: უმთავრესად აპოკრიფული.

თარიღი: 1862 წელი (93r).

თანამედროვე ადგილმდებარეობა: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ფურცელთა რაოდენობა: 95.

პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: ორმაგი, ფურცლობრივი პაგინაცია. დაშლილი, დაფურცვლილი, კიდეებშემოცვეთილი, თავ-ბოლონაკლული, დალაქავებული.

ტექსტის ადგილი კრებულში: ჩვენი თხზულება კრებულში რი-
გით 22-ე შრომა: 55r-77v. სულ ამ კრებულში 26 შრომაა შე-
სული.

საწერი მასალა: ქაღალდი; უყდო. დაწერილია შავი მელნით.

ფურცლის ზომა: 22,4X18 სმ.

სტრიქონთა რაოდენობა: 17.

ნაწერის ზომა: 18,8X15 სმ.

სვეტების რაოდენობა: 1.

თითოეული სვეტის ზომა: 18,8 სმ.

დამწერლობის ტიპი: მხედრული.

გადამწერი: დარისპან აბაშიძე (93r).

ანდერძები: (გადამწერისა): „აღინერა ულირსის მონისა ღმერ-
თისა, დარისპან აბაშიძისაგან, წელსა ჩყაბ-სა, თიბათვის კდ-
სა დღესა. გარნა ვინათვან არა მქონდა დრო, გაფრთხილე-
ბით დამეწერა მარტოხელობისა ჩემისა გამო მტვირთველ
პირველი წერი[ლი]ს ცოლშვილისა ჩემისა და მეორე საქარ-
თველოს ღუბერნიაში მოურავათ მყოფი, ამისთვის საჩქაროთ
აღვწერისა[!] გამო უკეთუ შეცთომილება რაიმე პოვოთ, ნუ
მწყევთ, არამედ აკურთხევით ცოდვილი სული ჩემი, რათა
თქუენცა გესმასთ ხმა იგი“... (93r).

წინა აღწერილობები: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა / ყოფილი საეკლესიო
მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია) / კორნელი კეკელი-
ძის საერთო რედაქციით, ტომი IV. (1954). შეადგინა ქრისტინე
შარაშიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გა-
მომცემლობა, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემია / აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სა-
ხელმწიფო მუზეუმი, გვ.: 39-42.

ბიბლიოგრაფია: გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი
ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგ-
ლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეც-
ნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნა-
წერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 214.

„ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრების“ ნუსხა

„ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრება“ შემონახულია ერთადერთ ხელნაწერ კრებულში. ეს არის:

Jer-2

ჟანრი: ჰაგიოგრაფიული კრებული.

თარიღი: XI საუკუნე.

თანამედროვე ადგილმდებარება: იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, Georgian-2; მიკროფირი: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Jer-2. Series: Microfilm 5017: Georgian.

ფურცელთა რაოდენობა: 269 (მიკროფირის თავფურცლის მიხედვით).¹

ტექსტის ადგილი კრებულში: შესულია მე-16 შრომად: 115v-126v.² მე-11 შრომად ასევე შედის ჩვენი თხზულება, ოლონდ მხოლოდ დასაწყისი ნაწილი, ბლეიკის აღნერილობით, მას უკავია Fol. 69r⁰. ტექსტი რთულად იკითხება და მეორე გვერდზე აღარ გრძელდება. შენიშვნის სახით მიწერილი აქვს: „ესე წმიდისა ათანასეს ცხოვრებად მით არღარა დავწერეთ, რომელ დედად მრუდი იყო და სხუად მართალი არა გუქონდა.“

კრებულში სულ 23 შრომაა.

საწერი მასალა: თხელი პერგამენტი.

ფურცლის ზომა: 39,5X27,2 სმ. (ბლეიკის მიხედვით, 39,8X27).

სტრიქონთა რაოდენობა: 34.

ნაწერის ზომა: 29,8X18,5 სმ.

სვეტების რაოდენობა: 1.

დამწერლობის ტიპი: ნუსხა.

¹ ბლეიკის აღნერილობაში მითითებულია 268 ფურცელი (Blake, 1924: 13).

² ბლეიკის აღნერილობაში მითითებულია Fol. 115v⁰-129v⁰.

გადამწერი: „მწერალი ნიკოლოზ“ (81v).

მინანწერები: „ღმერთო, შემიწყალე ბესარიონ, ამინ!“ (მხედრულით, 17r); „წმიდაო ღმერთო და ჯუარო ქრისტესო, შეიწყალე ცოლი რუთი და მელქიზედეკ და მისნი შვილნი უცოცხლენ“ (27v); „ეგრეთვე ღლპერი და თეოფილე მადლითა მისითა მონამეთა შეერთნეს;“ „ღმერთო მოწყალეო, შენის მწყალობის მადლისა, დამიწსენ საუკუნოსა სასჯელისაგან მე მონა, ბერი, ცოდვილი, მე მონაზონი ესაია, ამინ!“ (47v); „ვინ იკადრეთ ამისი აღმოჩევა, სჯულისა გარდამხდარ ხართ წესიერსა, მროველყოფილი იონა შეიწყალეთ და შენდობა ინებეთ ნებისაებრ თქუენისა“ (68v).

ნინა აღწერილობა: Blake, R. (1924). Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarchale grecque à Jérusalem, O. C. #304, pp.: 13-18.

ბიბლიოგრაფია: გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 121; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ. 199.

კოძენჭარები

„ვეპრონიას თამაშა“

გვ.: 30, 1. „[წამებაზ ფეხბრონიადსი]“ – თხზულების მთავარი გმირია III-IV საუკუნეებში მოღვაწე წმინდანი, რომელიც დიოკლეტიანეს მმართველობის დროს აწამეს. საგულისხმოა, რომ გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ-შედგენილ დიდ სვინაქსარში, სადაც, როგორც წესი, ამა თუ იმ წმინდანის ბიოგრაფიული ცნობები მოკლედაა გადმოცემული (ხშირ შემთხვევაში რამდენიმე წინადადებას მოიცავს), ფეხბრონიას ცხოვრება შედარებით ვრცლადა აღწერილი და ორი გვერდი ეთმობა (იხ. დიდი სკნაქსარი, 2018: 274-275).

გვ.: 30, 8-10. „ხოლო ლვისიმახოს ქრისტეანისა დედისა შვილი იყო და სწყალობდა ქრისტეანეთა. ამისთვისცა ლამესა ერთსა მოუწოდა პრიმოს კომსსა და ჰერქუ მას“ – ლისიმაქოსი და პრიმოსი დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დასასჯელად გაგზავნილ სამხედროებს მეთაურობდნენ.

გვ.: 30, 10-14. „შენ უწყი, უფალო ჩემი პრიმოს, რამეთუ, დალაცათუ მამად ჩემი წარმართობასა შინა და მონებასა კერპთასა მოკუდა, არამედ დედად ჩემი ქრისტეანე იყო და დიდი მოსწრაფება აქუნდა, რათამცა მეცა ქრისტეანე მყო“ – ლისიმაქოსს დედა ქრისტიანი ჰყავდა და ამიტომაც რომაელი სარდალი ქრისტიანთა მიმართ გულმოწყალებას იჩენდა.

გვ.: 30, 18-19. „ან ვხედავ, ვითარ უწყალოდ მოსწყუედს ქრისტეანეთა ულმრთოო ესე და უწყალოო მამის ძმად ჩემი“ – იგულისხმება ლისიმაქოსის ბიძა სელინოსი.

გვ.: 30, 27-29. „მიჰმართეს ნისიბი ქალაქსა, რომელი-იგი არს საზღვართა ასურასტანელთასა და საპრძანებელსა ბერძენთასა“ – ქალაქი ნისიბინი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. რაც შეეხება ძველ ქართულ ტერმინს „ასურასტანელნი“, მასში ასურეთის მოსახლეობა მოიაზრება.

გვ.: 31, 1-2. „ხოლო იყო მას ქალაქსა შინა მონასტერი დედათად, რომელსა შინა იყვნეს ენკრატისნი მოწესენი, ერგასისნი“ – სინტაგმურ ტერმინში „ენკრატისნი მოწესენი“ მოწესე დე-

დები, მონაზონი დედები იგულისხმებიან, რომელთა რაოდენობა, ტექსტის თანახმად, ორმოცდათი ყოფილა.

გვ.: 31, 2-3. „რომელთა უძლოდა დედა, ბრენი სახელით, რომელი-იგი მონაფე ყოფილიყო პლატონია დედადიაკონისაა, რომელი იყო პირველ მისა“ – ბრენი დედათა მონასტრის მონაზონი და წინამძღვარი იყო, ხოლო პლატონია – დედადიაკონი, რომელიც იმავე მონასტერს ბრენის უნინარეს განაგებდა.

გვ.: 31, 15-18. „ხოლო ბრენსა აღეზარდნეს ორი ქალ-წულნი კეთილად, რომელნი-იგი წურთილ იყვნეს ყოველსა წეს-სა მოღუაწებისასა. სახელი ერთისაა მის – პროკლა და მეორისაა მის – ფებრონია“ – დამონშებულ მონაკვეთში ჰაგიოგრაფი რამდენიმე მოვლენის შესახებ გვამცნობს: ბრენს თავის მონასტერში ყრმობიდანვე ორი ქალწული ჰყავდა აღზრდილი. ერთი წმინდა ფებრონიაა, რომელიც ტექტის თანახმად, ოცი წლის იყო და ბრენის დისშვილად სახელდება, ხოლო მეორე ოცდახუთი წლის პროკლაა.

გვ.: 32, 18. „ესმა მისთვის სეფექალსა ვისმე, სახელით იე-რია“ – საუბარია ქალაქ წისიბინში მცხოვრებ დიდგვაროვან მანდილოსანზე, რომელსაც ფებრონიას ნახვა და გაცნობა სურდა.

გვ.: 33, 33-34. „ფებრონია ჰკითხვიდა თომაიდას, შემ-დგო(მ)სა მას ბრენისასა“ – თომაიდა დედათა მონასტრის წინამძღოლის, ბრენის, შემდევ იერარქიულად დაწინაურებული ერთ-ერთი მონაზვნის სახელია.

გვ.: 36, 19-21. „უფალო იესუ ქრისტე, რომელი გამოუჩნდი თეკლას ლუაწლსა შინა სახითა პავლესითა“ – იგულისხმება I-II საუკუნეებში მოღვაწე თეკლა.

გვ.: 38, 6-7. „დიდითა საფასითა დაგვწინდებია ცოლი უფლისა ჩემისა ლკსიმახოსა მე და ანთიმოს, ძმასა ჩემსა“ – იგულისხმება სელინოსის ძმა და ლისიმაქოსის მამა – ანთიმოსი.

გვ.: 41, 20. „მოუწოდა მკურნალსა“ – მკურნალი სპეციალური სამედიცინო განსწავლულობის მქონე პიროვნებაა, რომელსაც ქირურგიული მეთოდების გამოყენებით ადამიანთა სასტიკი ტანჯვა ევალებოდა.

გვ.: 41, 32-34. „ლებრონიას სული შეუმცირდა სიმრავლი-
სა მისგან სისხლისა. მაშინ მკურნალმან წამალი დაასხა და სის-
ხლი იგი დააყენა“ – წარმოდგენილი მონაკვეთი „მკურნალის“
ფარმაკოლოგიურ განსწავლულობას ცხადყოფს.

„პასილი კესარიელის ცხოვრება“

გვ.: 44, 1. „თუესა იანვარსა ა“ – ბასილი დიდის ხსენების დღედ 14 (ძვ. სტილით 1) იანვარია განწესებული.

გვ.: 44, 1-3. „საკითხავი ცხოვრებისათვს და საკრველ-თმოქმედებისა წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკო-პოსისა, კესარია კაბადუკიელისაა“ – ბასილი დიდი IV საუკუნეში მოღვაწე კესარია-კაპადოკიელი მღვდელმთავარია, რომლის ღვაწლი და დამსახურება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და სწორედ აღნიშნულის დასტურად მის სახელს ეკლესიამ ზედწოდება „დიდი“ შემატა.

გვ.: 44, 4. „თქუმული ამფილოქი მთავარეპისკოპოსისა იკონიელისაა“ – ამფილოქე იკონიელი, IV საუკუნეში მოღვაწე მღვდელმთავარი, ბასილი დიდის მეგობარი და ბიოგრაფი იყო. ეკლესიამ იგი, მსგავსად ბასილისა, წმინდანად შერაცხა. იკონია, თანამედროვე კონია, თურქეთის ცენტრალური ანატოლიის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ქალაქია, კონიის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი.

გვ.: 45, 4-8. „სამთა მათ, ყოვლადწმიდათა ღმრთისმოშიშთა, კაცთა ვიტყვა: გრიგოლისსა, რომელი ღმრთისმეტყუელებასა შინა განშეუნდა, და გრიგოლისსა, მარადის ჭიშნებულისა ნვაერნისა ქალაქისასა, და ეფრემისსა, ყოვლადქებულისასა“ – იგულისხმება IV საუკუნეში მოღვაწე სამი გამორჩეული საეკლესიო მოღვაწე: წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმინდა გრიგოლ ნოსელი (ბასილი დიდის ხორციელი ძმა) და წმინდა ეფრემ ასური.

გვ.: 45, 18-22. „რომელმან-იგი განდგომილი სამებისა-გან ლოცვითა დაამზუა ივლიანე უღმრთოა“ – იგულისხმება ივლიანე – IV საუკუნეში მოღვაწე რომის იმპერატორი, რომელმაც მძლავრად გაილაშქრა ქრისტიანობის წინააღმდეგ და საკუთრივ ბასილი დიდს დაუპირისპირდა.

გვ.: 45-46. „რომელმან-იგი უვალენტოს მგმობარსა დაუყო პირი“ – იგულისხმება ვალენტი || (ძველი ქართულით „უვა-

ლენტოსი“) – იმავე დიდი სვინაქსარის თანახმად, რომის 55-ე იმპერატორი, რომელმაც თორმეტი წელი იმეფა.

გვ.: 46, 1-2. „რომელმან-იგი არიოზისი დასცა ბოროტად მადი(დე)ბლობა“ – არიოზი IV საუკუნეშე ალექსანდრის ეკ-ლესიაში მომსახურე პრესვიტერია, რომელმაც ძე ღმერთის ჰიპოსტასის დაუსაბამობის წინააღმდეგ გაილაშქრა და შედე-გად საკუთარი მოძღვრებითურთ ანათემას გადაეცა 325 წელს ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრე-ბაზე.

გვ.: 46, 12-14. „და უვალის, ამისმან მამის ძმამან, დაიპ-ყრა ულირსმან სამეუფლო შარავანდი და არიანოსთად თანაშემწე იყო ბოროტად მადიდებლობასა“ – იგულისხმება იგივე ვალენტი Ⅱ. მთარგმნელი სხვადასხვა ფორმით იყენებს მის სახელს.

გვ.: 47, 12-14. „გრიგოლი დიდი, რომელი ანზიანზორს იქ-მნა ეპისკოპოს და სამოციქულო საყდარი ათორმეტისა წლისა ჟამთა იღუანა“ – იგულისხმება გრიგოლ ღვთისმეტყველი.

გვ.: 47, 14-15. „ივლიანე, რომელი-იგი მცირედ პირველ ქრისტეანე იყო“ – იგულისხმება ივლიანე განდგომილი (ლათ. Iulianus Apostata), იგივე ივლიანე II (Flavius Claudius Iulianus).

გვ.: 47, 15-16. „.... და ლიბანიოს“ – იგულისხმება ათენში მოღვანე და ბასილი დიდის წარმართი მასწავლებელი ლიბანი-ოსი.

გვ.: 48, 6-8. „წარვიდა ეგვეტედ და მივიდა ერთსა არქი-მანდრიტსა თანა, პორბძიოს სახელით“ – იგულისხმება არქი-მანდრიტი პორფირიონისი – ეგვიპტეში მოღვანე სასულიერო პირი.

გვ.: 48-49. „ეძიებდა თვისსაცა მოძღუარსა ევბულოსს, რა-მეთუ იგი იყო იყო წინამძღუარი სიტყვსა“ – იგულისხმება ფილო-სოფლის ევბოლე (ევბოლოსი), რომელსაც, წმინდა ამფილოქე იკონიელის თანახმად, დაემონაფა ბასილი დიდი და განსა-კუთრებულ პატივს მიაგებდა მას.

გვ.: 51, 7-9. „მასწავებენ ჩუენ ჭმამალალნი წინაწარმეტ-ყუელნი: ესაია, იერემია, ეზეკიელ, დანიელ“ – იგულისხმებიან

ბიბლიური წინასწარმეტყველები: ესაია, იერემია, ეზეკიელი და დანიელი, რომლებიც ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწეობდნენ. მათ „დიდი წინასწარმეტყველები“ ეწოდებათ და ოთხი საწინასწარმეტყველო წიგნის ავტორები არიან.

გვ.: 51, 9. „დავით მეფე“ – იგულისხმება დავით მეფე, მეფესალმუნე და წინასწარმეტყველი, ფსალმუნთა წიგნის ავტორი.

გვ.: 51, 9. „და ღმრთისა მონაჲ პავლე“ – იგულისხმება მოციქულთა თავად წოდებული პავლე, რომელსაც ახალი აღთქმის წიგნებში შემავალი თოთხმეტი ეპისტოლე ეკუთვნის.

გვ.: 51, 11-21. „რომელმან ცხოვარი იგი მოიძია წარწყმედული, რომელმან განდგომილი იგი ყრმაჲ წიალთაგან მამისათა სიმდიდრესა თანა მრავალსა [მოიყვანა] და ესე უძლებებით წარაგო და მერმე უკუმოიქცა სიმშილითა დამყმარი და სიყუარულით მოკითხა, სამოსლითა ბრწყინვალითა შეამკო და ბეჭედი მისცა და პური დიდი ყო და არჩმუნა არაშეცოდებულსა მას ყრმასა არა განრისხებაა, არამედ, ვითარცა ძმასა, შენდობისა მიცემად. ესრომი უშურველად უფალი უფროს გარდაპმატებს სახიერებასა და სწორსა სასყიდელსა, რომელნი-იგი მეათერთმეტისა უამისანი არიან“ – აღნიშნული მონაკვეთი ახალი აღთქმის წიგნებში გადმოცემულ რამდენიმე მოვლენას აერთიანებს. კერძოდ, წარწყმედილი ცხვრის მომძიებელი მაცხოვარს მიემართება და სახარებისეულ მოძღვრებას ეფუძნება (შდრ. მათ. 18. 12-14; ლუკ. 15. 4-5;); ცნობა განდგომილი და მამის ქონების გამნიავებელი ყრმის შესახებ უძლები შვილის იგავიდანაა მოტანილი (იხ. ლუკ. 15. 11-32).

გვ.: 51-52. „რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოჰქდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“ – ეს სიტყვები ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწე დიდ წინასწარმეტყველ ესაიას ეკუთვნის (იხ. ეს. 64.4), რაც მოგვიანებით პავლე მოციქულმა გაიმეორა კორინთელებისადმი მიწერილ ეპისტოლეში (იხ. 1 კორ. 2.9).

გვ.: 52, 3-7. „ესე რაც ესმა, ცნობასა მოვიდა ევბულე და თქუა: „ბასილი, ზეცისა გამომაცხადებელო სამებისაო! შენ მიერ მრნამს ერთი ღმერთი, მამაჲ ყოვლისა მპყრობელი, და შემდგომი, და მოველი ალდგომასა მკუდართასა და ცხორებასა საუკუნესა, ამენ!“ – აღნიშნული ადგილი გვამცნობს, რომ ბასილისა და მისი მასწავლებლის შეხვედრის შედეგად გამართული დიალოგის შემდეგ ევბოლე ქრისტიანი გახდა. საგულისხმოა, რომ ევბოლეს მიერ წარმოთქმული სიტყვები ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე შედგენილი ქრისტიანული მრნამსიდანაა ციტირებული. მოცემულ შემთხვევაში ჰაგიოგრაფმა მრნამსის მხოლოდ დასაჩყისი (შდრ. „მრნამს ერთი ღმერთი, მამაჲ ყოვლისა მპყრობელი“) და ბოლო ნაწილი წარმოადგინა (შდრ. „მოველი ალდგომასა მკუდართასა და ცხორებასა საუკუნესა, ამენ“), თუმცა შუაში გამოყენებული ჩანართით მკითხველს მიანიშნა ხსენებული შემოკლების შესახებ (შდრ. „მრნამს ერთი ღმერთი, მამაჲ ყოვლისა მპყრობელი, და – შემდგომი, და მოველი ალდგომასა მკუდართასა და ცხორებასა საუკუნესა, ამენ“).

გვ.: 53, 11-12. „მიეხუნეს მისგან მუქლნი ომიროსაგანი“ – იგულისხმება ცნობილი ბერძენი მწერლის, ჰომეროსის, შემოქმედება, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ნაწარმოები – „ილიადა“ თუ „ოდისეა.“

გვ.: 53-54. „ხოლო მან მიიხუნა მუქლნი იგი და იწყო სიტყუად ამათსა თარგმანებასა. და განკურდა ჭაბუკი იგი და მხიარულ იქმნა და ევედრებოდა მას დაწერით მიცემად მას ესე. ხოლო მან დაწერა ამათი იგი აღწნაა სამითა სახითა“ – საუბარია იმის შესახებ, რომ ლიბანიოსი საკუთარი მოწაფეებისაგან ჰომეროსის შემოქმედებიდან კონკრეტული მონაკვეთების (მუხლების) გააზრებასა და მათში განჭვრეტილი ღრმა ფილოსოფიური აზრების ახსნას მოითხოვდა.

გვ.: 56, 11-12. „გამოეცხადნეს, რომელ-იგი მაშინ ეპისკოპოსი იყო ქალაქისაჲ, სახელით მაქსიმიანე“ – იგულისხმება იე-

რუსალიმელი მღვდელმთავარი მაქსიმიანე, რომელსაც ამფი-ლოქე იკონიელი „წმინდა კაცად“ მოიხსენიებს.

გვ.: 57, 10-13. „შეპმოსა მას ქრისტისმიერი იგი სამოსე-ლი. ნათელსცა ევბულოსსცა და ჰცხო მას წმინდად ნელსაცხებე-ლი და მისცა მათ ცხოველსმყოფელი იგი ზიარებად“ – ტექსტის თანახმად, ნათლობის შემდეგ ბასილისა და ევბოლეს ქრისტეს აღდგომის სამოსი ჩააცვეს. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში კვართი იგულისხმება, რითაც, უძველესი საეკლესიო ტრადი-ციის მიხედვით, ახალნათელლებულნი იმოსებოდნენ.

გვ.: 58, 3-5. „ბასილი მელეტის მიერ, რომელი-იგი მუნ ეპისკოპოსი იყო, წელი დაესხნეს წესა დიაკონებისასა“ – იგულისხმება მელეტი ანტიოქიელი, IV საუკუნეში მოღვაწე მღვდელმთავარი, რომელიც ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხილი. კესარია-კაპადოკიელი მღდველმთავრის წინამდე-ბარე ცხოვრების თანახმად, ბასილი დიდს დიაკვნად სწორედ მან დაასხა ხელი.

გვ.: 60, 11-18. „დაიწყო თვისითა წელითა წერად ჟამისწირ-ვისა საიდუმლოთა. და მას ღამესა დაადგრა მას უფალი ჩუენე-ბით მოციქულთა თანა და წინადაგებად იგი პურისად და სასუმ-ლისად ყო ზედა წმიდასა საკურთხეველსა. და აღადგინა ბასილი და ჰრექუა: „მსგავსად თხოვისა შენისა აღივსენ პირი შენი ქები-თა, რათა შენითა თქუმულითა შესწირო უსისხლო მსხურ-პლი“ – როგორც საეკლესიო ისტორიიდანაა ცნობილი, ბასი-ლი დიდის სახელს უკავშირდება ლიტურგიის შედგენა, რომე-ლიც მისივე სახელით არის ცნობილი („ბასილი დიდის ლი-ტურგია“). სწორედ აღნიშნული მოვლენის შესახებ გვამცნობს ამფილოქე იკონიელი და, რაც განსაკუთრებით საყურადღე-ბოა, კესარია-კაპადოკიელი მოსაგრის მიერ დაწერილი ლი-ტურგიის პირველწყაროდ არა კაცობრივი უნარ-შესაძლებლო-ბები, არამედ თეოფანიაა დასახელებული, რომელშიც იესო ქრისტე და მოციქულები ეცხადებიან ლირს მღვდელმთავარს.

გვ.: 60-61. „აღდგა ძნოლით და მოუკდა წმიდასა საკურ-თხეველსა და იწყო სიტყუად და წერდა ქარტასა შინა ესრტი: „აღავს პირი ჩუენი ქებითა, რათა უგალობდეთ დიდებასა შენ-

სა – ბასილი დიდის მიერ წარმოთქმული ლოცვა ფსალმუნური ციტატაა (იხ. ფსალმ. 70.8).

გვ.: 62, 21-22. „რომელთა თანა იყო დიდიცა მოლუანტე ეფრემ“ – იგულისხმება IV საუკუნეში მოღვაწე ეფრემ ასური, რომელმაც სასწაულებრივი შეხვედრის შედეგად გაცნო ბასილი კესარიელი.

გვ.: 63, 16-17. „ხოლო ხვალისაგან მოვიდა ბასილისა, ევედრებოდა მას თვინიერ დროსა მიღებად ქრისტეს ბეჭედი“ – „ქრისტეს ბეჭედში“ ნათლისძების საიდუმლო მოიაზრება.

გვ.: 67, 9-13. „იხილა ბასილი ჩუენებით სიმრავლესა მწედრობასა ზეცისასა იმიერ და ამიერ მთასა მას და შორის მათ-სა საყდართა ზედა მჯდომარესა ვისმე დედაკაცისა ხატითა და ესრტო ჰრესა, რომელნი-იგი მახლობელად მისა დგეს – დიდ-დიდნი კაცნი“ – აღნიშნულ გამოცხადებაში საუბარია ზეციურ მხედრობაზე, რაშიც ანგელოზთა ძალები მოიაზრებიან; ასევე სახელის მითითების გარეშე ნახსენებია ვინმე დედაკაცი („ვის-მე დედაკაცისა ხატითა“), რომელშიც ყოვლადწმინდა ლვთის-მშობელი იგულისხმება. ეს მისივე სიტყვებიდან ცნაურდება, როდესაც იხსო ქრისტეს საკუთარ ძედ მოიხსენიებს;

გვ.: 67, 13-16. „მოუწოდეთ ჩემდა მერკურის და წარვიდეს და მოკლას ივლიანე“ – იგულისხმება ახ. წ. აღ-ის III საუკუნე-ში რომის იმპერიაში მოღვაწე წმინდა მერკური (მოიხსენიება აგრეთვე, როგორც მერკური // მერკვირი).

გვ.: 71-72. „შე-რაღ-ვიდა წმიდათა მარხვათა, სალმრთო იგი ექუსთა დღეთა თარგმანებაა ერსა მიუთხრა და მრავალი სიმრავლეს ჰურიათა და წარმართთა მოიყვანნა ქრისტესა“ – იგულისხმება ბასილი დიდის მიერ წარმოთქმული ცხრა ქადა-გება, რომელიც წერილობითი სახით შემორჩა ეკლესიას და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პატრისტიკული ძეგლია (ბერძნული ტექსტისთვის იხ. Sources Chrétiennes, 1968). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ძეგლი ორგზის ითარგმნა ძველ ქართულ ენაზე (იხ. ბასილი დიდი, 1947; მეტრეველი, 1964).

გვ.: 72, 10. „ხოლო ანასტასი პროტიკტორი მიიწია კესა-რია ქალაქად“ – პროტიკტორი საიმპერატორო გვარდიის ოფიცერი იყო და ის იმპერატორის პირად დაცვას აწარმოებდა.

გვ.: 75, 3-4. „ელადიოს, ლირსად მოქსენებული თვომხილ-ველ და მსახურქმნული“ – იგულისხმება ბასილი დიდის გარდაცვალების შემდეგ კესარია-კაპადოკიის საეპისკოპოსო საყდარზე დადგენილი პირი (379-394 წწ.).

გვ.: 75, 13-14. „დასაბამითგან კაცისმკლველმან ეშმაკმან შეიშურვა საღმრთოდ იგი განზრახვად მისი“ – დაცემული ანგე-ლოზისადმი განკუთვნილი ეს შეფასება წმინდა წერილიდან არის აღებული. კერძოდ, აღნიშნული სიტყვებით („დასაბამი-თგან კაცისმკლველი“) მას მაცხოვარი მოიხსენიებს: „იგი კა-ცის-მკლელი იყო დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა და-ადგრა“ (იოან. 8.44).

გვ.: 78, 5-6. „მუნქუესვე სულისა განმხრწნელმან ვეშაპ-მან წარავლინნა სიძვისა ეშმაკნი“ – სულის გამხრწნელ ვეშაპ-ში დაცემული ანგელოზი – ლუციფერი მოიაზრება, რადგან, საეკლესიო სწავლების თანახმად, მისი ერთ-ერთი სახელია „ვეშაპი.“ საგულისხმოა, რომ საანალიზო ტერმინის („ვეშა-პის“) ჩვენთვის საყურადღებო კონტექსტის შესაბამისი საღ-ვთისმეტყველო მნიშვნელობა სრულიად მკაფიოდაა წარმოჩე-ნილი წმინდა წერილში. კერძოდ, ახალი აღთქმის რიგით ბო-ლო წიგნი, „აპოკალიფსი“, შემდეგს გვაუწყებს: „და იქმნა ბრძოლად ცათა შინა: მიქაელ და ანგელოზნი მისნი ჰპრძოდეს ვეშაპსა მას, და ვეშაპი და ანგელოზნი მისნი ეპრძოდეს მათ. და ვერ შეუძლო და არცაღა ეპოვა მას ადგილი ცათა შინა. „და გარდამოვარდა ვეშაპი იგი დიდი, გუელი დასაბამისაა, რო-მელსა ეწოდების ეშმაკი და სატანა, რომელი აცოუნებს ყოველ-სა სოფელსა“; გარდამოვარდა ქუეყანად და ანგელოზნი მისნი მის თანა გარდამოცეს“ (აპოკალ. 12. 7-9). აქვე დავიმოწმებთ წმინდა გერმანე კონსტანტინოპოლელის შესაბამის სწავლე-

ბას: „ვეშაპად და ლევიათანად ეშმაკსა უწოდა წერილმან“ (sin. 91, 140 v).

გვ.: 82, 14-16. „ჰრქეა ყრმასა წმიდამან: „გრძამსა ცხო-
რებად?“ ხოლო მან ჰრქეა: „მრნამს, უფალო, შემენიე ურწმუნო-
ებასა ჩემსა“ – ქრისტეს უარმყოფელი ახალგაზრდის მიერ ბა-
სილი დიდისთვის გაცემული პასუხი სახარებიდან არის ციტი-
რებული (შდრ. „მრნამს, უფალო, შემენიე ურწმუნოებასა ჩემ-
სა“). სწორედ აღნიშნული სიტყვებით მიმართა იქსო ქრისტეს
ეშმაკთა მიერ სულიერად შეპყრობილი ძის მამამ (იხ. მარკ. 9.24).

გვ.: 84, 7-9. „გულსმოდგინედ ერი იგი შეკრბა და ლამე
ყოველ ევედრებოდეს ღმერთსა, კეთილსა მას თანა მწყემსასა,
ცრემლითა წმობდეს მისთვის კირიელეისონსა“ – ტერმინი „კი-
რიელეისონ“ ორი ბერძნული სიტყვის შეერთების შედეგად
არის მიღებული: „კირიოს“ და „ელეისონ“. „ქართულ თარგმან-
ში ნიშნავს „უფალო, შეგვიწყალე.“ იმავე ტერმინის ბერძნულ
ვერსიასა და მის ქართულ თარგმანს გვთავაზობს გიორგი
მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ აღწერილობაში:
„ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა
ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვად ყოველი
აღესრულების, ხოლო კვრიელესონი ბერძნულად ითქუმის,
რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ
„უფალო, შეგვიწყალენ“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლი-
ტერატურის ძეგლები, 1963: 290).

გვ.: 86, 10-11. „და მიიყვანა ყრმაჲ იგი და ასწავა და მისცა
კანონი, რომელი შეჰვანდა“ – ტერმინი „კანონი“ წინამდებარე
კონტექსტში საეკლესიო ლოცვების გარკვეულ კრებულს გუ-
ლისხმობს, რომელიც მონაწულ ცოდვილს განუწესა ბასილი
დიდმა.

„თეოდორე სტრატილატის ნამება“

გვ.: 89, 1. „თუესა ივნისსა ც“ – თეოდორე სტრატილატის ხსენების ერთ-ერთი დღე არის 21 (ძველი სტილით 8) ივნისი.

გვ.: 89, 1-2. „ნამებად წმიდისა და დიდებულისა თეოდორე სტრატილატისაჲ“ – თხზულების გმირია III-IV საუკუნეებში მოღვაწე ქრისტიანი წმინდანი, რომელიც ეკლესიამ „დიდმოწამედ“ შერაცხა.

გვ.: 90, 4-6. „რამეთუ ჰეგონებდა დასაპამითგანი იგი მტერი ნათესავისა ჩუენისა დაპრკოლებად მათდა გზისა მისგან ცხორებისა და ვერ უძლო“ – ჰაგიოგრაფი, მართალია, სახელდებით არ მოიხსენიებს, თუ ვინ მოიაზრება ციტატაში: „დასაპამითგანი იგი მტერი ნათესავისა ჩუენისა“, თუმცა წმინდა წერილისა და საეკლესიო ლიტერატურის თანახმად, მასში იგულისხმება დაცემული ანგელოზი, რომელიც ადამის მოდგმას ერჩის. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სახის დაუკონკრეტებელ მითითებას წმინდა თეოდორეს ბიოგრაფი სხვა შემთხვევაშიც მიმართავს. მაგალითად, ერთგან ვკითხულობთ: „მოაგონა მათ პირველითგან კაცისმკლველმან და მტერმან ნათესავისა კაცთადასამან.“ ცხადია, ამ შემთხვევაშიც ანგელოზყოფილი მოიაზრება.

გვ.: 90, 10. „უშკულოდ ლიკინიოზ“ – იგულისხმება უფროსი ლიკინიოზი (ლიკინიოზ I) (ლათ. Flavius Galerius Valerius Licinianus Licinius), რომელიც მეფე კონსტანტინეს დაზე, კონსტანციაზე, იყო დაქორწინებული.

გვ.: 90, 10-11. „დისიძე დიდისა კოსტანტინე მეფისა, ლმრთისმსახურისაჲ“ – იგულისხმება IV საუკუნეში მოღვაწე იმპერატორი კონსტანტინე (ლათ. Flavius Valerius Aurelius Constantinus), რომლის სახელსაც უკავშირდება მიღანის რჯულშემწყნარებლური ედიქტით ბიზანტიაში ქრისტიანთა დევნის შეწყვეტა, ხოლო შემდეგ, 325 წელს, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა.

გვ.: 90, 14-15. „დაუმტკიცა მეფობად მონასა თვესა კოსტანტინეს“ – იგულისხმება კონსტანტინე დიდი, რომელიც მაქსენტის დამარცხების შემდეგ (312 წ.) რომის ერთპიროვნული მმართველი გახდა და გარდაცვალებამდე (337 წ.) განაგებდა იმპერიას.

გვ.: 90, 15-18. „მაშინ ღმრთისმსახურმან მან მეფემან წარავლინა დისიძე თვისი, ლიკინ(ი)ოზ, მეფედ კერძოთა აღმოსავალისათა ბრძოლად უღმრთოსა მის მეფისა მაქსიმინესასა“ – იგულისხმება მაქსიმინე – რომის იმპერატორი 305-313 წლებში (ლათ. *Gaius Galerius Valerius Maximinus Daia*).

გვ.: 91, 10-11. „ხოლო ლიკინიოზ ძლევითა და დიდებითა მოვიდა ნიკომიდიად ქალაქად“ – ქალაქი ნიკომიდია მცირე აზიაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, მდებარეობდა.

გვ.: 92, 1-3. „ამან უღმრთომან ლიკინიოზ მოსწყვდნა წმიდანი ორმეოცნი მწედარნი წელითა ბილნთა მათ მთავართა თვესთათა, ლუსია და აღრიკო ლაოზისითა“ – ტექსტში დასახელებული ორმოცი მხედარი საეკლესიო ისტორიაში სეპასტიელი მონამეების სახელით ცნობილი წმინდანები არიან. ისინი წარმოშობით კაპადოკიდან იყვნენ და რომაულ ჯარში მსახურობდნენ. კერპებისადმი მსხვერპლის შენირვაზე უარის თქმის გამო ორმოცი მხედარი გაყინულ ტპაში ჩააყენეს. მოგვიანებით სეპასტიელი მოსაგრეების შეუძრავი სარწმუნოების მხილველმა რომაელმა მხედართმთავარმა მათი ფიზიკურად მოკვდინების ბრძანება გასცა. აღნიშნული ფაქტი ლიკინიოზის მმართველობისას, 320 წელს, მოხდა.

გვ.: 92, 5-6. „ამან ურჩულომან მოკლა დიდი ბასილეოს ამასელ მთავარებისკოპოსი, კაცი მიმსგავსებული მოციქულთად“ – იგულისხმება ბასილი ამასიელი, III-IV საუკუნეებში მოღვაწე ამასიის ეკლესიის მღვდელმთავარი. ქალაქი ამასია ამასიის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრია, მდებარეობს ჩრდილოეთ თურქეთში, შავი ზღვის რეგიონში.

გვ.: 93, 11-12. „ხოლო მიინია რაჲ ადგილსა მას ჩრდილოეთ კერძო ევხაინისა, პოვა მწუანვილი თივისაჲ“ – ტექსტში

დასახელებული ქალაქი ევხაინი წმინდა თეოდორეს მშობლიური ქალაქი იყო.

გვ.: 94, 8-10. „მაშინ წმიდამან თეოდორე გამოსახა პირსა ზედა თვისსა სასწაული პატიოსნისა ჯუარისა და ალიპყრნა ზე-ცად წელნი თვისნი“ – აღნიშნული ადგილი პირჯვრის გადასახვის უძველეს ტრადიციას წარმოაჩენს, რომლის თანახმადაც, ჯვარს ისახავდნენ საკუთრივ პირზე (და არა სრულ სხეულზე). იმავე ცნობას ახმოვანებს ჰაგიოგრაფი წმინდა თეოდორეს ცხოვრების სხვა ეპიზოდის აღწერისას: „ხოლო წმიდამან თეოდორე ... გამოსახა სასწაული ჯუარისა პირსა თვისსა.“

გვ.: 95, 7-8. „განმაძრიელებ ძლევად უხილავისა მის ვეშა-პისა“ – „უხილავი ვეშაპი“ დაცემული ანგელოზის ერთ-ერთი სახელია.

გვ.: 95, 11-12. „წარემართა მისლვად არაკლიად პონტოესა“ – იგულისხმება პონტოს ჰერაკლია – შავი ზლვის სანაპიროზე მდებარე მეგარიული კოლონია.

გვ.: 101, 15-16. „ვიხილე მე გუშინ თავი დიდისა არტე-მახსი, შემუსრვილი და დაჭრილი და უბანთა ზედა სასყიდლად მდებარე“ – არტემიდა ბერძნულ პანთეონში შემავალი ერთ-ერთი ქალღმერთია.

გვ.: 102, 1-3. „არცა სანთლისა წვმირსა ქუეშე დადებისა, არამედ სასანთლესა ზედა, რათა გამოპრწყინდეს ნათელი მართლ ალსაარბისა მისისა“ – ეს სიტყვები იესო ქრისტეს მი-ერ მთაზე წარმოთქმული ქადაგების პერიფრაზირებაა, რომელიც ასე უდერს: „არცა ალანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე წვმირსა, არამედ სასანთლესა ზედა და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა“ (მათ. 5.15; შდრ. მარკ. 4.21; ლუკ. 11.33).

გვ.: 104, 5-6 „ხოლო ქველი იგი დგა, ვითარცა გოდოლი შეურყეველი, დაფუძნებული კლდესა ზედა სარწმუნოებისასა“ – წმინდა თეოდორესთან დაკავშირებით მოხმობილი შედარება – „გოდოლი შეურყეველი“ – მოღვაწე პიროვნების განსაკუთრებული სულიერი ახოვანების საჩვენებლად გამოიყენება საეკლესიო ლიტერატურაში. მაგალითად, წმინდა იოანე ოქ-

როპირი შემდეგნაირად ახასიათებს ბიბლიური, მრავალვნებული იობის პიროვნებას: „იობ, გოდოლი იგი შეურყეველი“ (წმინდა იოანე ოქროპირი, 2014: 237).

გვ.: 104, 18-19. „ხოლო მონამე იგი ცუარითა სულისა წმიდისათა უხილავად შეიცურვოდა“ – თხზულებაში გადმოცემული თხრობა, თუ როგორ გადაურჩა წმინდა თეოდორე მტარვალთაგან მისთვის განკუთვნილ სასჯელს – ცეცხლში დაწვას, დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში გადმოცემულ მოვლენასთან პოულობს ანალოგს. მასში მოთხრობილია ნაბუქოდონოსორის მიერ სამი ებრაელი ყრმის: ანანიას, აზარიასა და მისაელის სიკვდილით დასჯის ისტორია: ისინი გახურებულ ღუმელში ჩააგდეს, მაგრამ წმინდა თეოდორეს მსგავსად, საღვთო სასწაულით გადარჩნენ, რასაც წმინდა წერილი ასე აგვინერს: „ხოლო ანგელოზი უფლისად თანა შთავიდა აზარიაეთსა საქმილად მიმართ და განყარა ალი ცეცხლისა საქმილისაგან. და ყო შორის საქმილსა, ვითარცა სული ცუარისა, ვითარცა რაც მსტუენავი. და არა შეეხო მათ ყოვლითურთ ცეცხლი მათდა და არა შეაწენა იგინი და არა აღაშფოთნა იგინი“ (დან. 3. 49-50).

გვ.: 106, 12-14. „ნეტარი გრძელთა მათ და ამაოთა ზრახვათა მათთა მიმართ სიტყუასა დავითისსა აღასრულებდა: „იყო, ვითარცა კაცი უსმი, რომლისა არა არს სიტყუად პირსა მისსა“ – აღნიშნული ლოცვა, როგორც ჰაგიოგრაფი მიუთითებს, ციტატაა ფსალმუნიდან (ფსალმ. 6.14).

გვ.: 108, 13-17. „გარე მომადგეს მე სალმობანი სიკუდილისანი, ჭირთა ჯოჯოხეთისათა მომიცვეს მე და მომენიფნეს მე მახენი სიკუდილისანი. ჭირსა ჩემსა ვხადე უფალსა და ღმრთისა ჩემისა მიმართ ვლალატვყავ“ – ციტატა მე-17 ფსალმუნიდან არის მოხმობილი (იხ. ფსალმ. 17. 4-6).

გვ.: 108, 17-18. „სახარულო ჩემო, მიჩენ მე მათგან, რომელთა მოუცავ მე“ – თეოდორეს ეს ლოცვა 31-ე ფსალმუნიდანაა (იხ. ფსალმ. 31.7);

გვ.: 108, 18-19. „და მეყავნ მე ლხინება და განსუენება გამოჩინებითა მადლისა და ძრიელებისა შენისათა“ – სიტყვები

პერიფრაზია შემდეგი ფსალმუნური მუხლისა: „მილხინე მე, რათა განვისუენო პირველ წარსულად ჩემდამდე“ (ფსალმ. 38.14);

გვ.: 109, 10-13. „სრბად აღისრულებიეს, სარწმუნოებად დაგიმარხავს და ან დამარხულ არს შენდა გვრგვნი იგი სიმართლისად და საუკუნოდ სიხარული და ცხორებად წარუვალი განმზადებულ არს შენდა“ – ეს სიტყვები პავლე მოციქულის ეპისტოლეს ერმიანება, რომელშიც იგი პირველ პირში საუბრობს და იმავე სიტყვებს საკუთარ თავს განუკუთვნებს: „ღუანლი კეთილი მომიღუაწებიეს, სრბად აღმისრულებიეს, სარწმუნოებად დამიმარხავს. ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა გვრგვნი, რომელი მომცეს მე უფალმან მას დღესა შინა, მართალმან მან მსაჯულმან“ (2 ტიმოთ. 4. 7-8).

გვ.: 109, 21-23. „აგამალლო შენ, ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო, და ვაკურთხო სახელი შენი უკუნისამდე“ – თეოდორეს ვედრების ეს ნაწილი 144-ე ფსალმუნიდანაა გაუღერებული (ფსალმ. 144.1).

გვ.: 109, 23-24. „მწუხრი იყო ჩემ ზედა ტირილი და ცისკარსა სიხარული“ – ციტატა პერიფრაზია 29-ე ფსალმუნიდან: „მწუხრსა განისუენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“ (ფსალმ. 29.6).

გვ.: 109, 24-25. „დიდ არს უფალი და ქებულ ფრიად და სიმდიდრისა მისისა არა არს დასასრულ“ – ციტატა 144-ე ფსალმუნიდანაა მოხმობილი (ფსალმ. 144.3).

გვ.: 112, 1. „ეს არს განახლებად მარჯუენისა მის მალლისად“ – აღნიშნული ფრაზა 76-ე ფსალმუნს ერმიანება (იხ. ფსალმ. 76.10).

გვ.: 112, 3-4. „იყვნედ უკუე სანთელნი სულთა თქუენთანი აღნთებულ“ – ეს სიტყვები პერიფრაზია სახარებისეული სწავლებისა: „არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ქუმირსა, არამედ სასანთლესა ზედა და პნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა“ (მათ. 5.15; შდრ. მარკ. 4.21; ღუკ. 11.33).

გვ.: 114, 18-19. „რომელმან მოითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“ – ეს სიტყვები იესო ქრისტეს მიერ წარმოთქმული სწავლებაა. კერძოდ, სახარებაში ვკითხულობთ: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს“ (მათ. 10.22; შდრ. მათ. 24.13; მარკ. 13.13).

გვ.: 114, 20-22. „ნუ გეშინინ, რამეთუ სარწმუნო არს, რომელმან აღმითქუა ჩუენ და თქუა: „არა დაგიტეო შენ, არცა დაგაგდო შენ“ – აღნიშნული ფრაზა ძველი აღთქმიდან არის ციტირებული (იხ. დაბ. 28.15). იგივე ციტატა მოგვიანებით პავ-ლე მოციქულმა დაიმოწმა ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში (იხ. ებრ. 13.5).

გვ.: 115, 21. „წელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“ – წმინდა თეოდორეს უკანასკნელ ლოცვაში გახმოვანებული სიტყვები იესო ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულების წინ წარმოთქმული ლოცვის ანალოგიაა: „მამაო, წელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“ (ლუკ. 23.46).

გვ.: 115, 21-22. „ესე თქუა და შუენიერად მოიდრიკა თავი“ – სიტყვები პარალელს პოულობს იოანეს სახარებაში აღწერილ იესო ქრისტეს აღსასრულთან: „და მოიდრიკა თავი და განუტევა სული“ (იოან. 19.30).

გვ.: 116, 3-5 „აღესრულა წმიდად და ყოვლადქებული მოწამე თეოდორე სტრატილატი, რომელ არს თარგმანებით „მწედართა მფლობელი“, თუესა ივნისსა ჭ“ – წმინდა თეოდორეს აღსასრულის დღე, რაც, იმავდროულად, მისი ხსენების დღეცაა, ძველი სტილით რვა ივნისით თარიღდება. იმავეს გვამცნობს წმინდა გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი დიდი სვინაქ-სარი: „თუესა ივნისსა 8. ... ამასვე დღესა წმიდისა და დიდებულისა თეოდორე სტრატილატისაა. ესე დიდებული თეოდორე ინამა ჟამთა ლიკინოს მეფისათა“ (იხ. დიდი სკნაქსარი, გვ. 256).

„ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრება“

გვ.: 118, 1-3. „ცხოვრებად და ღუაწლნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუქუნისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისად“ – თხზულების მთავარი გმირია ათანასე ალექსანდრიელი, IV საუკუნეში მოღვაწე მღვდელმთავარი, რომელიც შეუპოვრად იპრძოდა არიანული სწავლების წინააღმდეგ და ცრუ ბრალდებების შედეგად ხუთგზის იქნა განდევნილი ალექსანდრის სამღვდელმთავრო საყდრიდან.

გვ.: 118, 13-15. „ხოლო უმეტესად აღივსო მადლითა მით სამოციქულოთა დიდი ათანასე, რომელი-იგი ეპისკოპოსთა შორის დიდისა მის და სახელოვნისა ქალაქისა ალექსანდრისა“ – ქალაქი ალექსანდრია ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა ეგვიპტეში.

გვ.: 118-119. „შემდგომად წამებისა და ღმრთისა მისლვისა ნეტარისა პეტრე ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა“ – იგულისხმება მარტვილურად აღსრულებული წმინდა მღვდელმთავარი პეტრე.

გვ.: 119, 2-3. „მიიღო პატივი იგი მღდელთმოძღურებისად წმიდამან ალექსანდრე“ – წმინდა ალექსანდრე პეტრე მარტვილის მემკვიდრეა. აღნიშნული რიგითობა დადასტურებულია დიდ სვინაქსარში. წმინდა ალექსანდრე ალექსანდრის რიგით მეცხრამეტე იერარქად სახელდება (იხ. დიდი სკნაქსარი, გვ. 422).

გვ.: 119, 29-30. „მე უჩუნო მას, რაოდენი ულირს ვნებად სახელისა ჩემისათვა“ – სიტყვები ლუკა მახარებლის მიერ დაწერილი „საქმე მოციქულთას“ წიგნიდანაა ციტირებული (იხ. საქმ. მოციქ. 9.16).

გვ.: 120, 1-3. „რამეთუ რაჟამს არიოზ უშჯულოდ ექსორიობასა იყო და მუნცა არა დასცხრა ბოროტისა მისგან“ – იგულისხმება არიოზი – ალექსანდრიელი პრესვიტერი. სწორედ მის სახელს უკავშირდება IV საუკუნეში აღმოცენებული ერესი „არიანელობა“, რომლის თანახმადაც, ძე ღმერთი ქმნილებად იქნა მიჩნეული. აღნიშნული სარწმუნოებრივი გაუკულმართე-

ბა დაგმო და ანათემას გადასცა პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ.

გვ.: 120, 4-5. „შეუძლო ცოუნებად კოსტანტინე მეფისა“ – იგულისხმება კონსტანტინე დიდის შვილი, რომელიც თანამედროვე სახელმძღვანელოებში კონსტანტის სახელითაა ცნობილი.

გვ.: 120, 20-21. „მაშინ ევსები ნიკომიდიელი და მის თანანი იგი მიუწერდეს მეფესა“ – იგულისხმება ევსები ნიკომიდიელი – არიანელთა აქტიური მხარდამჭერი ეპისკოპოსი.

გვ.: 120, 27-29. „მაშინ მეფე კოსტანტინე აღიძრა რისხვით მძიმედ და მიუწერა ნეტარსა ათანასეს გულისწყრომით ებისტოლე ესევითარი“ – იგულისხმება კონსტანტინე, იგივე კონსტანცი II (კონსტანციუსი) – რომის იმპერატორი 337-361 წლებში.

გვ.: 121, 22-23. „მოიქრთამნეს კაცნი ვინმე წვალებისა მისგან მელიდიტესა“ – იგულისხმება ალექსანდრის ეკლესიაში განხეთქილების შემტანი ეპისკოპოსი – მელეტი ლიკოპოლელი.

გვ.: 121, 23-24. „სისონ, ევდემონ და კალინიკე და სხუანი მრავალნი და ინყეს შესმენად მისა“ – სისონი, ევდემონი და კალინიკე, როგორც ეკლესის ისტორიიდანაა ცნობილი, ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ ცრუ ბრალდებების გასახმოვანებლად მოხმობილი პირები არიან.

გვ.: 121, 32-33. „იყო კაცი ვინმე, სახელით ისიქორა, რომელმან ქმნა საქმი ფრიად ბოროტი და ლირსი სიკუდილისა“ – იგულისხმება თვითმარქებია სასულიერო პირი, რომელიც ათანასემ ამხილა.

გვ.: 122, 3. „ხოლო ნეტარი დიდი ათანასე მივიდა მარიოდას“ – იგულისხმება ეგვიპტის რეგიონში მდებარე სოფელი.

გვ.: 122, 5-6. „წარავლინა მაკარი ხუცესი, რამთა იხილოს, უკუეთუ ჭეშმარიტ არიანა საქმენი იგი“ – იგულისხმება ალექსანდრის ეკლესის მღვდელმსახური.

გვ.: 122, 25-27. „ხოლო რაჟამს მოიწია ენკენია იშრუსალემისად, შეკრბებოდეს ებისკოპოსნი ყოვლით კერძოვე“ – აღ-

ნიშნულ დღესასწაულში სატფურება იგულისხმება. დავიმოწმებთ შესაბამის წყაროს: „**სატფურებად წმიდათა ეკლესიათაზ, რომელსა პრქვიან ენკენიად**“ (კეკელიძე, 1957: 272). აღნიშნული დღესასწაული წმინდა ელენე დედოფლისა და წმინდა იმპერატორ კონსტანტინეს მიერ იერუსალიმში მაცხოვრის ჯვარცმის ადგილის აღმოჩენასა და ტაძრის აგებას უკავშირდება. 335 წელს ახლადაგებული იერუსალიმის ეკლესია საზეიმო ვითარებაში იყურთხა და იმავე დღის სამახსოვროდ ყოველ წელს „**სატფურების**“ დღესასწაული დადგინდა. დიდი სვინაქსარის თანახმად, ესაა ძველი სტილით 13 სექტემბერი: „ამასვე დღესა (იგულისხმება მითითებული თარიღი. ი. ო.) სატფურებად იერუსალიმისაა“ (იხ. დიდი სვინაქსარი, გვ. 13).

გვ.: 123, 4. „**პირველად მივიდენ ტკროსს**“ – იგულისხმება თანამედროვე ლიბანის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი უძველესი ქალაქი.

გვ.: 123, 8-10. „**მეოცდაათესა მას წელსა კოსტანტინე მეფისასა იქმნა კრებად იგი ტკროზს. და შემოკრიბნა ყოველნი ებისკოპოსნი: თევდოსი, იპატი, კომონ, რიცხვთ სამეოცნი**“ – იგულისხმება 335 წელს ტვიროსში მოწვეული საეკლესიო კრება. თევდოსი, იპატი და კომონი მასში მონაწილე მღვდელმთავრები არიან, რომლებიც ათანასე დიდს დაუბირისპირდნენ.

გვ.: 124, 3-5. „**წმიდამან ათანასე, ვითარცა იხილა, რამეთუ მტერთა მისთა წარავლენდეს თეოლნიას, მარისს, თეოდორეს, მაკიდონს და ორსაკის**“ – ტექსტში დასახელებული პირები: თეოლნია, მარისი, თეოდორე, მაკიდონი და ორსაკი ათანასეს მოწინააღმდეგე სასულიერი პირთა მიერ შერჩეული ადამიანები არიან, რომელთაც ისიქორეს ხელდასხმის საკითხის გარევება დაევალათ (იყო თუ არა ისიქორი ჭეშმარიტად ხელდასხმული მღვდელი), თუმცა იმავე იერარქთაგან საქმის დაწყებამდე განესაზღვრათ ათანასე ალექსანდრიელის გამამტყუნებელი შედეგების ჩვენება.

გვ.: 124, 24-25. „**კრებასა მას ნიკიისასა დაწერეს**“ – იგულისხმება 325 წელს გამართული პირველი მსოფლიო საეკლე-

სიონ კრება, რომელზეც ანათემას გადასცეს არიანული ერესის სახელით ცნობილი სარწმუნოებრივი დოქტრინა. რაც შეეხება ქალაქ ნიკეას, ის თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ქალაქ იზნიქის ადგილზე, მდებარეობდა.

გვ.: 124, 32-33. „იგინიცა მიიჩინენ კოსტანტინეპოლედ“ – კონსტანტინოპოლი კონსტანტინე დიდის მიერ დაფუძნებული ქალაქია, რომელიც აღმოსავლეთ რომის იპერიის დედაქა-ლაქი გახდა.

გვ.: 126, 7-8. „მარი და სხუანი იგი შემწენი“ – იგულის-ხმება მარი ქალკედონელი, არიოზის მიმდევარი და ათანასე დიდის მოწინააღმდეგე მღვდელმთავარი.

გვ.: 126, 23-24. „ამას ზედა მონამე არიან ანდამანტი და ათვიპონ და არბეთიონ და პეტრე ებისკოპოსი“ – ხსენებული პირები არიანელთა მხარდამჭერები იყვნენ, რომლებიც ათანა-სე ალექსანდრიელს დაუპირისპირდნენ.

გვ.: 127, 8-10. „ამცნო, ვითარმედ კოსტანტინესვე მისცეს მეფობად, რომელსა ჰქვან ჩემივე სახელი“ – იგულისხმება კონ-სტანტინე დიდის შვილი კონსტანტინე, რომელმაც მამის გარ-დაცვალების შემდეგ მიიღო სამეფო უფლებები.

გვ.: 127, 20-21. „პროპოსიტიცა მეფისაა, სახელით ევსე-ბი“ – იგულისხმება უმცროსი კონსტანტინეს (კონსტანტინე დიდის ძის) სამეფო კარზე დაწინაურებული ერთ-ერთი მა-ლალჩინოსანი.

გვ.: 127, 29-30. „იყო იერუსალტშეს მწყემსად და წინამ-ძლურად ეკლესიისა წმიდა მაქსიმტ“ – იგულისხმება, დიდი სვინაქსარის მიხედვით, იერუსალიმის ოცდამეხუთე საჭე-მპყრობლად დასახელებული მაქსიმე.

გვ.: 127, 29-31. „იყო ... კოსტანტინეპოლეს ნეტარი ალექსანდრე“ – იგულისხმება კონსტანტინოპოლელი წმინდა ეპისკოპოსი, რომელიც არიანულ მოძღვრებას უპირისპირდე-ბოდა.

გვ.: 130, 1-5. „ესრეთ გარდამატა გულისწყრომაა უკე-თურებისა მათისაა, ვიდრელა პოვეს წელი მკუდრისა ვისიმე და იტყოდეს, ვითარმედ: „წელი ესე არს ათანასეს საგრძნებელი,

რომელი მოჰკუეთა კაცისა ვისგანმე ალექსანდრიელისა, რომელსა ეწოდების არსენი” – ნახსენებია ისტორიაში ცნობილი ფაქტი, თუ როგორ ცდილობდნენ ევსები ნიკომიდიელი და მისი თანაგანმზრახნი ათანასესათვის სამღვდელმთავრო პატივის ჩამორთმევას, რისთვისაც სისასტიკით აღსავსე ბრალდებასაც კი არ მოერიდნენ: თითქოს ათანასე დიდმა ალექსანდრის ერთ-ერთი ეკლესიის წიგნის მკითხველ (ტექსტში ასეა მოცემული, თუმცა ეს იყო მელეტიანელი ეპისკოპოსი არსენი) არსენს ხელი მოჰკუეთა.

გვ.: 133, 8-10. „და ალესარულა სიტყუად იგი წერილისად, ვითარმედ: წნარცკ თხარა, აღმოჰკუეთა, შთავარდა იგი მთხრებლსა, რომელიცა ქმნა“ – მოცემული სიტყვები ფსალმუნიდანაა ციტირებული (იხ. 7.16).

გვ.: 134, 1-2. „ხოლო ვითარცა ეგულებოდა მათ წმიდისა ათანასეს მოკლვად, გარდამოქდა არქელაოზ და ალიტაცა იგი მათგან“ – იგულისხმება ათანასეს წინააღმდეგ ტვიროსში გამართული სასამართლოს უფროსი ზედამხედველი არქელაოზი.

გვ.: 134-135. „მეფე იყო კოსტა, ძმა კოსტანტინესი“ – იგულისხმება კოსტა (იგივე კონსტანტი), კონსტანტინე დიდის ძე, რომის იმპერატორი 337-350 წლებში.

გვ.: 135, 5-7. „ათანასე მივიღდა რაა ჰრომს, პოვა მუნ წეტარი ჰავლც, ებისკოპოსი კოსტანტინეპოლელი, განგდებული საებისკოპოსოსა თვისისაგან“ – იგულისხმება ათანასე ალექსანდრიელის ერთგული მღვდელმთავარი.

გვ.: 135, 8-10. „მივიღეს ორნივე ზოგად იოლის მიმართ, მთავარებისკოპოსისა ჰრომისა“ – იგულისხმება რომაელი მთავარებისკოპოსი იულიუს I.

გვ.: 135, 16-16. „გორგს დაადგენდეს ადგილსა მისსა ეპისკოპოსად“ – იგულისხმება ალექსანდრიის ეკლესიის სამღვდელმთავროდ არიანელთა მიერ შერჩეული პიროვნება.

გვ.: 136, 30-31. „შემდგომად ამისა მიიღო მეფობად ივლიანე“ – იგულისხმება კონსტანტინეს ძმისწული ივლიანე, რო-

მელიც, დიდი სვინაქსარის მიხედვით, „უშჯულოდ“ არის წო-
დებული (იხ. დიდი სკნაქსარი, გვ. 428).

გვ.: 137, 2-3. „მიიწია ივლიანე მეფე ანტიოქია ქალაქად“
– ქალაქი ანტიოქია თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე,
კერძოდ, ქალაქ ანთაქიას ადგილზე, მდებარეობდა.

გვ.: 137, 8-9. „შემდგომად ამისა დაიპყრა კუალად მეფო-
ბად უალის“ – იგულისხმება ვალენტი იმპერატორი, დიდი სვი-
ნაქსარის მიხედვით, „უვალი“, რომელმაც თოთხმეტი წელი
იმეფა (იხ. დიდი სკნაქსარი, გვ. 428).

გვ.: 139, 11-12. „ესრეთ წარგზავნეს იგი მძოვართა მათ“ –
ტერმინი „მძოვარნი“ ისეთ ბერ-მონაზონთა აღმნიშვნელი სა-
ხელია, რომლებიც განსაკუთრებული ასკეტიზმით გამოირჩე-
ვიან და მხოლოდ მცენარეული საკვებით საზრდოობენ.

გვ.: 139, 14-15. „და მიეგება ერი იგი მცირითგან ვიდრე
დიდადმდე ექუსით მილიონით კიდე ქალაქისაგან“ – მილიონი
ძელ ქართულში ათას ნაბიჯს აღნიშნავს (იხ. აბულაძე, 1973:
244). შესაბამისად, წარმოდგენილ ცნობაში საუბარია იმის შე-
სახებ, რომ ექსორიობიდან ათანასეს დაბრუნებისას მისი
მშობლიური ქალაქის მოსახლეობა აღექსანდრიიდან ექვსი
ათასი ნაბიჯის დაშორებით შემოეგება საყვარელ მღვდელ-
მთავარს.

ՋԵՆՈՋԵՆԵՒ

„ფეხონიას წამება“

გვ.: 30,27-29. „რომელი-იგი არს საზღვართა ასურასტანელთასა და საბრძანებელსა პერძენთასა“ – ხელნაწერშია „რომელი-იგი არს საზღვართა ასურასტანელთასა და საბრძანებელსა პერძენთას იყო.“

გვ.: 31,29. „არცა პურითა, არცა წყლითა“ – ხელნაწერშია „პორითა.“

გვ.: 32,13-14. „არცა სადა მამაკაცისა ხატი იხილოს, არცა დედაკაცისა სოფლიოსად“ – ხელნაწერშია „დედაკაკაცი-სა.“

გვ.: 32,23. „და ჯდა მყუდროებით სახლსა“ – ხელნაწერშია „მყოდროებით.“

გვ.: 32,26-27. „შეუვრდა იგი ფერწთა ბრენისათა – ხელნაწერშია „ბრინისათა.“

გვ.: 33,10. „დედათა ერისკაცთა სახე“ – ხელნაწერშია „ერისკაცათა.“

გვ.: 34,27. „არღა გიხილავს ბრძოლად“ – ხელნაწერშია „ბრძულად.“

გვ.: 35,1-2. „არა შემინდობს დედად ჩუენი წარსლვად“ – ხელნაწერშია „წარსლლვად.“

გვ.: 35,5. „ვიხილეთ მონასტერსა მას“ – ხელნაწერშია „ვეხილეთ.“

გვ.: 35,6-7. „მისთვის იტყვს პრიმოს კომისი უფლისა ჩემისა ლჲსიმახოს ქორწინებისათვის“ – ხელნაწერშია „ლჲსიმახოსა.“

გვ.: 35,13. „ხილვად ლუანლსა მას“ – ხელნაწერშია „ლუარნლსა.“

გვ.: 41,31. „მდინარე სისხლისად დიოდა“ – ხელნაწერშია „მდინერე.“

„ბასილი კესარიელის ცხოვრება“

გვ.: 44,8-10. „ოდეს გლოვისა იგი სიბნელტ, მსგავსად წერილისა, განვიშორეთ“ – ხელნაწერშია „განვიშოვრეთ.“

გვ.: 46,22. „სული და წორცნი, სიტყუად და წელნი“ – ხელნაწერშია „წელნი.“

გვ.: 47,15. „რომელი-იგი მცირედ პირველ ქრისტეანე იყო“ – ხელნაწერშია „პირველ.“

გვ.: 49,17. „გამოეძიბდეს ურთიერთას სიტყუასა“ – ხელნაწერშია „ურთიერთერთას.“ ასეა ყველა ნუსხაში.

გვ.: 62,17-18. „გამოჩნდა იორდანესა ზედა უფლისა ნათლისლებასა“ – ხელნაწერშია „ნანათლისლებასა.“

გვ.: 70,8-9. „ლიბანი ივლიანტს კჟატორმან სივლტოლად იჭმია“ – ხელნაწერშია „კჟესტორმან.“

გვ.: 74,5-6. „არწმუნეს მეფესა, რათა არა გარდაპყვდეს თვისისა შჯულისაგან“ – ხელნაწერშია „არწმუნეს მეფესა, რათა არა არა...“

„თეოდორე სტრატილატის წამება“

გვ.: 89,2. სათაურის ქვეშ მინაწერია: „ქრისტე, შემიწყალე მამად ეფთვე, უფალო, წარმიმართე!“ ხელნაწერში ასეა: „ქრისტე, შემიწყალე მამად, უფალო, წარმიმართე ეფთვე!“ სტრიქონს ამთავრებს „მამად,“ ახალ სტრიქონს იწყებს „უფალო.“ როგორც ჩანს, გადამწერმა „ეფთვე“ „მამად“-ს დაბლა მერე ჩაამატა.

გვ.: 89,10. „წენებად მონამეთად კურნებად არს სენთად“ – ხელნაწერშია „კორნებად.“

გვ.: 91,18. „რათა მიუდრეკელად ეგოს ქრისტეანეთა“ – ხელნაწერშია „ქრისტეანენეთა.“

გვ.: 98,2-3. „ლმერთო და მეუფეო ცისა და ქუეყანისაო“ – ხელნაწერში ორი „უ“ და ორი „ს“ წერია: „მეუუფეო“, „ქუეყანისსაო.“

გვ.: 101,8-9. „განკურდეს ყოველნი საქმესა მას ზედა და განიცდიდეს წმიდა(სა) – სიტყვა ისეა დაქარაგმებული, რომ „წმიდა“ იკითხება და არა „წმიდასა“, თუმცა კონტექსტი მეორე ვარიანტს გულისხმობს და ჩვენც მას წარმოვადგენთ.

გვ.: 102-103. „შენ ჭეშმარიტი იგი ღმერთი შეურაცხი-ყოფიეს და კერპთა უსულოთა მონებად არა გრცხუენის“ – ხელნაწერშია „უუსულოთა.“

გვ.: 105,3. „მიაჩემო ესე ძალსა ღმრთისა შენისასა სა-ოცრად უგუნურთა“ – ხელნაწერშია „საუცრად.“

გვ.: 109,17-18. „და არღარა იპოებოდა ბრძკლი წყლუ-ლებისად ასოთა შინა მისთა“ – ხელნაწერშია „იპოებოებოდა.“

გვ.: 113,21-22. „რომელნიცა იყვნეს საკუთარ მისა“ – ხელნაწერშია „სასაკუთარ.“

„ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრება“

გვ.: 124,30. „მუნცა ემხილა ბოროტი“ – ხელნაწერშია „ბორიტი.“

გვ.: 129,11. „რომელმან-ესე შემდგომად მისა მივიღე მე-ფობად“ – ხელნაწერშია „მივიღე.“

გვ.: 129,14. „ვითარი სიყუარული ვაჩუენე სიწმიდესა მისასა“ – ხელნაწერშია „ვაჩუენე.“

გვ.: 130,17. „არამედ მე ვჰგონებ“ – ხელნაწერშია „ვა-გონებ.“

გვ.: 131,18. „ოდეს შემიწყნარე მე“ – ხელნაწერშია „შე-მიწყნარე.“

გვ.: 131,18. „ოდეს აღგიძულე შენ – ხელნაწერშია „აღ-გიძულე.“

გვ.: 134,9. „მერმე კუალად წინააღმდეგომთა მათ“ – ხელნაწერშია „მერმე.“

გვ.: 137,12. „მერმე კუალად პოვეს უამი“ – ხელნაწერ-შია „მერმე.“

გვ.: 139,14-15. „მცირითგან ვიდრე დიდადმდე“ – ხელ-
ნაწერშია „დიდადმდც.“

საძიებო

ბირთა და მთოლოვნური პერსონაჟთა ანთერიტეტული

ათანასე ალექსანდრიელი – ეკლესიის უდიდესი მამა. დაიბადა დაახლოებით 297 წელს ალექსანდრიაში, ქრისტიანულ ოჯახში. მიიღო თავისი დროისთვის შესაფერისი კლასიკური და საღვთისმეტყველო განათლება. 319 წელს დიაკონად აკურთხეს. მალე მდივნის მოვალეობაც შეითავსა. 28 წლის ასაკში ალექსანდრიის ეპისკოპოსად დაასხეს ხელი. გიორგი მთანმიდელის „დიდი სკონაქსარის“ თანახმად, ათანასე ალექსანდრიის რიგით მეოცე პატრიარქად არის დასახელებული. იმავე წყაროს მითითებით, მან 46 წელი იმდვდელმთავრა (იხ. დიდი სკონაქსარი, გვ. 422). აქტიურად მონაწილეობდა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაში, რომელიც რომის იმპერატორმა კონსტანტინე I-მა მოიწვია 325 წელს. მან აქ გაბედულად დაგმო არიოზის ერესი. გარდაიცვალა 373 წელს. ლირის მოძღვარი მის მიერ აღსრულებული საქმეებისა და სარწმუნოებრივი თავგანწირვისათვის ქრისტიანულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

„ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრების“ მთავარი გმირი

ათვიპონი – არიანული მოძღვრების მხარდამჭერი და ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ მეპრძოლი ეპისკოპოსი, რომელიც სხვებთან ერთად ათანასეს წინააღმდეგ მოწმედ გამოიყვანეს ორი ცრუ ბრალდებით: 1. ათანასე დიდის მიერ მივლენილი მღვდლის მიერ ბარძიმის შეურაცხოფა; 2. ათანასე დიდის მიერ ალექსანდრიიდან კონსტანტინოპოლში ხორბლის ჩატანის აკრძალვა. 126

ალექსანდრე ალექსანდრიელი – წმინდა მამა. ალექსანდრიის პატრიარქი 313-326/328 წლებში. ათანასე ალექსანდრიელის მოძღვარი. არიოზის ცრუ სწავლების მამხილებელი

ლი. დაახლოებით 320 წელს ადგილობრივი კრება მოიწვია, სადაც დაგმო არიოზის სწავლება, ხოლო მისი მიმდევრები ეკლესიიდან განკვეთა. 325 წელს არიოზის სამხილებლად გამართულ ნიკეის | მსოფლიო კრებაზე ათანასესთან ერთად ცრუ მოძღვრების ერთ-ერთი აქტიური კრიტიკოსი იყო. მისმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წმიდა სამების შესახებ მართლმადიდებლური სწავლების სინმიდის დაცვას. გარდაიცვალა დაახლოებით 326/328 წელს. 119, 120, 121

ალექსანდრე კონსტანტინოპოლელი – კონსტანტინოპოლელი წმინდა ეპისკოპოსი, რომელმაც, მიუხედავად დიდი იძულებისა, თანაზიარებაში არ მიიღო არიოზი. დიდი სვინაქსარის მიხედვით, დასახელებულია კონსტანტინოპოლის ეკლესიის ოცდამესამე საჭეთმცყრობლად. მან ოცდასამი წელი მწყემსა ეკლესია (იხ. დიდი სვინაქსარი, გვ. 424). გარდაიცვალა 350 წელს. 127, 128

ამფილოქი (ამფილოქე) იკონიელი (339/340-394/403) – წმინდა მღვდელმთავარი, კაბადიკიელი მოღვაწე, ბასილი დიდის თანამედროვე და მეგობარი. ბასილი დიდის ცხოვრების ბიოგრაფი. 44

ანასტასი – საიმპერატორო გვარდიის ოფიცერი, მეფე უვალის (ვალენტის) მსახური. 72

ანდამანტი – არიანული მოძღვრების მხარდამჭერი და ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ მებრძოლი ეპისკოპოსი, რომელიც სხვებთან ერთად ათანასეს წინააღმდეგ მოწმედ გამოიყვანეს ორი ცრუ ბრალდებით: 1. ათანასე დიდის მიერ მივლენილი მღვდლის მიერ ბარძიმის შეურაცხყოფა; 2. ათანასე დიდის მიერ ალექსანდრიიდან კონსტანტინოპოლში ხორბლის ჩატანის აკრძალვა. 126

ანთიმოსი – სელინოსის ძმა და ლისიმაქოსის მამა. 38

ანტიოხოზი – ლიკინიოზი იმპერატორის ასისთავი, რომელმაც ირწმუნა ქრისტე. აღესრულა მონამებრივად. 110

არბეთიონი – არიანული მოძღვრების მხარდამჭერი და ათანა-
სე ალექსანდრიელის წინააღმდეგ მებრძოლი ეპისკოპო-
სი, რომელიც სხვებთან ერთად ათანასეს წინააღმდეგ
მოწმედ გამოიყვანეს ორი ცრუ ბრალდებით: 1. ათანასე
დიდის მიერ მივლენილი მღვდლის მიერ ბარძიმის შეუ-
რაცხყოფა; 2. ათანასე დიდის მიერ ალექსანდრიიდან
კონსტანტინოპოლში ხორბლის ჩატანის აკრძალვა. 126

არიოზი – ალექსანდრიელი მღვდელი. დაიბადა 256 წელს. ქა-
დაგებდა ცრუ სწავლებას, რომელმაც IV საუკუნეში
ქრისტოლოგიური და ტრინიტოლოგიური ერესის სახე
მიიღო. მისი სახელწოდება – „არიოზელობა“, ანუ „არი-
ანელობა“ – სწორედ მისი სახელიდან მომდინარეობს.
არიოზს ეჭვი შეპქონდა სამების ერთარსებაში. ამტკი-
ცებდა, რომ იყო დრო, როცა ძე ღმერთი არ იყო, რომ
იესო იშვა არარსებობიდან. ერესის სამხილებლად მოწ-
ვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, სა-
დაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით 318 მღვდელმთავა-
რი შეიკრიბა სასულიერო და საერო თანმხლები პირე-
ბით. მართალია, არიანელები კრებაზე დამარცხდნენ,
მაგრამ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ
გავლენას ზოგიერთი ხალხის სარწმუნოებაზე. არიოზი
მოულოდნელად გარდაიცვალა 336 წელს. 46, 120, 121,
122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 137

არსენი – მელეტიანელი ეპისკოპოსი ალექსანდრიაში, რომლის ხელის მოკვეთასაც აბრალებდნენ ათანასე ალექსანდრი-ელს. 130, 131, 132

არტემია (არტემიდა) (ძვ. ბერძნ. Ἀρτεμις) – ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, ზევსისა და ლეტოს ასული, აპოლონის ტყუპისცალი. თავდაპირველად ცხოველთა მფარველად და მეუფედ ითვლებოდა. 101

არქელაოზი – პურისმტე, კონსტანტინე დიდის ერთგული მსახური. 130, 134

ალაპი – ათანასე ალექსანდრიელის თანამებრძოლი მღვდელი. 123

ალრიკო (ალრიკოლა) – მხედართმთავარი, რომლის სამხედრო დანაყოფშიც მსახურობდა 40 სებასტიელი მოწამე. 92

ბასილი ალექსანდრიელი კესარია-კაბადოკიელი (ბასილი დიდი) (დაახლოებით 330-379) – კესარია-კაბადოკიის მთავარეპისკოპოსი, უამრავი საღვთისმეტყველო ნაშრომის ავტორი და მსოფლიო მოძღვარი. ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწე, ეკლესიის წმინდა მამათაგანი, თეოლოგი, მქადაგებელი, მწერალი. გრიგოლ ღვთისმეტყველის მეგობარი. სწავლობდა კესარიაში, შემდეგ კონსტანტინოპოლისა და ათენის ფილოსოფიურ სკოლებში. დაახლოებით 30 წლისამ მიიღო ქრისტიანობა და იმოგზაურა ცნობილი განდეგილების მოსანახულებლად სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში. პონტოში დაბრუნებულმა მონასტერი დააარსა. 370 წელს გახდა ეპისკოპოსი. მის კალამს ეკუთვნის „ექუსთა დღეთავ“, რომელშიც განმარტებულია ბიბლიური კოსმოგონია. ბასილი დიდის უმთავრესი თხზულებები ქართულად უთარგმნიათ ექ-

ვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს, ეფრემ მცირესა და სხვებს. არსებობს მოსაზრება, რომ ეროვნებით იგი კაპადოკიელი ქართველი უნდა ყოფილიყო (მისი ძმაა გრიგოლ ნოსელი). ბასილი დიდის ცხოვრება აღნერეს გრიგოლ ნაზიანზელმა და ამფილიქე იკონიელმა.

„ბასილი კესარიელის ცხოვრების“ მთავარი გმირი

ბასილი ამასიელი – III-IV საუკუნეებში მოღვაწე ამასიის ეკლესიის მღვდელმთავარი, რომელიც 322 წელს მოწამებრივად აღესრულა. ქრისტიანულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. 92

ბრენი (ბრიენა) – დედათა მონასტრის მონაზონი და წინამდღვარი, რომელმაც აღზარდა წმინდა ფებრონია. 31, 32, 33, 34, 35, 36

გორგი (გიორგი) – აღექსანდრიის კათედრაზე ათანასეს მაგივრად დასმული არიანელი ეპისკოპოსი. 135

გრიგოლ ნოსელი (დაახლოებით 335-394) – საეკლესიო მწერალი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. ბასილი დიდის ხორციელი ძმა. დაიბადა კაპადოკიის კესარიაში. 372 წელს დაადგინეს ნისას ეპისკოპოსად. არიანელების მცდელობით გადააყენეს 376 წელს, თუმცა მათი მფარველის, იმპერატორ ვალენტის, გარდაცვალების შემდეგ კათედრაზე აღადგინეს 378 წელს. 381 წელს მონაწილეობდა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაში. 45

გრიგოლ ღვთისმეტყველი (დაახლოებით 330-390) – მსოფლიო მოძღვარი. ბერძნული პატრისტიკის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი ბასილი დიდსა და გრიგოლ ნოსელთან („კაპადოკიელ მამებთან“) ერთად. ბასილი დიდ-

თან ერთად ებრძოდა არიანელობას. იყო მისი უახლოესი მეგობარი. 372 წელს დაადგინეს სასიმას ეპისკოპოსად, თუმცა გრიგოლმა უარი განაცხადა და ნაზიანში განმარტოვდა. 380 წელს აირჩიეს კონსტანტინოპოლის პატრიარქად, თავმჯდომარეობდა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებას. 45, 47

დავითი (დაახლოებით ძვ. წ. 1035-965) – წინასწარმეტყველი, იუდას ტომის ჩამომავალი, ისრაელის სამეფოს მეორე მეფე, 150 ფსალმუნის ავტორი (დაახლოებით ძვ. წ. 1005-965). 51, 106

დანიელი – ძველი აღთქმის დიდი წინასწარმეტყველი და საწინასწარმეტყველო წიგნის ავტორი. 51

დიონოსი – კონსტანტინე დიდის ხელქვეითი (იპატიკო), „ათანასე ალექსანდრიელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული პირი, რომელსაც მეფემ წმინდანთან დაკავშირებული საკითხის გარკვევა დავალა. 124

ევბულე (ევბულოსი // ევბოლე) – ფილოსოფოსი, ბასილი დიდის მასწავლებელი. ბასილი, მისი „ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, სწორედ ევბოლეს ქადაგების შედეგად გახდა ქრისტიანი. 47, 48-49, 51, 52, 54, 56, 58, 59, 62, 68, 70

ევდემონი – მელიტიანელთა მიმდევარი, რომელიც ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ ცრუ ბრალდების მისაცემად მოისყიდეს. 121

ევსები – მეფე კონსტანტინე უმცროსის ხელქვეითი (პროპოსიტი), რომელმაც არიანელობა მიიღო. 127

ევსები ნიკომიდიელი – არიოზის ყველაზე აქტიური მხარდამ-ჭერი ეპისკოპოსი. ნიკომიდის ეკლესიის წინამძღვალი 328-338 წლებში, მოგვიანებით კი, 339-341 წლებში, კონსტანტინოპოლის ეკლესიის საჭეთმპყრობელი. პირ-ველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე არიოზის მიმდევარ-თა ჯგუფის ლიდერი. მან მონათლა წმინდა კონსტანტი-ნე დიდი. გარდაიცვალა 341 წელს. 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129

ევსევია – ქრისტეს მსახური ქალი ქალაქ ევხაინიდან. სხვა ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება. 93

ეზეკიელი – ძველი აღთქმის დიდი წინასწარმეტყველი და სა-წინასწარმეტყველო წიგნის ავტორი. 51

ეთერია – ბრენის მონასტერში მცხოვრები ერთ-ერთი მონა-ზონი. 34

ელადიოსი (ელადი) – ბასილი დიდის გარდაცვალების შემდეგ კესარია-კაბადოკის საეპისკოპოსო საყდარზე დადგენი-ლი მღვდელმთავარი (379-394 წწ.). 75

ესაია – ძველი აღთქმის დიდი წინასწარმეტყველი და საწინას-წარმეტყველო წიგნის ავტორი. 51

ეფრემ ასური – სირიელი მოღვაწე, საღვთისმეტყველო ნაშ-რომთა ავტორი. ეკლესიის მიერ „სინანულის მოძ-ღვრად“ სახელდებული. 45, 62

თევდოსი – ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ მებრძოლი ეპისკოპოსი. მონაწილეობდა 335 წელს ტვიროსში მონ-ვეულ საეკლესიო კრებაზე, რომლის გადაწყვეტილები-თაც, ათანასე დიდს ალექსანდრიის კათედრა ჩამოერ-

თვა და ტრირში (თანამედროვე გერმანიის ტერიტორია)
იქნა გადასახლებული. 123

თეკლა – I-II საუკუნეებში მოღვაწე ქრისტიანი. დაიბადა ქალაქ იკონიაში, დიდგვაროვანთა ოჯახში. ქრისტეს რჯულზე პავლე მოციქულის ქადაგებით მოექცა და სიკვდილამდე ერთგულად დაიმარხა მოციქულისაგან მიღებული სარწმუნოება. ეკლესიის ისტორიაში მოიხსენიება „პირველმოწამისა“ და „მოციქულთასწორის“ ეპითეტებით. 36

თეოდორე – ათანასე ალექსანდრიელისა და მაკარი ხუცესის წინააღმდეგ მებრძოლი სასულიერო პირი. 124

თეოდორე სტრატილატი – წმინდა დიდმოწამე. დაიბადა ევხაინაში 281 წელს. სიკვდილით დასაჯეს 319 წელს. მისი სსენების დღეა 21 თებერვალს და 21 ივნისს. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, გარდა ჰაგიოგრაფიული შრომისა, დაცულია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ „დიდ სკაქსარში“ (იხ. დიდი სკაქსარი, გვ. 256-257).

„თეოდორე სტრატილატის წამების“ მთავარი გმირი

თეოლია – იგივე თეოგნოსტი ნიკიელი. ათანასე ალექსანდრიელისა და მაკარი ხუცესის წინააღმდეგ მებრძოლი მღვდელმთავარი. არიანული მოძღვრების შხარდამჭერი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაში. 124, 125, 126

თომაიდა – დედათა მონასტრის წინამძღოლის, ბრენის, შემდეგ იერარქიულად დაწინაურებული ერთ-ერთი მონაზონი. 33, 34, 35, 36, 37, 40

იერემია – ძველი აღთქმის დიდი წინასწარმეტყველი და საწინასწარმეტყველო წიგნის ავტორი. 51

იერია – ქალაქ ნისიბინში მცხოვრები ერთ-ერთი დიდგვაროვანი მანდილოსანი. 32, 33, 34, 37, 40

ივლიანე – იგივე ფლავიუს კლავდიუს იულიანე. ცნობილია აგრეთვე „ფილოსოფოსის“ მეტსახელით. რომის იმპერატორი 361-363 წლებში. ქრისტიანობისგან განდგომისა და ტრადიციული რომაული რელიგიის აღორძინების სურვილის გამო „განდგომილი“ ეწოდა. „დიდი სკაქსარის“ ბოლოს დართულ რომაელ მეფეთა ჩამონათვალში რომის 53-ე იმპერატორადაა მოხსენიებული (სიის ათველა იულიუს კეისრით იწყება). აქვე სახელდება, როგორც „ივლიანე უსჯულო“ (იხ. დიდი სკაქსარი, გვ. 428). 45, 46, 47, 65, 67, 68, 70, 136, 137

იოლი (იული) – იგივე იულიუს I, რომის პაპი 337-352 წლებში. ათანასე ალექსანდრიელის თანამებრძოლი. წმინდანი. 135

იპატი – ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ მეპრძოლი ეპისკოპოსი. მონაწილეობდა 335 წელს ტვიროსში მონვეულ საეკლესიო კრებაზე, რომლის გადაწყვეტილებითაც, ათანასე დიდს ალექსანდრიის კათედრა ჩამოერთვა და ტრირში (თანამედროვე გერმანიის ტერიტორია) იქნა გადასახლებული. 123

ისიქორა // ისიქორე – ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ ცრუ ბრალდებით გამოსულ მრავალ ადამიანთაგან ერთ-ერთი. მან სამღვდელო ხელდასხმის გარეშე დაიწყო საეკლესიო საიდუმლოებების აღსრულება, რისთვი-

საც უმკაცრესად იქნა მხილებული ათანასეს მიერ. 121, 122, 123

კალინიკე (კალენიკე) – მელეტის მიმდევარი. მოისყიდეს ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ ცრუ ბრალდების მისაცემად. 121

კესტოსი – ლიკინიოზის დიდებული პატრიკიოსი, რომელმაც ირწმუნა ქრისტე და მოწამებრივად აღესრულა. 112, 113

კომონი – ათანასე ალექსანდრიელის წინააღმდეგ მებრძოლი ეპისკოპოსი. მონანილეობდა 335 წელს ტვიროსში მონვეულ საეკლესიო კრებაზე, რომლის გადაწყვეტილებითაც, ათანასე დიდს ალექსანდრიის კათედრა ჩამოერთვა და ტრიოში (თანამედროვე გერმანიის ტერიტორია) იქნა გადასახლებული. 123

